თამაზ მეტრეველი

სასწაული

თბილისი
2012

მე ისევ ის ვარ

მე ისევ ის ვარ, დიდება მახლავს,
არა მცილდება არცერთი წამით,
ეს ჯადოსნური წრე უნდა გავხსნა,
მარადისობას შევავლო თვალი!
მე ისევ ის ვარ, ჩემ ბედის ვარსკვლავთ,
მე გავუმართლე ყველა იმედი,
იკაშკაშებენ ხვალ უფრო ნათლად,
და უფრო მეტი გამოსხივებით!!!
მე ისევ ის ვარ, არ ვიცვლი რწმენას,
თუმცა ჩემს გვერდით ბევრნი დაეცნენ...
მივალ, მივაფრენ ჩემს ფრთოსან მერანს,
გაუვალ გზებზე და ნაპრალებზე...
მე ისევ ის ვარ და ჩემს ქარიზმას,
ვერას დააკლებს ელვა და მეხი...
მე გადმოგცქერით იმ მწვერვალიდან,
სადაც არავის დაუდგამს ფეხი!!!

მთვარეს დასწვია წუხელ ტუჩები

მე კვლავ მწვერვალის ნაპრალთან ვდგავარ
და ასაფრენად ვარ შემართული,
მზეებო, თქვენი მომეცით ძალა!
კლდეებო, თქვენი მაჩუქეთ გული!
რომ განათებულს ცისკრის სხივებით,
ცისარტყელების მერტყას ქამარი...
მთიდან ნისლები წამოშლილები,
მესალმებოდნენ კრძალვით, თაყვანით...
რომ კერპი ვიყო სალი კლდეების,
ვეჯახებოდე მკერდით ქარიშხლებს,
ლოდები კლდიდან ანასხლეტები,
მიღებდნენ ზეცის წითელ კარიბჭეს!
შენ კი, ნათელი, ვით გაზაფხული,
ეჩქარებოდე ჩემთან შეხვედრას,
და როგორც სურო ყლორტზე გასული,
ეტმასნებოდე ჩემს ძლიერებას!
ტანთ ჩანჩქერების ქაფებს მოვისხამ,

მკლავებს მოგხვევ და გამიყუჩდები,
გითხარი? თურმე, მზის ნაკოცნისგან,
მთვარეს დასწვია წუხელ ტუჩები...

მერანი მყავს მტრედისფერი

იცი, ყველა დილა მიყვარს,
მერანი მყავს მტრედისფერი,
ცხრა მთას ციმციმ გადამიყვანს,
ლურჯა, ჩემი ნატვრის ცხენი...
უკან კი შენ შემოგისვამ,
შემომხვიო ორივ ხელი,
მწვერვალებზე შევხვდეთ ცისკარს,
მე, შენა და ჩვენი ცხენი...
ქვემოთ დარჩეს ეს სამყარო,
თავის მიეთ–მოეთებით,
რომ ვერავინ ვერ გაგვყაროს
ვერც ჭორებით, ვერც ეჭვებით...
მიყვარს ჩემი ლურჯა ცხენი
როცა თრთის და იწყებს ჭიხვინს,
იცი, ნაღდად ესმის ჩემი,
როდის მილხინს, ანდა, მიჭირს...
შემომიჯექ, ვერცხლის მთები,
ერთხელ კიდევ დავიაროთ,
დაგვხაროდნენ ვარსკვლავები,
მზემ თვალები აბრიალოს...

გამიღიმე (ტ–ს)

მოდიხარ და მოასხივებ,
მოასხივებ მთელი ტანით,
აშრიალებ ყელზე მძივებს,
ელავ, როგორც ბეჭდის თვალი...
გამიღიმე, რომ მიღირდეს,
ეს ცხოვრება თუნდაც რამედ,
ჰო, უბრალოდ გამიღიმე,
რომ დღედ მექცეს ბნელი ღამე...
მე შენამდე ბედი მცდიდა,
მწეწდა ქარი, მწვავდა ელვა,
ქარიშხლები არ მაცლიდა,
შენს მხარეში გამოფრენას...
დაგინახე, დავტკბი, დავდნი,
გულზე ცეცხლი წამეკიდა,
მომეჩვენა თითქოს თაფლი
წვეთდა შენი თვალებიდან...

წვიმა, ტყე და ოცნება

წამოხვალ ჩემთან? სადმე შორს, ტყეში,
სადაც მღერიან ნაკადულები,
გვაწვიმდეს წვიმა, გვასხამდეს თქეში,
რომ დაგვიხეთქოს თუნდაც გულები...
და მერე, როცა გამოიდარებს,

როცა ტკაპა–ტკუპს მორჩება წვიმა,
ყური მივუგდოთ წკირების ჩქამებს,
და შემოდგომის ფოთლების ფშვინვას...
და ვისხდეთ ასე გაყუჩებულნი,
გვერდიგვერდ, როგორც კატის კნუტები,
ჩვენ ხომ ერთმანეთს ისეც ვეკუთვნით,
მშრალებიცა და გალუმპულებიც...
იქნებ ჩვენც ვიქცეთ ნაკადულებად,
შენ მოლივლივედ, მე მონავარდედ,
რომ შეგვაჯახოს ტყეში ბუნებამ
და ორივენი ველზე გავვარდეთ...
როგორ გგონია, მართლაც ვისია,
ეს ტყე, ეს მიწა, ნაკადულები,
ასე მგონია მათი სისხლია
მე რომ ამიწვა ხელისგულები...
წამოხვალ ჩემთან? ნუ გეზარება,
მოგასმენინებ ფოთლების შრიალს,
ჩავწვდეთ ბუნების იდუმალებას,
ზღაპარს, რომელსაც ოცნებაც ჰქვია...

თილისმასავით გინახავ

იქნებ არც უნდა მენახე,
იქნებ არც უნდა გამეცან,
შენზე ოცნებას შევახევ
გულს სამომავლო ალერსად...
არ ვიცი უნდა მიყვარდე,
თუ მზის სხივს ვეპოტინები,
ვაითუ ამიყირავდე,
ვაითუ სხვას ვეცილები...
მყინვარ და მყინვარ მოგდევდი,
ვერ გაგაღიმე ვერაფრით,
ვერ ვნახე ანათრთოლები,
ეგ შენი ჩითის პერანგი...
არადა, როგორ მიყვარხარ,
არადა, როგორ მჭირდები,
თილისმასავით გინახავ,
შემოგხედავ და ვითვრები...
ერთი რა იყო, სულ ერთი,
ერთხელ მოჭვრეტა თვალების,
ასე თუ გამაბრუებდი,
ასე თუ ჩამაფლავებდი...
არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
ან მქონდეს რამის იმედი?
ვის უნახია ორი მზე,
ტყუილად გეკვლევინები...

გნებდები (კ–ს)

გნებდები, უარს ვამბობ ყველაზე,
გნებდები, იყავ ჩემი მსაჯული,
თუნდ ჩამომკიდე სახრჩობელაზე,
გულის ფსკერზე ხარ ამოკაწრული...

მე აღარ მახსოვს აღარაფერი,
შენი მშფოთვარე თვალების გარდა,
და ჩემს სიყვარულს გზებზე გაფენილს,
ვარსკვლავებივით ზეციდან ვფანტავ...
მართლაც, ყველაფერს გულში ჩავიკლავ,
ოღონდ არ იყო, შენ, გულნატკენი,
იცი, ძვირფასო, წუხელ ბარდნიდა,
და შენს ყვავილებს ჰკბენდა ნამქერი...
მინდა იცოდე, მინდა გახსოვდეს,
რომ მეც მათსავით ვარ დაკბენილი,
და თუ მოვკვდები, სხვა გისახსოვრებს,
ვარდებს, გზად როა გადაპენტილი...

გამიტაცებენ ცისკენ ქარები

კარგა ხანია, რაც ზეცას ავცდი,
და შორს, ღრუბლებში დავიდე ბინა,
სულაც არ არის ბუნება მკაცრი,
ბუნება მუდამ შენსავით ბრწყინავს...
საოცარია, ფრთებს როგორც გავშლი,
გამიტაცებენ ცისკენ ქარები,
შენ კი ვით თოთო და ნაზი ბავშვი,
ჩემს ღრუბლებს ახლოს არ ეკარები...
საოცარია, ეს ლექსიც, იცი,
ისევ იმ ლამაზ დღეებს მაგონებს,
როცა ვტკბებოდი მე ჩემი სივრცით,
როცა დავქროდი მზის სიახლოვეს...
შენ ვერ მიხვდები, რად მიყვარს ასე,
ზეცა ზვავივით ნაგრიგალები,
როცა შენცა ხარ სიგიჟის ზღვარზე,
და ციდან მიწას ეტრფიალები...
იცი, რას ებრძვის მუდამ გრიგალი,
როცა შლეგივით ესხმის ქალაქებს,
და არწივივით თავისუფალი,
ზღვებს ქარიშხლებთან ალაპარაკებს...
თურმე მონობას, თურმე ლაჩრობას,
თურმე ვერ იტანს დუმილს, სიმშვიდეს,
და ებრძვის ისიც ამ უაზრობას,
ჩვენ რომ ვერაფრით გამოვისყიდეთ...
წამოდი ჩემთან, ღრუბლებთან ახლოს,
ტანს ქარიშხლები გაგბანენ დილას,
მე არწივებთან და მზესთან ვსახლობ,
მზესთან, რომელიც შენსავით ბრწყინავს...

აუ, როგორ მენატრები...

გაქრები ჩემი თვალთახედვიდან,
და უცბად ისევ გამობრწყინდები,
შენ, ნებიერი ალბათ ბედისგან,
მე, დათარსული შენზე ფიქრებით...
ასე ყველაფერს ქალი იხდენდეს,
ზამთარს, გაზაფხულს, ფერისცვალებას;
რატომ მინდა, რომ სულ შენ გიმზერდე,

ლამის წლებიც კი არ მენანება...
ასე ლამაზი მაინც არ იყო,
ასე შველივით ყელმოღერილი;
მთვარემ თავისი სევდა გამიყო,
მე ლექსი ღამით გადაწერილი...
ნუ მიმატოვებ, ეგებ ჩემსკენაც,
გამოიხედოს ბედმა როგორმე,
კი, მართალია, ახლა ფსკერზე ვარ,
მაგრამ, ძვირფასო, რომ ამოვბობღდე?

ალბათ ყველა ვარდის ჯიბრზე

მეც ცოდო ვარ, შენც ცოდო ხარ,
ნეტა, სხვებსაც ვეცოდებით?
ეგებ შევხვდეთ, ჰო, როგორღაც,
როგორც ძველი მეგობრები...
არა გჯერა, მართალიც ხარ,
მეც არ მჯერა ჩემი თავის,
მაგრამ მაინც მინდა გითხრა,
რომ მაგონებ უცხო ყვავილს...
მარტოდმარტოს გაშლილს ბაღში,
ალბათ ყველა ვარდის ჯიბრზე,
მართლაც, ყველა ყვავილს წაშლის,
შენი მკერდის სიფაქიზე...
და რომც გითხრა, ვერ შევცოდავ,
სჯობს არაფრით დაიჯერო,
რა ხანია შენზე ვბოდავ,
ვით დამჭკნარი ვარდის ღერო...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
რომ შენს გვერდით ამოვიდე,
გადმორგული სხვა ბაღიდან,
ყვავილს შენსკენ გადმოვხრიდე...
მერე ჩუმად ჩაგეწვნები,
თუნდაც ყველამ დაგვინახოს,
მაგ თეთრ მკერდზე ჩაგეჭკნები,
ჩაგაკვდები გულთან ახლოს!!!

თუ გინახავს ტბაზე ვალსი

რა ლამაზი იყავ მაინც,
გიხდებოდა გედის ყელი,
ყვავილების სუნთქვასავით,
ნატიფი და მიმზიდველი...
თუ გინახავს ტბაზე ვალსი,
გედები რომ ასრულებენ,
არის რაღაც ჯადოს მსგავსი,
ერთურთს ფრთხილად ფრთებს რომ ხვევენ...
ყელს ყელზე რომ გადაწნავენ,
და ტრიალებს თეთრი ტანი,
ლერწმის ჩრდილში წვება მთვარე,
ამ ცეკვების ნახვით მთვრალი...
ვარდობის თვე როცა მოვა,
ტბის ნაპირას მოდი მარტო,

ყელი ყელზე, რომ ჩვენც ორმა
გედებივით გადავხლართოთ...

რა ლამაზია!!!

მე შენი სახე მაგონებს აფრას,
ნავისას, ზღვაში ქარებს რომ მიაქვს,
სილამაზისთვის შენ გცემდნენ თაყვანს,
სიყვარულისთვის შენ ქალი გქვია...
სწორედ მაგიტომ მიყვარდი ალბათ,
რომ მეპასუხა შენი გრძნობისთვის,
რომ თავი გეგრძნო სრულყოფილ ქალად
მიწაზე, ცაზე, ხალხში, ლოგინში...
რომ დაგეძლია სიმორცხვე შენი,
რომ სიხარულის გქონოდა განცდა,
რომ როგორც არწივს ცაში გაფრენილს,
დაგდევნებოდა წყურვილი კაცთა...
რომ დავფიქრდები, ო, როგორ, იცი?
მეცოდებიან ანგელოზები,
რადგან არ უჩქეფთ ძარღვებში სისხლი,
არ განუცდიათ, ვნება, კოცნები...
ჰოდა, ვერ ვხვდები დღემდე ვერაფრით,
თქვენ ანგელოზებს რად გეძახიან,
გესმათ სახელი? ეს მე გეძახით,
მე ვყვირი თქვენზე: რა ლამაზია!!!

მოდი და მართლაც გამოიცანი (ნუცა შანშიაშვილს)

თქვენ მიდიოდით, რათა გემღერათ,
თქვენ აქ სიმღერის არ მოგცეს ნება,
თქვენ აქ სჭირდებით მხოლოდ მძევლებად,
ანდა, ისედაც რა გვემღერება...
რა გვემღერება, ან ვისთვის ვმღერით,
რამდენი რამე გვაქვს საკითხავი,
ვინ მოყვარეა და ვინ კი მტერი,
მოდი და მართლაც გამოიცანი...
და თქვენც გარბიხართ, იქ სადაც მოგცეს,
უფლება მღერის, უფლება ცეკვის,
და როგორც ხისგან გაცვენილ ფოთლებს,
მიგაფრიალებთ ბორბალი ბედის...
მიგაფრიალებთ, სადაც არავინ,
არავინ არის თქვენზე მლოცველი,
სადაც ფულია გულის წამალი,
სადაც ბედია ფულის მომცემი...
მაგრამ, ძვირფასნო, ვინ რა გაუგოს,
ბედისცვალებას, ფერისცვალებას,
ვისღა სცალია თქვენს სააუგოდ,
ან ვისღა ახსოვს თქვენი წვალება...
და თუკი, მართლაც, ასე შემთხვევით,
ზოგჯერ შემთხვევით გხვდებით და გისმენთ,
გადახვეწილნი ბედის მძევლები,
ალბათ, ჩვენთვისაც მღერიხართ ისევ!!!

ამოიღე მაგ გულიდან

ზოგჯერ როცა წარსულიდან
გვესმის თქვენი ხმები,
რა დრო არის გასული და
მაინც ასე ვტკბებით...
რა დრო არის გასული და
თანაც როგორ მწარე,
ამოიღე მაგ გულიდან,
ამოიღე მალე...
რაც კი რამე, რაც კი რამე,
დაივიწყო გინდა,
როცა მიწა მიაყარე,
ვინც სიხარულს გგვრიდა...
და იმღერე იმ წუხილზე
ოცნებებს რომ კლავდა,
შენს მიმწუხრზე, გრძელ მიმწუხრზე,
სასაფლაოს კართან...
და გრძელდება ეს სიმღერაც
უსასრულოდ ალბათ,
ბედი ისევ იბღვირება,
ბედს სხვა უყვარს ნაღდად...
ჩვენ კი ჩავკლათ სიმღერაში,
რამაც დაღრღნა გული,
კარგად მოჩანს შენს მზერაში,
მარტოობა სრული...
მარტოობა, მარტოობა,
განაჩენი მკაცრი,
ბედთან ომი, ბედთან ბრძოლა,
ჟინით, გრძნობით, განცდით...

იცეკვე ჩემთვის

იცეკვე ჩემთვის, იცეკვე ჩემთვის,
რომ ჩავიხედო შენს სულში ჩუმად,
ნუ შეშინდები, თავზე არ გესხმი,
და მაპატიე უხეში თუ ვარ...
საოცარია, შენს გულისცემას,
რომ შემიძლია წლობით ვუსმინო...
რომ ბოლოს, ალბათ, გავანდო ყველას,
რა სული გქონდა, წმინდა, უძირო...
რას არ ამბობენ, რას არ იტყვიან,
ქალზე და ის კი მაინც ქალია,
ან მე უშენოდ რა შემიძლია,
უშენოდ, იცი, რა საწყალი ვარ...
სტუმარს ვერ ვიღებ, ვერ გავაცილებ,
რას ვფართიფურთობ, თვითონ არ ვიცი,
ვინც დამინახავს ყველა დამცინებს,
ჭიქა გამიტყდა, ხელი დავიწვი...
იცეკვე ჩემთვის, თუ შეგიძლია,
იცეკვე ჩემთვის, როგორც პირველად,
სანამ ვენები გადამიხსნია,
ამ წყეულ დღეთა დასავიწყებლად...
იცეკვე ჩემთვის, ჩემთვის იცეკვე,

და ჩამახედე, შენს ნატიფ სულში,
მინდა მივაგნო იქ იმ სიკეთეს,
რომლითაც მშვიდად მკოცნიდი გუშინ...

რა მელის შენგან (ირმა ხაჩიძეს)

ჯობს რომ დავბრმავდე, არა, ისედაც,
კიდევ თუ შემხვდი მე დავბრმავდები,
ეგ შენი კდემა ისე გიხდება,
მაგიჟებს, შენ კი მედაქალები...
ნეტა, გიხსნიდა ვინმე სიყვარულს,
ან გყვარებია ვინმე ოდესმე,
ჰო, იცი, ბევრნი გაგიხსნიან გულს,
თუმცა, სიყვარულს ბევრთან ვერ შესძლებ...
მე კი არ მინდა, მე კი არ მინდა,
თუკი ვინმე გყავს იმას გაგყარო,
მე მოსული ვარ სხვა ვარსკვლავიდან
და თუ მიყვარხარ, როგორ დავმალო...
მიყვარხარ, გეტყვი კიდევ ათასჯერ,
რა მელის შენგან, ტრფობა? სასჯელი?
ძვირფასო, წავალ მე ამ თამაშზე,
თუკი უშენოდ ცოტაც გავძელი...

განა რა მინდა (ნინოს, მესხორაძეს)

როგორ გავიგო, რა გიყვარს, რა გსურს,
თუ არა მნახავ, თუ არ მითხარი,
რატომ მაგონებ მზის და ცის ასულს,
რატომ ანათებ, როგორც ცისკარი...
რა ვიცი, იქნებ არც დაიჯერო,
რომ შენთან მინდა, რომ დაგეძებდი,
მე შველა მინდა, იქნებ მიშველო,
და ნუ დამძრახავ თუ შეგეჩვევი...
ნუ გეღიმება, მე საღიმილოდ,
კარგა ხანია აღარ მცალია,
მინდა ტყვიები რომ ავიცილო,
ჩემი გული ხომ ნატყვიარია...
განა რა მინდა, განა რასა გთხოვ,
ჩემთან მოხვიდე როცა ქარია,
რომ შენი მკერდით ცოტა გამათბო,
რომ დამავიწყო რაც მინანია...
მითხარ, ძვირფასო, მოხვალ თუ არა,
მქონდეს, დღეიდან შენი იმედი?
ჩემს გულს გრიგალმა გადაუარა
და მხოლოდ შენ თუ გააღიმებდი!!!

მოდი, ჩამისხი, ამ ჭიქაში სევდის წვეთები...

როცა მზე ჩადის და სხივები იწყებენ თამაშს,
როცა აჩრდილნი დასალიერს მოადგებიან,
შორს ჰორიზონტი მოვარდისფროდ დაიწყებს ღადღადს,
და მთვარის სხივებს ვარსკვლავები მოაწყდებიან...

როცა მზე ჩავა და ზღვის პირი ალაპლაპდება,
როცა დაიწყებს ღამე დაკვრას სევდის ნოტებზე,
ნიჟარებიდან მარგალიტებს ამოჰყრის ზეცა,
და ჩამოჰკიდებს ქარვის მძივებს მთვარის ყლორტებზე...
მითხარ, ძვირფასო, ყოველი დღე რად მენანება,
რატომ მგონია, რომ ერთი დღით კიდევ გამძარცვეს,
რომ ძველებური სიყვარული და მხურვალება,
მოკვდა და ნუღარ ელოდები ნუღარც ამ ღამეს...
მალე ტალღები ჭინკებივით აცეკვდებიან,
მოდი, ჩამისხი ამ ჭიქაში სევდის წვეთები,
და სანამ ნაპირს თოლიები დააკვდებიან,
ზღვას შევატოვოთ მწუხარების ეს ნაღვერდლები...

ვფიქრობ ერთადერთი ვარ (გალაკტიონი)
ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი (პუშკინი)

ყველას არა აქვს ქვეყნად ღირსება,
და ვერ იქნება ვერც ყველა ბრძენი,
დაფნა ყოველთვის სხვისი იქნება,
მაგრამ სამყარო იქნება ჩემი...
გაუშვი მათი იყოს დიდება,
თუ ასპარეზი სიყალბეს ერგო,
თუმც სიყვარული ჩემი იქნება,
ერის და ვინმემ წამართვას ვეჭვობ...
ზარ–ზეიმები ბევრი იქნება,
მტკვარი წაიღებს დაფნის გვირგვინებს,
მაგრამ სადაც კი ლექსი ითქმება
იქ ჩემი რაშიც დაიჭიხვინებს...

რაც უნდა მოხდეს

მე კარგად ვიცი, რისთვისაც გავჩნდი,
მაგრამ არ ვიცი, თუ დამაცლიან...
მგონი, ოცნებაც გამხდარა მკაცრი,
ზღაპრებსაც მგონი სულ სხვა ფასი აქვს...
თუმცა, ძვირფასო, რაც უნდა მოხდეს,
შენს ზარებს მაინც დაველოდები,
რა ვქნა, ვერ ვიტან იუდას კოცნებს,
ანდა, ვის უყვარს მისი კოცნები..
იცი, რა მიყვარს? შენი ნათება,
შენი თვალების ლურჯი ცისკრები,
შენს გვერდით ყოფნა მეძვირფასება,
როცა ჩემს თვალწინ ჩუმად იწვები...
კიდევ მითხარი, კიდევ მითხარი,
რომ შენც უჩემოდ არ შეგიძლია,
შენა ხარ ჩემი დილის სიზმარი,
ჩემი ოცნებაც და იდილიაც...
და რაც არ უნდა გაცვდეს გრძნობები,
არავინ არ მსურს მე შენს სანაცვლოდ,
მხოლოდ იმიტომ, გემშვიდობები,
სხვის სიყვარულშიც რომ გითანაგრძნო...

ეშმაკმა უწყის

ყველაზე მწარე რა არის, იცი?
ბედნიერებას ციდან რომ ველით,
ის კი ვინ იცის, გევრდითაც გვიზის,
უბრალოდ, უნდა მოჰკიდო ხელი...
ყველაზე ძნელი რა არის, იცი?
შეცდომის პოვნა საკუთარ თავში,
როცა ბრუნდები და არვინ გიცდის,
სიცოცხლე გინდა და არვინ გაცლის...
ყველაზე ცუდი რა არის იცი?
ეშმაკმა უწყის, რაღაცას ვბლანდავ...
იქნებ, იმედის დაკარგვის შიში,
ან იქნებ მკვდრების სამარის ძარცვა...
როცა საფლავზე დაგდებულ ყვავილს,
ლუკმაპურისთვის იპარავს ვიღაც,
ამ დროს ქვესკნელში სატანა ბღავის,
და სირცხვილისგან იწვება მიწა...
როცა თითს აჭერს სასხლეტზე ვიღაც,
მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის,
და ცეცხლის ალში ეხვევა მიწა,
და ტყვია ხვდებათ ღმერთებს მიზანში!!!
როცა დიდი ხნის ცოლი და ქმარი,
ჩხუბობენ სახლში არაფრისათვის,
მოდის და აღარ ბუტბუტებს მტკვარი,
აღარც თავს იკლავს არაგვისათვის...

ბედი ყვავის ტუზს შემომაპარებს

რაც უნდა კარგი დღეები მქონდეს,
ბედი ყვავის ტუზს შემომაპარებს,
წლებს, როგორც ხეზე ჩამომჭკნარ ფოთლებს,
სულს ვუბერავ და მაინც ვფართხალებ...
თუმცა, ვერაფრით ვერა ვჭრი ამ ტუზს,
ვერ დავიჭირე ხელში ჯოკერი,
ტყუილად მიცდი, ძვირფასო, პასუხს,
მიიღებ, ალბათ, ღვთის ხელმოწერილს...
სადაც ჩამოთვლილ ცოდვათა შორის,
არა იმრუშოც, მუდამ წერია...
მე კი ყოველწამს შეცდომა მომდის,
რაც ღვთისთვის, ალბათ, ბევრზე–ბევრია...
ჰოდა, მითხარი, ვინ მომცემს ნუგეშს,
შენი ტუჩები ალუბლისფერი?
თუ სულს დაცემულს და ასე უხეშს
უკვე დაცინვაც ვეღარას შველის...
და რადგან კარტში ისევ ამომდის,
გულის დამა და ყვავის ვალეტი,
მოდი, დავიცდი ამ საღამომდის,
დაველოდები ღმერთი რას მეტყვის...
ნუ გეცინება ჩემი ტაძარი
მე თვითონ ვაგე ჩემი ხელებით,
და ყველაფერი შიგ რაც რამ არის,
სავსეა მართლაც საკვირველებით...
მაგრამ ამ დღიდან, მე ერთი ვიცი,
კვლავ ბედისწერა თუ გადამარჩენს,

რადგან, ძვირფასო, სიკვდილი მიცდის,
და ისევ შენგან ველი განაჩენს!!!

რა მექარება

მიყვარს, მიყვარს ქარი რომ ქრის,
და მზის დისკო წითლად ფეთქავს,
შემოჰყვება ქარებს თოვლი,
და, ნეტა, რა მექარება...
რად მეძახი, რად მეძახი,
ვიცი, სულ არ გენანები,
თუკი ვიყავ შენი განძი,
რად გავძარცვეთ ერთმანეთი...
გათენდა და ქარმა ქარი,
მომიგზავნა, მომისია,
მთვარის გულში გაჩნდა ბზარი,
მთვარე ღამის ლოდინშია...
ქარი ქრის და ალვა ტყდება,
ვიღაც ეძებს ქარში ტაძარს,
ვიცი, ერთად დამატყდება,
ყველა ცოდვა, ყველა ჯვარცმა...
აღარ მოვალ, აღარ მოვალ,
რაც არ უნდა ბევრჯერ მთხოვო,
მეც ვიქცევი ალბათ თოვლად,
რომ ჩვენს სევდას დავათოვო...

ელისო ყუშიტაშვილს... მე ის სკოლაში ქართულს მასწავლიდა...

მე უამრავი რამ დამავიწყდა,
ბევრი ტკივილი და სიხარულიც,
როგორ ჩნდებოდა სულ არაფრისგან,
ოცნება სადღაც გადამამული...
დიახ, ოცნებას ვინც მასწავლიდა,
ვინც ხელს მიწვდიდა და მაქეზებდა,
ვინც დასცქეროდა ჩემს მერხს მაღლიდან
და წიგნის ყდებზე ლექსებს ეძებდა...
ის არასოდეს დამავიწყდება,
მისი ღიმილი და ხელი შუბლზე,
მუდამ ქცეული თითქოს ფიქრებად,
განცვიფრებული შენს სულს რომ უმზერს...
ერთხელაც, როცა შემთხვევით შევხვდი,
სადღაც ქუჩაში, დიდი ხნის მერე,
ვკითხე: მას, ნეტა, რას მაქეზებდით,
მასე ხომ ყველა ბავშვებიც წერენ!
კი, მართლაც, იცი, საშინლად წერდი,
არ დამიმალა და მითხრა წყნარად,
მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ შენ შესძლებდი,
ოდესმე წერას ძალიან კარგად...
ის აღარაა, მაგრამ ის ჩემთვის
დღემდე ჟურნალში კითხულობს სიას,
დღემდე მისი ხმა ისევ ჩამესმის,
დღემდე ის ჩემი ანგელოზია...

ვისაც გინდა უყვარდე

როცა მარტო ვარ და სარკმელს გარეთ,
მემოჩვეული ქარი ხმაურობს...
ფოთლებს წამოყრის, დააბზრიალებს,
და გაირეკავს სამოგზაუროდ...
ან ასე მძაფრად რად მახსოვს, ნეტა,
ძველი ჩარჩო და ძველი დარაბა,
სარკმლის რაფაზე ვერცხლის მონეტა,
და ქარი სულში როგორ ატანდა...
ძვირფასო, ვისაც გინდა უყვარდე,
გიგოს ხავერდის ფიანდაზები,
ვარდებს გჩუქნიდეს თუნდაც მუდამდღე,
კოცნოს ეგ შენი თეთრი მკლავები...
ჩემს ხსოვნას მაინც ვერ შეეხება,
ის ჩემი სულის გახდა მკურნალი,
ჩვენი შეხვედრა იყო შემთხვევა,
გაყრა კი ალბათ გარდაუვალი...

პეპელა ხარ

პეპელა ხარ, სადაც გინდა გაფრინდები,
იფარფატე, ილივლივე ჩემო კარგო,
მრავლადაა ველზე ჭრელი ყვავილები,
შეუძლიათ სილამაზით რომ დაგატკბონ...
მოიცილე, მოიცილე გულის დარდი,
ტყუილია, რომ პეპელა ორ დღეს ცოცხლობს,
დღეს, ვინ იცის, რამდენ ყვავილს შეუყვარდი,
ხომ ვერ მეტყვი, შენ რომელი უფრო მოგწონს...
რამდენს შენთვის სიყვარული აუხსნია,
როცა ნექტარს მის გულიდან მშვიდად სწოვდი,
რამდენს იმ წამს ნეტარება განუცდია,
ალბათ რამდენს სამუდამოდ დაახსოვდი...
ახლა სად ხარ, ნეტა რომელ ყვავილს სტუმრობ,
ვინ გაგიხსნა სამუდამო გულის კარი,
მოდი, ჩემთან, მოდი წყნარად ვისაუბროთ,
მიყვარხარო, როცა შევხვდით, ხომ მითხარი?

ასეა მართლაც

რაც უნდა მოხდეს, მთებს რომ მთები გადაელეწოს,
გაიხსნას ზეცა, წამოვიდეს ზღვა და ღვარცოფი,
დაინგრას მიწა, ქალაქები კოცონად ენთოს,
დანავარდობდეს ქარიშხალი და ქარაშოტი...
უნდა მოგძებნო, უნდა გნახო, უნდა გიპოვო,
სულ რომ დღეები გადაებას არ სასურველი,
მინდა ჩემს გვერდით სიკვდილის წინ შენ იყო მხოლოდ,
რომ იქაც გამყვეს სამუდამოდ შენი სურნელი...
ქარი ჩადგება, დაწყნარდება ოკეანენი,
გამოიხედავს მზე ცის თაღზე გალაღებული,
შენ სხვას ჩემსავით არასოდეს მოენატრები,
ან ვინ იქნება სხვა ჩემსავით შენი ერთგული...
აქ გამეცინა, მივანგრიე, მიწა, ზეცანი,
ავაბობოქრე ყველა ზღვა და ოკეანენი,

მარტო იმისთვის, ჰო, იმისთვის რომ გამეცანი,
რომ ძილქუშიდან გამომეხსენ ნასიზმარევი...
ასეა მართლაც, სილამაზე დიდი ძალაა,
ბედი და ღმერთი უმიზეზოდ არვის ანიჭებს,
ზოგი ამ ქვეყნად ლეღვის ფოთლის ანაბარაა,
მაგრამ თუ შეხვდი, დაგამუნჯებს და გაგაგიჟებს!!!

ხელი მომკიდე

ჩვენ გავფრინდებით, ჰო, გავფრინდებით,
როცა შენ მეტყვი, როცა შენ გინდა..
შეკვეთილი მაქვს, ძვირფასო, ეტლი,
რომელიც ჩვენსკენ მოფრინავს ციდან...
ჯობს აქ დავტოვოთ, რაც კი მიწასთან,
ამ წუთებამდე გვაკავშირებდა;
რაც კი გვიყვარდა, ან არ გვიყვარდა,
რაც ჩვენი იყო და გვაღელვებდა...
აქ ყველაფერი გაუფასურდა,
ჩალის ფასი აქვს დაფნის გვირგვინსაც;
რა დრო გასულა, რა დრო გასულა,
როცა გვწამდა და მართლაც გვილხინდა...
მომეცი ხელი, ჩემს გვერდით იყავ,
ჩემს გვერდით იყავ და არ მომცილდე,
მე აქა ვტოვებ აქაურ ნიღაბს,
არ მსურს, რომ იქაც ნიღბებს ვკოცნიდე!
ამათი იყოს, რაც მიპოვია,
რაც ცეცხლში ვაწრთე და კლდეში ვკვეთე;
აქ ჯალათებსაც ხელზე კოცნიან,
ხელზე რომელიც თავს ჭრის სიკეთეს!
სულ ცოტა დარჩა, სულ ცოტაც კიდევ,
და სამუდამოდ ამ ცას გავცდებით,
ხელი მომკიდე, ხელი მომკიდე,
გინდა გაკოცო? არ გაბრაზდები?

ფრთები (ირმა აგიბას)

იცი, რას ვფიქრობ, ამ ბოლო დროს, რა შემომიჩნდა,
ამბობენ, თითქოს, ადამიანს არ ჰქონდეს ფრთები...
მე კი, ძვირფასო, დაქანცული ამდენ ომისგან,
ეს მერამდენედ მწვერვალიდან დაბლა ვეშვები...
და ერთსაც გეტყვი, ჩემი ფრთები ჩემი ფიქრია,
ფრთები, რომლებიც ვარსკვლავებზე დამაქროლებენ,
აქ რას აკეთებ, ამ მიწაზე ვერ ამიხსნია,
რით ვერ მოგბეზრდა ეს ლაყბობა კატასტროფებზე...
წამოდი ჩემთან, ჩემი ფიქრის ფრთები შეისხი,
წამო, გავექცეთ ამ პრაგმატულ დარდთა სამეფოს,
აქ არ არსებობს, დამიჯერე, ჩვენთვის მერმისი,
არც სიხარული, არც ოცნება აქ არ არსებობს...
იქ კი, ძვირფასო, თოვლიანი მწვერვალებია,
და იმ თოვლივით სულიც ხდება თეთრი, სპეტაკი,
მე მათთან ყოფნა ბავშვობიდან შემყვარებია,
და ამ სიყვარულს ვერაფერზე ქვეყნად ვერ გავცვლი.
მე იქ ორბნი და არწივები მითმობენ ბუდეს,

მათზე, როგორც კი გავიფიქრებ, ჩემთან ჩნდებიან,
და არ არსებობს ქვეყანაზე არცერთი ზღუდე,
რომლებსაც, ალბათ, ჩემი ფრთები ვერ შესწვდებიან!

ერთი ნახვით

ერთი ნახვით შემიყვარდი, მაგრამ,
მხარზე გედო, მგონი, სხვისი ხელი...
ამოფრქვეულ ცხელ ვულკანსა ჰგავხარ,
და ზღვას, ოდნავ გაბრაზებულს ღელვით...
მაპატიებ, დროს ჩამოვრჩი, ვიცი...
ვერას ვუგებ ჩემს მკრეხელურ აზრებს,
შენს სიყვარულს წყალში მშვიდად ვისვრი,
იქნებ თევზი მოვაყოლო ბადეს...
აი, მგონი, ასხმარტალდა კიდეც,
ფართხალებს და კვდება, სუნთქვა უჭირს...
რადგან ჩემში ემოციებს იწვევ,
მაინც ჩამწყდა, რაღაც თითქოს გულში...
რადგან მხარზე გედო სხვისი ხელი,
რადგან ჩემი არ იყავი, ალბათ...
გრძნობებს ვთოკავ, თუმც, ვერაფერს ვშველი,
რას გაუგებ, სიყვარულის ანბანს...

ისეც გაქრა მერცხალი

ხეებიდან გულგრილად
ცვივა სევდის ფოთლები,
შემოდგომის მწუხრიდან
მიმზერ დანათოვლები...
სეტყვის ღრუბლებს ელიან
მდუმარებით კლდეები,
მალე დაიწყებიან
დიდი გადაფრენები...
ყანჩებსა და წეროებს
მიაქვთ სული თავისი,
ვუსმენ სადღეგრძელოებს
არც თუ ისე ხალისით...
ბუნებამ კი შენსავით
ისევ ფერი იცვალა;
ისეც გაქრა მერცხალი
ჩვენი სარკმლებიდანაც...
სულში დღესაც მარადი
შემოდგომის ქარია,
ქვევრში დატკბა ბადაგი
მე კი არ მიხარია...
გახსოვს როგორ გვიყვარდა,
რთვლის ამბების მოყოლა,
რა სწრაფად ჩაინაცრა,
ჩაქრა ჭიაკოკონა...

მყინვარი ვარ

ისე მიკვირს რომ ვერ მამჩნევ,

ვიცი ეძებ, მას, რაც ბრწყინავს,
მაგრამ როცა თვალს შემაჩვევ,
დაინახავ ჩემში მყინვარს...
დაინახავ მდუმარებას,
როგორ ებრძვის ცეცხლის ალი,
რომ ჩამქრალმა ვულკანებმა
გაიღვიძონ თუნდაც წამით...
მაგრამ წამიც ვულკანების
ზოგჯერ ზეცას გადასერავს,
და საოცარ მწუხარების
გაიგონებ ალბათ კვნესას...
ეს მიწაა, მიწა კვნესის,
როცა დგება ავი ჟამი,
და სამძიმარს ვარსკვლავები
უცხადებენ ყოველ ღამით...
შენ გაზაფხულს ელოდები,
აქ კი ცივი ზამთარია,
სდუმან, სდუმან ჩემი მთები,
ვულკანებიც ჩამქრალია...
მყინვარი ვარ, ქარიშხლებმა,
ჩემს კალთებზე დაივანეს,
მაგრამ ღმერთმა თუ ინება,
ასეთ ცივსაც შემიყვარებ!

მოდი ავაგოთ ხომალდი სულის...

მე დავიღალე ამდენი თმენით,
უშენოდ ვსტუმრობ ყველა დარბაზებს,
ძვირფასო, მოდი, რაც დამრჩა დღენი,
ჩემს გვერდით ყოფნით გამილამაზე...
მოდი, ავაგოთ ხომალდი სულის,
ულამაზესი, უძვირფასესი,
და სიყვარულის ტალღებზე ცურვით,
შევტოპოთ ბედის ოკეანეში...
მე გიერთგულებ, შენც მიერთგულე,
და თუ გრიგალებს გადავეყრებით,
ვარსკლავებს, ჩვენი გზების მეგზურებს,
ავაგებინოთ ტრფობის კედლები...
რომ ვერა ძალა და ვერა მტრობა,
ვერასდროს შესწვდეს სიმაღლეს მისას,
თუ მომკლეს, მაშინ, ვარდებად მოვალ,
რომ ხელთ გეჭირო გასვენებისას...

არავინ იცის ეს სამალავი

ისევ ავაგე თმენის კარავი,
მარტო ვარ, ნურვინ ნუ შემეხებით...
არა მჭირდება დღეს მე არავინ,
მტკივა ჩემს სულში, რომ იხედებით...
ეს მერამდენედ უკვე, ძვირფასო,
დაკეტილია ჩემი ტაძარი,
მე კი არ მინდა ღმერთებს მივბაძო,
გარეთ გამოსვლაც ვერ მოვასწარი...

გულგატეხილი შემომცქერიან
ჩამორეცხილი ჩემი ფრესკები,
ბევრი მათგანი ისე ძველია,
ვუცქერი, მაგრამ მაინც ვერ ვძღები...
ვინ იცის, რამდენ ტკივილს ინახავს,
ცრემლით ნაგები ტაძრის კედელი,
ალბათ, ჩემსავით იმ ჩემს წინაპარს,
სული გააჩნდა ხელუხლებელი!!!
და მეც დღეიდან აღარ მეძებოს,
აღარ მეძებოს ქვეყნად არავინ,
რადგან იღვაწებს ის უშედეგოდ,
არავინ იცის ეს სამალავი...
და თუ ღმერთებსაც გამოვექეცი,
როგორ მომაგნებს მე აქ მოკვდავი...
ვერც მე ვიპოვე, რასაც ვეძებდი,
შემრჩა იმედი შეუმოსავი...
და ბილიკებიც ჩემსკენ სავალი,
საფლავის ქვებით გადახერგილა,
ნუ მთხოვთ, ნურავინ, ვერ მოგასწავლით,
ჩამთვალეთ, მკვდრად და გადახვეწილად...

ანგელოზებსაც უყვართ ალერსი

წვიმს, წვიმის წვეთებს სარკმლებში ფრთხილად,
შემოაქვთ სევდა და სინანული,
ვიცი, რომ წვიმის შრიალი გიყვარს,
გიყვარს ფოთლებზე წვიმის ხმაური...
როცა წვიმს, თურმე, იქ მაღლა ცაში,
ანგელოზები ტირიან ჩუმად,
თურმე ეს მათი ცრემლები გვაწვიმს,
გვეუბნებიან ამით სამდურავს...
თქვენ კი, აქ, ჩვენო ანგელოზებო,
ასე რომ გიყვართ წვიმის შრიალი,
როგორ ვიპოვო, როგორ მოვძებნო,
თქვენში ყველაზე კარგი ვინც არის?!
ვინც მაპატიებს ყველა შეცდომას,
სამდურავს გულში ვინც ჩაიმარხავს,
არ დამაფიცებს, ისეც მენდობა..
თან ვეყვარები და დამინახავს...
წვიმს, წვიმის წვეთებს, გარეთ, ბაღებში,
მწვანე ფოთლები დაუნამიათ...
ანგელოზებსაც უყვართ ალერსი,
თუმცა, არ ვიცი რა უხარიათ...

გეპატიება (მიყვარხარ–მეთქი და...)

მეპატიება? ალბათ, სჯობს კიდეც,
მე რა გავიგო ამ სიყვარულის,
ათასი ჭირი ერთად რომ გვჭირდეს,
დავარქვათ ჭირის დღესასწაული... ....
ალბათ, გაივლის ეს მწუხარებაც,
ჩვენს კედლებს ასე შემოჩვეული,
თუმც, ეს დღეებიც დაგვენანება,

ასე ერთფერი და უდღეური....
იქნებ წავიდა და დაიკარგა,
ბედი, რომელიც ჩვენ არას გვკითხავს,
მე იცი, ბევრჯერ, ბევრჯერ მიყვარდა,
აუ, რამდენმა უარიც მტკიცა...
შენ კი იქნები ჩემი ერთგული?
არ მიპასუხო: არა, არცროდის...
მოდის მდინარე ადიდებული,
მოდის, მოღელავს, ნაპირს გადმოდის...
იქნებ წამიღოს, იქნებ გამწიროს,
ბედმა, ვინ იცის, რა ჩაიფიქრა;
ჩემი სიცოცხლის, ტკბილო ნაწილო,
შენ მინდა დამხვდე ყველა ნაპირთან!.

მოდი მესტუმრე

მოდი, მესტუმრე, გულის კარი გავხსენ ბოლომდე,
გამიჩირაღდნე ეს სამყარო ასე სასტიკი...
მოდი, მესტუმრე, თუნდაც იყოს წარღვნის ბოლო დღე,
და რომც სიკვდილმა მომაკითხოს, მაინც დაგიცდი...
და თუ ხატავენ ამ სამყაროს ვარდის ფერებში,
არა იმიტომ, რომ სამყარო ვარდისფერია...
მე ბევრი რამე დავინახე შენს სიმღერებში,
თუმცა, ჯერ ჩემთვის არასოდეს არ გიმღერია...
შენი თვალები გაბრწყინებულ დღეებს მაგონებს,
დღეებს, რომლებიც ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში,
და თუ გავუძელ დღევანდლამდე ამ სიმარტოვეს,
იყო სიკვდილზე გამარჯვება ჩემი რევანში...
და თუ სიცოცხლეს გამუდმებით არად ვაგდებდი,
ეს იყო სწორედ გამოწვევა ამ უკუნეთის,
შენ კი ამ წყვდიადს ცისკარივით მიჩირაღდნებდი,
რადგან სიყვარულს მიმტკიცებდი ზღვა ერთგულებით...
მოდი, მიმღერე, მეც მოგისმენ უკანასკნელად,
მიმღერე, თუნდაც გაძაღლებულ დღეთა სანაცვლოდ,
რომ ცის ნათელი დამადევნონ შენმა თვალებმა,
და სიყვარული ვარსკვლავებად შემომანათონ!!!

დღეები, როგორც ბარბაროსები...

მე მქონდა ფრთები, მე მქონდა ფრთები,
და ვაპირებდი შენს შეფარებას,
თუმცა, ძვირფასო, გულზე ბზარები,
მე დამიტოვეს სევდის ქარებმა...
და ფრთებიც, ერთ დროს ასე გაშლილი,
დავკეცე, ცოდვებს სად გაექცევი,
და თუკი ადრე ვიყავ არწივი,
დღეს მაბზრიალებს ბედის მეწყერი...
თუკი გარისკავ და გამომყვები,
თუ არ მიაქცევ ფრთებს ყურადღებას,
დღეები, როგორც ბარბაროსები,
კვლავ დასარბევად ჩამისაფრდება...
ძვირფასო, ახლა ღამის სამია,
ვუყურებ, როგორ გადის წამები...

რა მწუხარეა ეს ლიტანიაც,
როგორც სხეულზე სისხლის ბზარები...
მე კი მინდოდა მევლო შენს გვერდით,
როგორც დადიან პილიგრიმები...
შემომეძარცვა დრო და შევჩერდი,
და აღარც შენი შემრჩა იმედი...
თუმცა, დროც არის ახლა სხვაგვარი,
სხვისი სიკეთე არ გვიხარია,
დანგრეულია რწმენის ტაძარი,
სულშიც ქარი ქრის დიდი ხანია...

იცინე, იცინე...

ვენდობი, ქარს და ქარიშხალს, სეტყვას,
აბობოქრებულ ზღვასაც ვენდობი,
ვულკანს, რომელიც მეყრება ფერფლად,
ზვავთან ვბაასობ, მუდამ შენობით...
ვენდობი, მეწყერს, ვენდობი ღვარცოფს,
კლდიდან ლოდების ჩამოქცევასაც,
ვენდობი ელვას, მეხს თუ ქარაშოტს,
თვით განრისხებულ მტერს და მდევარსაც...
მაგრამ შენ, ვისაც ამდენი ხანი
ვამკობდი, როგორც ამკობენ ქალებს,
ვეცადე, მაგრამ ვერ გაგიცანი,
და ეს ცხოვრებაც შემომაღამე...
შენ ერთს, ვერასდროს ვეღარ გენდობი,
ჩემი პასუხი მხოლოდ ეს არის,
რას ვიფიქრებდი გველს თუ ვეტრფოდი,
მკერდზე მატყვია შენი ნესტარი!!!

შენ არ მპასუხობ

შენ არ მპასუხობ, მე გელოდები,
იქნებ ამიხსნა შენი სიჩუმე?
ჩემთან მოფრინდნენ ანგელოზები,
მაგრამ ვერ მივხვდი, რა შემიგულეს..
იქნებ სიკეთე, შენ რომ მაფრქვევდი,
და მეც გადმომდე მათი ნაღველი,
ვერ გამიგია, რას მემართლები,
რად შეიძულე ჩემი სახელი...
ნუ მიპასუხებ, მაგრამ იცოდე,
თუ კი ოდესმე კიდევ შემხვდები,
შენი თითები გამომიწოდე,
ახლა რომ უკან მიგაქვს ფეთებით...
იცი, ძვირფასო, მე არ გაშინებ,
არც დაბრუნებას მინდა დამპირდე;
ვინ დააბრუნებს უკან არწივებს,
თუკი წავიდნენ, თუკი გაფრინდნენ...

ნუ დამივიწყებ (თამუნას, ლამაპარაძეს)

აღარ მპასუხობ, გადაგავიწყდი,
აღარც ლექსები, აღარც გრძნობები,

მე კი მაწუხებს, იცი, განვიცდი,
იქნებ, უბრალოდ, მემშვიდობები...
თუ ამ დღეებმა სხვაგან წაგიღეს,
სხვა მიწას რწყავენ შენი ღრუბლები,
მე კი უბრალოდ თვალებს მარიდებ,
და არც სიმართლეს არ მეუბნები...
ისიც არ ვიცი, კვლავ დაგელოდო,
თუ სადმე ველად უნდა გავიჭრა?
ინდოელები დავიმეგობრო?
იქნებ, გავუყვე მეც საჰარის გზას?
ეგებ, არც მოგწონს ჩემი ლექსები,
და იმედებთან ერთად მიფხრიწე,
იცი, ვერაფერს, მართლაც, ვერ ვხვდები,
ვერ ვხვდები, რატომ გადამივიწყე...
მე კი მეგონა, ვნახე ლამპარი,
ცა ვარსკვლავებით განათებული,
ბროწეულივით ლოყადამსკდარი
და პოეზიით გატაცებული...
რას არ იფიქრებს ჩემი გონება,
სად მიმომტყორცნის ცოდნის ძაფები,
და ნურც იოლი ნუ გეგონება,
სიყვარულს მძაფრად თუ ვეწაფები...
ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ,
შენსკენ მეწევა ბედის გორგალი,
მთებში ჯერ ისევ ჰყვავის პირიმზე,
მე რომ დავრგე და შენი რომ არი...

შორს, როგორც ცაა...

შენ არ მოდიხარ, მე ვიცდი მაინც...
ალბათ შორსა ხარ, შორს, როგორც ცაა,
გეძებდი, მაგრამ დავკარგე კვალიც,
ვერ ამიხსნია, რა გამოცდაა...
იცი, არ არის ახლა ამის დრო,
ისევ ვარჩიოთ ძველი ამბები,
რა სისხლიანი იყო აგვისტო,
რა დრაკონივით შეუბრალები...
და თუ ვერ გნახავ ვეღარასოდეს,
თუკი ვერაფრით ვეღარ მოგწვდები,
კვლავ მომაკითხავს ის სიმარტოვე,
რის გამოც ასე დიდხანს მოგდევდი...
როგორც მდინარე გულზე გადამდის,
ხსოვნა, რომელიც შენ დამიტოვე...
და სინანულიც გროშად არა ღირს,
რადგან არა ხარ ჩემს სიახლოვეს...
ნეტა, სად ათევ ღამეს, ღრუბლებში?
თუ ყულფით მთვარის ქიმზე ჰკიდიხარ?
ქარებმა მითხრეს თავის ნუგეში,
შემომჩიოდა ზღვა ნაპირიდან...
გავედი, მაგრამ ვერ მივაგენი,
წაშლილა შენი ნატერფალები;
რად ჩურჩულებდნენ შენი ბაგენი,
სულ მეყვარები, სულ მეყვარები!!!

ძვირფასო, იცი, მე თოვლში ჩავრჩი...

უკვე დაიძრნენ თეთრი ღრუბლები
და თოვლსაც ველი, როგორც მრავალ წელს,
და ვიცი, რადგან გესაუბრები,
ისევ შენ მოხვალ და გადამარჩენ...
რატომ მგონია, რომ ჩემთვის გაჩნდი,
თუ შენს თვალებში ვკითხულობ ამას...
ძვირფასო, იცი, მე თოვლში ჩავრჩი,
და სული ჩემი კვლავ ხელით დამაქვს...
როგორ მინდოდა, ისევ მეხილე,
შენ კი სახეზე ხელებს იფარებ,
ვერ გავუძელი მე ქარტეხილებს,
მე სულით ხელში გარდავიცვალე...
თოვლი კი, ისევ და ისევ მოვა,
ისევ მოვა და გადაგვათოვებს,
შენთან მექნება მე ერთი თხოვნა,
პატივი ეცი ჩემს სიმარტოვეს...
შენ კარგად იცი, გელოდე დიდხანს,
არც ტკბილი სიტყვა არ დავიშურე,
ის სიყვარული იმ ქარებს მიაქვს,
კარს რომ გვიღებდნენ კართან მისულებს...
მე გამჭვირვალე თოვლს ველოდები,
რომ ნაძვნარივით მორთოს ქალაქი,
მაშინდელივით თოვლში ვშორდებით,
ისევ თოვლია ჩვენი ჯალათი...
ძვირფასო, იცი, მე მაინც მიყვარს,
ჩუმად რომ დგახარ და თოვლი გათოვს,
და შენი სახეც თეთრი თოვლისგან,
რომ ემსგავსება ზეციურ მნათობს...
და როცა უნდა მაშინ მოვიდეს,
ან თუ არ უნდა, სულაც ნუ მოვა,
გეტყვი, რომ ისეც ვხედავ თოვლისფერს,
ბოლო დროს წლებმა რომ დაგვათოვა...

მივაგენი რაღაც ისეთს

მივაგენი რაღაც ისეთს,
მოგონებებს რძით რომ კვებავს,
პირველ კოცნის სიფაქიზეს,
პირველ ღამის სიტკბოებას...
შიში, თრთოლა, შეშფოთება,
ძუძუს კერტი გაკვნეტილი,
ეჭვიანი შემოხედვა,
შეკივლება და ტკივილი...
ჩაყუჩება, გაყუჩება,
მკერდში გულის ბაგაბუგი,
ცოტა კოცნა საჩუქრებად
სახე მშვიდად გაბადრული...
ჩვენ ამ ღამეს, პირველ ღამეს,
იმ ნაღვლიან დღეებს ვპარავთ,
რაც სულ მალე უნდა დადგეს,
რაც იმ სიტკბოს გადაფარავს...

თვალები, სევდის ამოცანები... (თამუნა ვარდიას)

ამ მწუხარებას, უენოს, უხმოს,
ეხამებიან მკვდარი ფოთლები,
ძვირფასო, იქნებ გაწუხებ ცუდ დროს,
იქნებ ვინმე სხვას ესაუბრები...
სულ არ ვაპირებ შენი განწყობა,
შევცვალო რამე მხიარულ ნოტზე,
მე შენი სახე დამამახსოვრდა,
ამ შემოდგომის ფოთლების ფონზე...
ამბობენ თითქოს ჩვენს გაჩენაში,
ღმერთების ხელი არ ურევია,
მიფრიალებენ ფოთლები ქარში,
და ქარიც მგონი ქარვისფერია...
ვიცი, ვერავინ რომ ვერ ამიხსნის,
რაზე ფიქრობენ შენი თვალები,
რა საზღაური გელის დარდისთვის,
თვალები, სევდის ამოცანები...

რექვიემი

ღამეა, უკვე, ალბათ, ქარებმა,
გამოიძახეს მკვდარი სულები,
ხმა ამოიდგეს ქარში ზარებმა,
ცვივა ზეციდან სასწაულები.
ჯერაც არ მძინავს, ღმერთს ველოდები,
ღამე კი დაძრწის შავი ლაბადით,
ვინც ცოცხლები ხართ ყველა მოკვდებით,
ზოგი მშვიდად და ზოგიც ღალატით...
ღამეა, მაგრამ არ მეძინება,
ანგელოზი მყავს ქარიზმატული,
გადააშავეს შავმა ფიქრებმა,
მთელი აწმყო და მთელი წარსული...
წუხს რექვიემი ვით სასაფლაო,
ღამემ აჩუქა შესამოსელი,
შენი სახელი ცაში ქანაობს,
ვეცადე მაგრამ ვერ ჩამოვხსენი...

სული თითქოს საზღვრებს გასცდა

შემოდგომაც გადის, გადის,
უკანასკნელს ითვლის წუთებს,
ხიდან ყვითელ ფოთლებს ბარდნის,
ამდენი ხნის ნასათუთებს...
რაღაც სევდა, რაღაც განცდა,
დასტყობია საღამოებს;
სული თითქოს საზღვრებს გასცდა,
და სამყაროს ჩუმად სტოვებს...
როცა ფოთლებს აწრიალებს,
რაზე ფიქრობს, ნეტა, ქარი,
ზამთრის ყინვებს ნაზიარებს
ისევ ვერსად გავასწარი...

რაც კი ჰქონდა ამ გულს სითბო,
თუკი ვინმე ჰყვარებია,
გაატანა ყველას თითქოს,
წვეთებივით გაელია...
მივალ, ქუჩებს მივუყვები,
ქუჩებს სევდის ფერით მოსილს,
და მაბზიებს თეთრი ფრთებით,
შემოდგომის ანგელოზი...

მესროლე, ძვირფასო!

არ აჰყვე, ამ ენებს, არა ღირს, არ აჰყვე,
ყველანი თავისი სიკვდილით კვდებიან,
რა დათვლის ამ ქვეყნად ტყვიებს და ღალატებს,
ტყვიები ყოველთვის რჩეულთა ხვედრია...
უფრთხილდი, უფრთხილდი, ვინც შენთან ახლოა,
ვინც სულში გიძვრება და რჩევებს არ გაკლებს,
ვინც გულზე ნაკაწრებს გიტოვებს სახსოვრად,
და ღამით გპირდება დედოფლის სასახლეს...
არ გჯერა, მე შენთვის ცის ცრემლებს ვაგროვებ,
ვაგროვებ სევდებს და ვარსკვლავთა ნამსხვრევებს...
აღარ მიგატოვებ, აღარ მიგატოვებ,
თუკი ვიქნები და თუკი ვიარსებებ...
ვინ მეტყვის, ძვირფასო, რა არის ეს გრძნობა,
რომელიც ძილშიაც შენს სახელს მახსენებს,
მჭირდება, მჭირდება შენი თანაგრძნობა,
ხელი შემაშველე, ხელი შემაშველე!
უდაბნოს სტეპებში მივყვები ქარავანს,
აქ ცხელი ქარია და ქვიშის ღრუბლები,
იმედი არა მაქვს, იმედი არა მაქვს,
იმედი არა მაქვს, რომ კვლავ დავბრუნდები!
ბევრჯერ დავეწაფე მაგ სულის ოაზისს,
რომელიც მაისის ვარდების ფერია,
დრო არის, დრო არის, დრო არის, დრო არის,
მესროლე, ძვირფასო, დღეს შენი ჯერია!!!

მე შენი მწარე ეკლებიც მიყვარს

ვიცი, შევხვდებით, ალბათ, სულ მალე,
და წინ ვარდივით გადამეშლები,
მე ბულბულივით იქვე სულს დავლევ,
მე მაგ შენს ეკლებს წამოვეგები...
რათა გაცოცხლო, ძვირფასო, დიდხანს,
რათა არ დაჭკნეს შენი ფურცლები,
მე შენი მწარე ეკლებიც მიყვარს,
ფოთლებიც, ფესვიც მიყვარს უკლებლივ...
და მიხარია, ძვირფასო, რადგან,
ეს ჩემი სისხლი შენში გადმოვა,
მე ხომ სიკვდილით არაფერს ვკარგავ,
მე ხომ შენს ნაცვლად ვარდად ამოვალ...
ვიცი, რომ ვგალობ უკანასკნელად,
რომ წვეთ–წვეთობით სისხლად ვიცლები,
ნუ შეწუხდები, არ მინდა შველა,

მეამაყება, რომ შენთვის ვკვდები...

ჩემს ტანზე ჩურჩულს დაიწყებენ შენი მკლავები

შენ არ გეგონოს არ მესმოდეს შენი გულისთქმის,
უბრალოდ, ცაა მოღრუბლული და სევდა მიპყრობს...
რაც უნდა მოხდეს, გესტუმრები გაზაფხულისთვის,
ერთად ვუმზიროთ, როგორ აფრქვევს მზე მიწას სითბოს...
ერთად ვუმზიროთ, ზღვის ნაპირას მიქცევ–მოქცევას,
ერთად ვუმზიროთ, ტალღა–ტალღას რომ ეფერება,
და ნუ დამძრახავ, თუ ისეთი რამ წამომცდება,
რაც მერე უნდა აღასრულონ ჩემმა ხელებმა...
პრიალა კანზე გველებივით გაისრიალონ,
და როცა შემკრთალს მოგინდება წამოკივლება,
ძუძუს კერტებთან ეს ხელები შენს აზრს მიასწრობს,
და ტუჩზე კოცნაც გააქარწყლებს შთაბეჭდილებას!
და შენც ბავშვური სიყვარულით ბედს მინდობილი,
სიძვის საჩუქარს ერთხელ კიდევ ეზიარები,
და როგორც ბაღი სულ ახალი გადაფოთლილი,
ჩემს ტანზე ჩურჩულს დაიწყებენ შენი მკლავები...

შენც მთების თეთრი ვარდი ხარ

ხან ისე შემომენთება
შენი წყურვილის წადილი,
როგორც კლდის წარაფებიდან
ჩანჩქერი გადმოვარდნილი.
ხან სევდის თაიგული ხარ,
ხან ნაკადული ანკარა.
შენი თვალები თაფლები
რა სიყვარულით გამთბარა...
მიყვარს შავ თმებში ჩაწნული
შროშანის თეთრი ლამპრები,
თანდათან უფრო ქალდები,
თანდათან უფრო ზღაპრდები...
ეგ უანკარო ღიმილი,
როგორ გიხდება ბაგესთან,
ხალმიხატული ძუძუსკენ
ორივე თვალი გამექცა...
მინდა მაგ ბროლის მძივებთან
მაგ ნაწნავებით ჩავეწნა.
ხან სევდის ქარიშხალი ხარ,
ხან ნატვრის წვიმა ჟუჟუნა,
პირიმზემ თავის დაქალებს
თვალები ჩაუჟუჟუნა.
შენც მთების თეთრი ვარდი ხარ,
არე–მიდამოს ანათებ,
მზეო, ნურასდროს ჩაქრები,
ნუ დააღონებ წარაფებს...

ჩვენი სიყვარული ეს ჩვენი ტანგოა

შენი სიყვარული, როგორც იდილია,

მე, ალბათ, საფლავის კარამდის გამყვება...
შენ მეტყვი, ჯერ რა დროს შენი სიკვდილია,
იქამდე გრძნობები შემოგეძარცვება...
რა გითხრა, ვინ იცის, სიკვდილის დაკრულზე,
ვინ მღერის, ვინ ცეკვავს და ვინ რას თამაშობს...
მოვასწროთ, მოვასწროთ, ასე გიპასუხებ!
ხომ შესაძლებელია სიკვდილმა დაგვასწროს!
ჩვენი სიყვარული ეს ჩვენი ტანგოა,
სიცოცხლე გვთავაზობს ჟღრიალა აკორდებს,
მაკოცე, მაკოცე, სიკვდილი ახლოა,
მაკოცე, ძვირფასო, ძლიერად მაკოცე!
მომეკარ, მინდა რომ კოცნა მისახსოვრო,
კოცნით გავახუნოთ ზეცის მხურვალება...
არასდროს, არასდროს მარტო არ დამტოვო,
შემჭამონ, შემსანსლონ მაგ შენმა თვალებმა!!!

მეტკბილე და მებადაგე

მოდი, მოდი, სადმე მივსხდეთ,
შევაგებოთ ბაგეს–ბაგე,
გამიხსენი მარწყვის ტუჩი,
მეტკბილე და მებადაგე...
რაც გენებოს, რაც გინდოდეს,
ჩამჩურჩულე სანატრელო,
შენებურად მომეფერე,
ცუდო, ცუდო, საძაგელო!
ვინ რა იცის, რა ტკბილია,
როგორ მიყვარს, როგორ მაბნევს...
შენი ერთი შემოხედვა,
ტრფობას როგორ მიორმაგებს...
ან რას ჰქვია იდილია,
ან რა არის სიყვარული,
ჯადოქრების ღიმილია,
თუ გრძნობათა ჟრიამული?
ჰოდა, მოდი, სადმე მივსხდეთ,
შევაგებოთ ბაგეს–ბაგე,
მოდი, მოდი, ჩამჩურჩულე,
მეტკბილე და მებადაგე!

გადამიარა, ძვირფასო, ვკვდები...

ვიცი, რომ მუდამ ნოტების ტყვე ხარ,
გალუმპული ხარ ნოტების თქეშით...
მე კი ფოლადის რელსებზე ვწევარ
და ორთქმავალიც სულ ახლოს ხვნეშის...
აი, დაიწყო ვარდების სეტყვა,
აი, დაეცა ტიტა კლავიშებს,
და ნოქტიურნის მსუბუქი სევდა,
სპილენძის სიმებს ფრთხილად აშიშვლებს...
და ბგერა როგორც სანთელის ალი,
დარბაზის კედლებს მკრთალად ედება,
კვდება, ფართხალებს ნოტებზე მკლავი,
სცენაზე კვდება შემოქმედება...

და ორთქმავალიც მეტალის ფრთებით,
მოდის, თანდათან მიახლოვდება,
გადამიარა, ძვირფასო, ვკვდები,
მოდი, მაკოცო, მსურს საფეთქელთან!

მუზა

როცა შენ გძინავს მე არ ვხმაურობ,
მე ჩუმადა ვარ და მუზას ველი...
მე ხომ მუზასაც უნდა გავუგო,
შენ ახალი ხარ, მუზა კი ძველი...
იცი, რით დადის? გაგიკვირდება...
ახლაც მესტუმრა ფარჩა–ატლასით,
ფრთები არ უჩანს, ლექსს კი მპირდება,
თავზე კეპი აქვს, ფეხზე კი ფლასი...
აი, რა მიყვეს, თეთრ ფრთას მიჩვენებს,
ნახე წამაჭრეს წუხელ ამ მგლებმა,
უნიჭოები, ლექსებს რომ წერენ,
კინაღამ მომკლეს ამ ნაბიჭვრებმა...
თავში წამომკრა, შენ, შენ რას შვრები?
და ჩამომიჯდა მაგიდის ქიმზე,
რა ამბავია, აღარ მეშვები?
ჰო, არ მომეშვა ამ მგლების ჯიბრზე!
ხედავ, ფრთაც თითქოს წამომეზარდა,
ხედავ დაეტყო უკვე სითეთრეც,
არ მიმატოვო, ვინც რა უნდა თქვას,
ასე უბრალოდ ნუ გამიმეტებ...
მითხრა და თავის ფლასი–ფლუსებით,
როგორც მოვიდა, ისე წაბრძანდა...
ლოყაზე დამრჩა მისი ტუჩები,
იცი, მთლად წითლად გადამაჯღაბნა...

მკოცნე, მკოცნე, ძვირფასო!

მკოცნე, მკოცნე ძვირფასო,
გამიცვითე ტუჩები,
შემომაჭდე მკლავები
ეგ სულის მარწუხები...
მოდი, მოდი, ძვირფასო,
მაცინე და მატირე,
მჯერა, მჯერა ყველაფრის,
რაც არ უნდა დამპირდე...
მოდი, თორემ საცაა,
შემშლის პროზა ყოფისა,
მავიწყდება სიკვდილი
მხოლოდ შენთან ყოფნისას...
გესმის ვნების კუნძულზე
დაფდაფები ხმიანობს...
ჩემო მწიფე მტევანო,
ქარვის მარცვლებიანო...
აი, გავხსენ საკინძე,
რომ ცხელ მკერდზე დამაკვდე,
მოდი დამისაკუთრე,

მერე თუნდ გადამაგდე...
მოდი, მინდა ბავშვივით,
მაცინო და მატირო,
მოდი, გადამავიწყე
ეს სევდის სანაპირო...
მოდი, მკოცნე ძვირფასო,
გამიცვითე ტუჩები,
გამოვტაცოთ ამ ღამეს
უტკბილესი წუთები...

ლილისფერ ცას

ლილისფერ ცას ლილისფერად
შეეფაკლა ლოყა...
ზღვის ცივ წყალში მთვარე ჩადის,
ტალღა ნაპირს ლოკავს...
ზღვის ტალღიდან ასხლეტილი
მთვარის ორი სხივი,
მინანაობს–მონანაობს
წყალზე როგორც ტივი...
წამო ტივზე ვინანაოთ,
გავშიშვლდეთ და გავწვეთ,
შენც ხომ გიყვარს, როცა ტივი
აკვანივით გვარწევს...
ყველაფერი აქ დავტოვოთ
ზღვას მივანდოთ ბედი,
სამუდამოდ გადავხლართოთ
ორი თეთრი მკერდი...
ლილისფერ ცას, ლილისფერად
შეეფაკლა ლოყა...
ზღვის ცივ წყალში მთვარე ჩადის,
ტალღა ნაპირს ლოკავს...

სიყვარულის ცეცხლში ვიწვი...

სიყვარულის ცეცხლში ვიწვი,
ნუ დამინგრევ ტრფობის ტაძარს...
მე ხომ ღმერთმა ამ გრძნობისთვის,
ნეტარება მომისაჯა...
ან ვინ მეტყვის, ვინ ამიხსნის,
რისთვის ვეტრფი ამდენ ქალებს...
ან ეს ყვავი სამასი წლის,
თავზე რატომ დამყრანტალებს...
ალბათ, ვინმე ბებუთს ლესავს
და შორიდან მითვალთვალებს...
თან იძახის: ვაი, დედას,
ჩამივარდე ერთი ხელში!
გაგწურო და როგორც ვაზი
გაგატარო საწნახელში!
სად წავიდე, სად გავექცე,
ამ უდაბნოს, ამ შავ მიწას?
მართლაც ტყვია რომ მესროლონ,
ვინ მიშველის, ვინ დამიცავს!?

ნუთუ მთელი ოკეანე
მარტომ უნდა გადავცურო,
გამომიდგეს შენი ქმარი,
გავხდე ქვეყნის სასაცილო...
არ არსებობს, არ დავინდობ,
თავზე ხელი ამიღია,
მეც ავლესავ ჩემ იარაღს,
ჩემ ძველებურ გორდას ფხიანს...
დამეცემა? შევაგებებ,
ვიცი ჩემიც გაჭრის ხმალი,
ხმაურობდეს რკინა ხაფი,
თვალსა გვჭრიდეს ნაპერწკალი!
თუ მაჯობა მისი იყავ,
თუ ვაჯობე ჩემი გახდი,
წამოიღე შენი ჯვალო,
ჩემს ეზოში გადმოსახლდი...
გავაშენოთ სევდის ბაღი,
ორიოდე წყრთა ვენახი...
იმ ღამესვე ერთად დავწვეთ,
კოცნის მთები ავაგოროთ,
და წლისთავზე ტყუპი ვაჟი
წყვილ აკვანში ჩავაგოროთ!

ვგიჟდები შენზე

ვგიჟდები შენზე, შენზე ვგიჟდები,
თუნდ წალეკილა მთელი სამყარო,
თავხედობისთვის ნუ გამიწყრები,
მინდა, რომ გული შეგიფართხალო...
შეგიფართხალო, როგორც ბეღურას
შეაკრთობს უცბად სიოს ხმაური,
რომ მერე შიშით გარინდებულმა,
ბოლომდე შესვა ეს სასწაული...
რასაც ვნებათა დაცხრომა ჰქვია,
ამოუხსნელი ჩვენი წადილი,
ვით სიყვარულით ნასროლი ტყვია,
ვით ასჯერ განცდა ერთხელ განცდილის...
და თუ ასრულდა ეს ჩემი ნატვრა,
არ გავიხედავ არასდროს გვერდზე...
სულ არაფერი ქვეყნად შენს გარდა,
შემიყვარდი და ვგიჟდები შენზე!!!

მარულა

თურმე ისევ შემყრია პოეზიის ცხელება,
ვზივარ ცისარტყელაზე, არა, არ მეჩვენება...
ვზივარ როგორც თავადი, როგორც შაჰი მერანზე,
და გავყურებ შორიდან ეშმაკების ჭენებას.
ჩემს ბრძანებას ელიან, აგზნებული თვალებით,
ისე იმუქრებიან, ლამის სივრცე გადაღრნან,
მიყვარს მათი წითელი ფერის ყაბალახები,
მიყვარს მათი ჭიხვინი, რომ ჰგავს მეხთა გავარდნას.
თითქმის ყველა აქ არის, წრიალებენ, ბრუნავენ,

ყველაფერი მზად არის, რჩება ხელის აღმართვა,
უკვე მესმის შორიდან დაფდაფების გრიალი,
აი, დადგა წამები, როცა ხარ და არცა ხარ.
ქაჯთა ლეგიონების რბოლა გადამდებია,
მესმის მათი ძახილი: "ნუ იქნები კეთილი"!
ხელი მშვიდად აღვმართე, როგორც ღმერთებს სჩვევიათ,
და დაიწყო მარულა, გრძელი, თავაწყვეტილი...
ატყდა ერთი გნიასი, ფეხზე ხელის ტაცება,
ყირა-ყირა გადასვლა, რქებზე რქების ჯახანი,
პირზე დუჟმორეული ბრბო ქცეულა მტაცებლად,
ცხენებს გახელებულებს ყალყზე უდგათ ფაფარი.
თითქოს ცის კაბადონი გაჟღენთილა სიავით,
თითქოს კვალი დაატყვეს თვითონ უსასრულობას,
ისმის შოლტის ტყლაშუნი, კბილის კბილზე ღრჭიალი,
სწრაფად მიახლოვდება გრძნეულების სარდლობა.
ჩემ რაშს დეზი შემოვცხე, მოვადუნე ლაგამი,
წინ, წინ გასწი, გაფრინდი, უკან მხოლოდ მტერია...
მომდევს გაცოფებული ეშმაკების ლაშქარი,
მთლად ხანძარში გახვიეს გალაქტიკის პრერია.
ჰოდა, უნდა გავფრინდეთ მე და ჩემი მერანი,
თუნდაც ერთად ჩამქრალა ცაზე ყველა ვარსკვლავი...
ჩემს მიწაზე ყოველთვის ეშმაკების ჯერია,
ჩემს ნადიმზე ყოველთვის თამადობდა აფთარი.
ჰოდა, მარად წინ, ცისკენ, უკან რა დაგვრჩენია,
ვეღარ აღწევს ჩემამდე ეშმაკების ტატყანი,
შორს, ვარდისფერ ღრუბლებში მეგობრები მელიან,
სადაც ვერცხლის მთებია და ვულკანის ნაპრალი.
აბა ქაჯთა ურდოებს როგორ უნდა ავუხსნა,
ვინ ვარ, საით მივფრინავ, რაა ჩემი მიზანი,
ტყვია ჩემსკენ ნასროლი, დღემდე ყველას აუცდა,
ვერა, ვერ დამაჩოქებს, კბილთა ღრჭენა მგლისანი.
განა იმას ვქადაგებ, რომ ცის ნაშიერი ვარ,
რომ მზესავით ვანათებ, როგორც ვინმე წმინდანი...
წმინდანობა არ მინდა, ახდეს რაც მიწერია,
მწვავდეს ჩემთა ცოდვათა ალნი ნაკვერჩხლისანი.
ისევ მითრევს, მეწევა ეშმაკების მარულა,
ლამის მომწვდეს, შემეხოს მათი შოლტის ნაწნავი,
არა, არ მეჩვენება, სამყარო გაბზარულა,
და შიგ მილიონების ისმის კვნესა-წკავწკავი.
მე კი უკვე შორსა ვარ, მერანს მივაგრიალებ,
უსასრულო ჭენების ჟინით გაუმაძღარი...
ჩემს წინ მილიარდობით ვარსკვლავები ბრდღვიალებს,
უკან კი ბნელეთია და წყვდიადი საზარი...
მაშ წინ, ჩემო მერანო, ჩემი ბედის ზიარო,
უკან დარჩეს ეს მიწა, ეს ველური ქალაქი,
სადაც უნიჭოების საყვირები ხმიანობს,
შეშლილების დოღია და ქაჯების პარადი.

დეკადანსი

ო, მზე ამოდის, ო, მთვარე ჩადის,
აღარა მჯერა ამ სიყალბისა...
აღარა მჯერა, არც მზის არც მთვარის,
არც ქურდბაცაცა პოეტებისა...

საშინელია ყალბი პათოსი,
ყალბი დატკბობა, ყალბი ღიმილი...
მზე სად მოძებნეს ამ უდაბნოში,
მთვარეს რა უნდა ამ სიძულვილში?
ჰოდა, ძვირფასო, ყურს ნუ დაუგდებ,
ყურს ნუ დაუგდებ ამათ ლაყბობას...
მთვარე გველეშაპს ჩაუყლაპია,
მზე არასოდეს აღარ ამოვა...
მეტყვი, საიდან, ეს რა ლექსია,
რა საჭიროა ეს დეკადანსი?
შენ რამეს ხედავ? ხედავ ჰორიზონტს?
ვერ ხედავ, არა? დამიჭი თასი!
ისეთი შხამით უნდა გავავსო,
ერთად გავჟლიტო მთელი პარნასი!

ყველა ერთად შევაგროვე

ისე გარბის, დროის სრბოლას
ვერ ავუწყე ფეხი...
ბედმა სადაც მომისროლა
ყველგან სატრფოს შევხვდი...
ყველა ერთად შევაგროვე
ჩემი გულის მკვლელი...
ვინც გამიყო სიმარტოვე,
გამიშიშვლა ყელი...
ყველა ერთად, ყველა ერთად
გარს მეხვევა ღამით,
როცა დგება ერთადერთი
უტკბილესი წამი...
თეა, ნინო, ნატალია,
ბევრს ვეღარც ვცნობ უკვე,
მათ სიზმრებში ჩარჩენილა
ჩემი სიჭაბუკე...
ჰოდა, როცა მოგონება
დროის ფარდას არღვევს,
კვლავ ვნებდები წარსულიდან
გადმოსროლილ ტალღებს...
ერთად, ერთად შევიყაროთ,
ვინც როდესღაც შემხვდით,
ვინც გაიღეთ სიყვარულის
ჩემთვის თუნდაც წვეთი...
მაგ თქვენს წვეთებს, ძვირფასებო,
ხსოვნის თასში ჩავცლი,
რომ დაბრუნდეს ყოველივე
ისევ ისეთ განცდით...
იმ სიგიჟით, იმ ვნებებით,
იმ უსაზღვრო ლტოლვით,
ერთ დროს ჩვენ რომ გვყვარებია
და მოგვიკლავს კოცნით...

თითქოს ცეცხლი მედება

ისე ჩაიგრიალა შენმა მატარებელმა,

როგორც სევდის გრიგალმა,
თოვლით, თქეშით, ზრიალით...
მე ხომ შენი მფეთქავი
მკერდი ჯერ არც მეგემა,
როგორც მწიფე მტევანი,
სავსე, ბადაგიანი...
ახლა ჩემი საწოლი
ღამის შავი ბაგეა,
თითქოს ცეცხლი მედება
და ნელ–ნელა ვიწვები...
მითხარ ვის ჰყვარებიხარ
ასე შეუბრალებლად,
ასე მიამიტურად,
ასე თავდავიწყებით...
გიგონებ და ჩუმჩუმად
ვიმზირები წარსულში,
ჩემი გული ფრიალებს,
გაზაფხული მკრთალდება...
ვიცი, ეს ქარიშხალიც
ერთს გადაიგრიალებს,
შემოდგომა მოვა და
მიწა გადაქარვდება...

არწივს რად უნდა მეტოქე

მგონიხარ ნასიზმარევი,
მოხვალ, ნაპერწკლებს მოაფრქვევ...
ბროლ–ალმას–ფირუზ ნარევი,
მკლავ ყოველ ჩამოქროლაზე...
შენ ჩემთვის ანდამატი ხარ,
მე შენთვის შავი მორევი,
მაგ შენი მზერით დავჭრილვარ,
როგორც ტყვით ნიამორები.
არწივს რად უნდა მეტოქე,
ვერ მივხვდი რად მეტოქები...
შენს ოცნებებში შევტოპე,
შენს კერტებს დავეთოვლები...
ნუ ემზადები საომრად,
მე დუელს კი არ გთავაზობ...
შენ მოჩუხჩუხე წყარო ხარ,
მინდა მეც გაგეკალმახო...
შენ ალბათ ისიც არ იცი,
ეს ვარსკვლავები პატარა,
მზე და მთვარე რომ დასცილდნენ
ცას მაშინ გამოაყარა...

შემოდგომა ძალას იკრებს

ნუთუ რამე შეედრება
სევდას ცა რომ დაგათოვებს?
ფოთლის თრთოლას, ფოთლის კვდომას,
შემოდგომის საღამოებს...
ყვითელ ბაღში ნაკადულთან

შაშვის ხმას და სიჭახჭახეს,
ფანჯარაში ქალის სახეს,
შემოდგომის ნაღვლით სავსეს...
მაგრამ ვიცი, ჯერ შენ ალბათ,
არ გაწუხებს შემოდგომა,
და გულშიაც სევდის ნაცვლად
სიყვარულის გესმის ქროლა...
არ დაეძებ პატიებას,
არ გადარდებს ეჭვის კვალი...
ან დღეები რატომ ხდება,
ნაღვლიანი, სევდიანი...
ჯერ არ ცივა, ჯერ აგრილდა,
შემოდგომა ძალას იკრებს,
და შავთეთრი სურათიდან,
შენი სახე წყნარად მიმზერს...
მიყვარს, მიყვარს შემოდგომა,
ქარვისა და მარჯნის ფერის...
ბაღში მშვიდი ფოთოლთკვდომა,
და დღეები დავიწყების...

შენც წითელი ყვავილი ხარ

არ გინახავს თოვლის ფიფქი
ბაღში ვარდებს როგორ ათოვს?
წითელ ფურცლებს თავის ფიქრის
თეთრ მოსასხამს შემოაქსოვს...
მე ვფიქრობ, რომ ვარდს არ სცივა,
ვარდს ჩემსავით უყვარს ფიფქი...
ცვივა, ცვივა ფიფქი ციდან,
ის თავს იკლავს ვარდებისთვის...
და აბრწყინებს ვარდის ფურცლებს,
ფიფქის ნამი, ფიფქის სუნთქვა,
ჰო, მინახავს, წითელ ყვავილს
ფიფქი როგორ ესათუთა...
შენც წითელი ყვავილი ხარ,
ყლორტზე თეთრი დალალებით...
მეც ვიქცევი თოვლის ფიფქად
და შენს ფურცლებს დავადნები...

ღამე ლეწოს ქარიშხალმა

მინდა, მინდა, მინდა დავტკბე,
ისევ შენი სილამაზით,
მზეს მოჰგავხარ, საღამოს რომ
დამშვიდებულ ზღვაში ჩადის...
გაზაფხულის ყვავილი ხარ,
მოწყვეტილი სხვისი ხელით,
გადამაცდენ ვიცი გზიდან
და ვერავინ ვერ მიშველის!!!
და არც მინდა, რომ ძვირფასო,
ჩუმად, მშვიდად, სახლში მოვკვდე,
ეს ცხოვრება ჩალად ფასობს
და შენცა ხარ ამის მოწმე...

ამიტომაც ქარიშხალში
და ზვირთებში ყოფნა გვიჯობს,
ჩამოასხი ღვინო თასში
და დილამდე ერთად ვიყოთ!
ღამე ლეწოს ქარიშხალმა
და სარკმელი აჟღრიალოს,
მოგვატანოს გარიჟრაჟმა,
ვნებამ ტანში დაგვიაროს...
ვკოცნოთ, ვკოცნოთ ერთმანეთი,
სანამ გვახრჩობს ამის ჟინი,
რომ ჩემს ხელში, როგორც მტრედი,
თრთოდე ღამის ყვავილივით!
გამოვიდეთ დილას გარეთ,
ცოდვა ზღვაში განვიბანოთ,
ისევ მოვა მალე ღამე
და მიგვიწვევს საგრიგალოდ!!!

ჯახება

მე ჯახება ვიცი მხეცთა,
ვიცი ჯიხვთა ჯახება,
მთაგრეხილთა ნაპრალებში
მოწყვეტა და ჩაჩეხვა.
მაგრამ მერნებს თუკი ვნების
ქარიშხალი ეწვევათ,
მათაც უყვართ შეჯახება
და თავის გამეტება...
მე შენც მერნად მიმაჩნიხარ,
მსურს შენი დაოკება,
გადავუქნევ აღვირს ფრთხილად
და მერანიც მოსწყდება...
ხელი მაგრად შემომხვიე
შენი სუნთქვა მესმოდეს,
ბილიკს ვტორავთ საცალფეხოს
უფსკრულივით ფერდობზე...
ბედს მივანდოთ ჩვენი თავი
ამ მერანთა იმედად,
ხედავ ქვევით დამთხვეული
თერგი მიედინება...
მერანს ფეხი თუ დაუცდა
და გაგვწირა ტიალმა,
ეჰ, მოგჭამა მაშინ ჭირი
ქვეყნის ორომტრიალმა...
მე საუფლო ვიცი ჯიხვთა,
გესმის რქათა ჯახანი?
აქ ოდესღაც თურმე გმირთა
ირწეოდა აკვანი...

მომასმენინე ჩუმად

შენთვის ძალიან ჩუმად,
ჩემთვის იმღერე მხოლოდ,
როცა მიმიღებ სტუმრად,

სადღაც სიცოცხლის ბოლოს!!!
მომასმენიმე ძველი,
იმ პაემანთა სევდა,
როცა წვიმდა და სველი
ხელი თბებოდა მკერდთან...
როცა მწირზე მწირ სუფრას
მუდამ ღიმილით ვშლიდით,
და უკანასკნელ ლუკმას
ვინაწილებდით რიდით...
როცა არც რამე გვქონდა
და არც რაიმე გვსურდა,
როცა გვიყვარდა კოცნა
და სიძულვილი გვძულდა...
მომასმენინე ჩუმად,
იმ სიმღერების დარი,
რამე ახალი თუნდაც,
მაშინდელივით წყნარი...
მომასმენინე, ტკბილო,
რომ ჩავატანო გემო,
სანამ რაიმეს ვცდილობ
და ძველებურად გჩემობ...
რამე ისეთი მინდა,
გული გაჩერდეს წამით,
ფანჯრებიდან რომ ღვრიდა
ძველი თბილისი ღამით... .

ტანგო

რაზე ფიქრობდი, ჩემო კარგო, ნეტა, ვიცოდე,
როცა ამური სიყვარულის ნექტარს გასმევდა,
ანდა როდემდე უნდა იყო ასე მინორზე,
განა რამდენ ხანს უნდა გაგყვეს ეს გატაცება...
შენ ცეკვავ ტანგოს? მოდი წელზე მოგხვიო ხელი,
მოდი, მომეკარ არ დარჩები უკმაყოფილო,
როგორ გიხდება, რომ იცოდე ეს სამოსელი,
იცი, ტუჩებზე დაგტყობია ეს ტკბილი ღვინო...
ნუ მიმზერ ასე გამომცდელად, გაგერღვა მკერდი,
აბა, დამშვიდდი, ვერ გავიგე რა გემართება,
ჰო, გამოცურდი, როგორც ტბაში დაცურავს გედი,
ეს სიყვარულმა იცის ასე თავბრუდახვევა!
ნუ მიჭერ ხელებს, ნუ მატკინე ხალხი გვიყურებს,
ასე მგონია, შენს ვნებებზე ტანგო მარცხდება,
კარგი გეყოფა, ლამის ტვინი გადამიბრუნე,
შენ იმდენს მკოცნი, სიყვარული შემოგაცვდება...

ჩქარი მატარებელი: ვლადივოსტოკი–მოსკოვი

ვდგავარ ტამბურში დაღლილი და ტრამალს გავყურებ,
ეს ყველაფერი შენიაო მარწმუნებს რუსი,
მე კი თამაში მენატრება ტატოს საყურის,
რა დამრჩენია, ვფიქრობ, აქ ამ გადაკარგულში...
გვერდით ვაგონში ხრიალებენ, არაყს ისხამენ,
რუსის ქალები და ტყვრებიან, როგორც იციან,

მე კი რატომღაც მენატრება ჩვენი სისხამი,
დილა სოფელში და სახეზე ნამის სისველე...
მიირწევიან ვაგონები, მირტყამს ქვემოდან,
ქარიც რუსული ჯიშისაა ამ ცივ მხარეში,
ანდა, ნეტავი, ვინმე მეტყვის რას მოველოდი,
ამ მონებისგან, როცა ხელი ხელში ჩავურტყი...
მერე კი, როგორც ორჯერ ორი ისე გავიდა,
ჟამთასვლის კიბეს შეელეწა ქართვლის ბაღები,
და ახლა მხოლოდ სიზმარივით მახსოვს მთაწმინდა,
და პოეტები ჯოჯოხეთის კარს რომ აღებენ...
ღია ტამბურში ცივი სუნთქვა დაქრის ტრამალის,
შენ აქ რას დგახარ, რუსის ქალი სულში ჩამცქერის,
დაორთქლილ მინას მოაყარა ქარმა ნამქერი,
ხსოვნის საცეცებს ერთ ღამეში გაუძარცვივარ
და აღარც მახსოვს, რომ ოდესღაც ვიყავ ქართველი...

მე მაშინ მოვალ

მე მაშინ მოვალ, როცა არ მელი,
როცა დაკარგავ ყველა იმედებს,
რომ მოგბეზრდება ჩემი სახელი,
დასავიწყებლად რომ გამიმეტებ!
მე მაშინ მოვალ, როცა ნაღვლიანს,
აღარ გექნება ტრფობის საბაბი,
როცა ჩვენს შორის, როგორც ბრმა ტყვია,
გაივლის ჟამი, როგორც სახადი.
აღარ იქნები ასე ლამაზი,
ასე ამაყი და მომღიმარი,
აღარ გექნება ტახტი, დარბაზი,
შუბლზე ნათელი გადამდინარი!!!
და გაგახსენებ, როგორ მიყვარდი,
ამ სიგიჟეებს, ვნების ღვარცოფებს...
რომ ყველაფერი რაც დღეს წინ არი,
რა სისასტიკით წამოაჩოქე!!!
რომ ყველაფერი ასე რაც გშვენის,
ჰო, რაც დღეს ასე უღვთოდ გამშვენებს.
დაემსგავსება ცაზე გაჩენილ,
ავდრის მრისხანე ღრუბლის ნაფლეთებს...
და მშვიდად გეტყვი, რომ ვერ გიშველის,
ვერც ოქრო–ვერცხლი, ვერც დიადემა,
რომ დაჭკნებიან მხრები შიშველი,
რომ გადაივლის ეს აღტაცება!!!
რომ ყოველივე რაც გამოტოვე
არ დაბრუნდება არცერთი წამით,
რომ სიბერის ჟამს შენც სიმარტოვე,
გელის ვით მგელი მთვარიან ღამით!

მთვრალი ალუბალი

მეც მთვრალი ვარ, როგორც მთვრალი ალუბალი,
როცა წითლად შეფერილი ხიდან მიმზერს,
როცა ტუჩთან გაჩენილი კოცნის კვალი,
ისევ ეძებს ხელმეორედ კოცნის მიზეზს...

სიყვარულში ვეჯიბრები მაისის მზეს,
და თუ მოხდა, ის რაც ამ დროს ხშირად ხდება,
ერთ რამეს გთხოვ, მხოლოდ კარგი ჩაიფიქრე,
და გჯეროდეს, რომ ნამდვილად აგიხდება...
მაგრამ თუკი გაიჭყლიტა ალუბალი,
და ორივეს გადაგვთხუპნის მისი სისხლი,
იცოდე, რომ ეს იქნება შენი ბრალი,
და ღმერთიც რომ ჩამოვიდეს, ვეღარ გიხსნის!!!

ზამთარია, ციდან ცვივა ფანტელები...

ცამ მსუბუქი ჩამოყარა ფანტელები,
ათოვს ბაღებს, ათოვს სახლებს, ათოვს ცაცხვებს...
და ქუჩებში, როგორც ციცინათელები,
ათასობით გირლიანდა მიმოფანტეს.
საღამოა, დაუდვია ფრთხილად თრთვილი,
ფეხი თოვლზე სრიალებს და ხრაშიხრუშობს,
თითქო მიწამ ჩაიძინა ზამთრის ძილით,
და ნიავი უდარდელად ფაციფუცობს...
თეთრ ქუჩაში, თეთრ ჭადრის ქვეშ შენს ლანდს ვეძებ,
გახსოვს ერთხელ ამ ხეივანს გავუყევით,
ლამპიონით განათებულ სინათლეზე,
ბზრიალებენ ფანტელები თავბრუსხვევით.
შენი სუნთქვა, ცხელი სუნთქვა სახეს მიწვავს,
და ალმური მეკიდება საოცარი,
ამ თოვაში შენთან მინდა ვიყო დიდხანს,
რომ ვუმზირო როგორ რჩება თოვლზე კვალი...
ზამთარია, ციდან ცვივა ფანტელები,
ცივი მიწა თბილი თოვლით იფარება,
რა ხანია, რა ხანია დაგეძებდი,
და გიპოვე, ჩემო ტკბილო, თოვლთან ერთად...

ზოგჯერ სულშიც უნდა თოვდეს

ჯერ მოთრთვილავს, მერე დადებს,
მერე ბარდნას მოაყოლებს,
გაგიქარვებს გულში დარდებს,
მოკლავს შენში სიმარტოვეს...
შენც მიჯდები როიალთან,
ჩაფიქრდები ალბათ წუთით,
მივიწყებულ ძვირფას განცდას,
ამოაფრქვევს ღამის მწუხრი...
თოვლი თრთვილავს ფანჯრის რაფას,
ძაფზე ასხამს მარგალიტებს,
გაგონდება ვინც გიყვარდა,
სული სადღაც ზევით იწევს...
და ზრიალებს როიალი,
და თანდათან ტოვებს ქალაქს,
გაისწორა მთვარემ რკალი
და ღრუბლიდან დაგენახა...
შენ ფიფქები გზას გითმობენ,
ზეცისაკენ, ზეცისაკენ,
ზოგჯერ სულშიც უნდა თოვდეს,

რომ სხეული იქცეს სარკედ...
გამჭვირვალედ, როგორც ბროლი,
როგორც მღვიმის მარგალიტი,
შენ ნიჭს ენდე თანდაყოლილს
და ზეცაში გადაიწვი...
და ფეთქდება როიალი,
და იმსხვრევა ათას გამად,
ციდან მარგალიტი ბარდნის,
არ გამოხვალ სანახავად?

თურმე აქეთ მოფრინავენ წეროები

ლექსებს გიწერ, ამოვთხვარე "პეროები",
ყველა გეტყვის, ეს რა ლექსებს გიწერენო,
თურმე აქეთ მოფრინავენ წეროები,
ამბობენ, რომ ხვალე გადაიფრენენო.
ჩემზე ვფიქრობ, ფრინველად რომ ვშობილიყავ,
ვიცი ნაღდად შევარდენი ვიქნებოდი...
შენ კი, ნეტა, ჩემი გედი ყოფილიყავ,
ჩემს ნახვაზე თეთრად გადაფითრდებოდი...
მძინავს, მაგრამ შენზე ფიქრი ჩამყოლია,
სიზმარს ვხედავ, სიზმარს, მართლაც ულამაზესს,
შენ გედი ხარ, მე კი მწვანე მაგნოლია,
შენ ვერ მამჩნევ, მე კი ჩუმად თვალს შეგავლებ!
შენი ტანი მზის სხივებზე ირეკლება,
თეთრო გედო, ყელი მოგიღერებია,
მერქნის ტანი დამისუსხეს სიმღერებმა,
შენ რომ ჩუმად სხვისთვის მიგიმღერებია...
ჩემს მაგივრად სიყვარული ჩაგჩურჩულებს,
გედი ხარ და მაინც უარს ეუბნები,
გელოდები, გადის ლამის საუკუნე,
გელოდები, გელოდები, გელოდები!

დამელოდე...

დამელოდე, მოვალ, როცა გაზაფხული მოვა
და მოგიტან ყვავილების აურაცხელ გროვას...
ყველა ველებს შენ გაჩუქებ, ყველა ვარდის ბაღებს,
ჰო, მოგიტან სიხალისეს სიყვარულს რომ ბადებს...
მოვალ წვიმად, მოვალ ქარად, მოვალ ქარიშხალად,
მაგ თხელ კაბას შემოგახევ, გადაგაქცევ ქალად...
მოგიტაცებ შენ თავს ვფიცავ, არ დაგიწყებ ლოდინს,
და გაგიშლი თერგის პირას ყვავილების ლოგინს...
თავქვეშ მთვარეს ამოგიდებ, ღრუბელს მოგცემ საბნად,
მერე თუნდაც წამოვიდეს ღვარცოფი და თავსხმა...
ატყდეს თუნდაც მეხთატეხა და მსოფლიოს ამცნოს,
ყველას, ყველას ქვეყანაზე უცნობსა თუ ნაცნობს,
რომ ჩვენია ეს სამყარო სიყვარულით მთვრალი,
რომ მიგვიძღვის ამ ცოდვაში ერთნაირად ბრალი...
ცხრა თვის შემდეგ გაგვიჩნდება, რა გგონია ვინა?
ქარიშხალი, ჰო, ნამდვილი, თუმცა პაწაწინა!!!

ვარ ბედუინი ნაწანწალები...

მე ვგავარ ახლა მეუდაბნოეს,
აქლემის კუზზე ატორტმანებულს,
კარგა ხანია ვეძებ ახლობლებს,
კარგა ხანია ვასკდები ჩემს გულს...
ვერ გავექეცი უდაბნოს ქარებს,
ვარ ბედუინი ნაწანწალები,
ამ ხვატის ქვაბში ვინ შემიფარებს,
ამომვსებია ქვიშით თვალები...
მე ღამის გარდა ვერაფერს ვხედავ,
მარწევს, ცხელ გზებზე წყანარად აქლემი,
ყელში მაწვება უდაბნოს სევდა,
ანდა სადა ვარ, მითხარ, გამქცევი...
მწველო ქარებო, სული ამივსეთ,
და არაფერში გადამარწმუნოთ,
ჩვენ ერთად ვეძებთ აქ ოაზისებს,
ბედნიერება რომ დავარწყულოთ.

მოდი, მომეკარი...

როცა ფრინველები სიყვარულის ცეკვას,
სიყვარულის ვალსს და სიყვარულის ტანგოს,
ასრულებენ ველზე, ბაღში, ტბაზე, ტყესთან,
მინდა მათთან ახლოს ჩუმად დავესახლოთ...
მოდი, მომეკარი, ჩვენც ვიცეკვოთ სადმე,
სადაც სილამაზეს ფრთებით მოუქარგავს,
როგორც ანგელოზის სულის წმინდა სარკე,
გაზაფხულის ჭრელი, უნაზესი ფარდა...
მოდი, მოდი ავყვეთ მელოდიას ტყისას,
მოდი, სანამ მდელო ყვავილებით გალობს,
მინდა ჩვენი ტანგო ჰგავდეს ლამაზ სიზმარს,
რომ შეშურდეს ჩვენი უცნობსა თუ ნაცნობს...
მოდი, მოდი ავყვეთ დედამიწის რწევას,
ტრიალებდნენ მთები, მწვერვალები, მიწა;
მოდი, მოდი, მინდა შეგიყვარდე ისე,
ყველა ამურები შენ გტყორცნიდნენ ისარს!!!

ისევ ქარებს მინდა ავედევნო...

ისევ მომენატრა გრიგალები,
ისევ ქარებს მინდა ავედევნო,
ისე მომიქაჩავს სიგარეტი,
თუ მეც ჩავიფერფლე, არ მეძებო!
აქ რა დამრჩენია დასარჩენი,
ჰოდა, ზეცისაკენ მივიჩქარი;
ჩემი მოედანი ასაფრენი!
თეთრი კედლებია ციხისანი!!!
მინდა არწივებთან მეგობრობა,
ჰოდა, გთხოვთ, არავინ შემაჩეროთ!
ჩემი გაძარცვული შემოდგომა,
მაინც დასჭირდება საქართველოს!
ისევ მეძახიან უფსკრულები,
ხეობებს ზვავებად გადავუვლი...
შენთან სიყვარულზე ვჩურჩულებდი,

აქ კი სიგიჟეა სასწაული...
ისეც ყველაფერი ჩავლილია,
მგონი გრიგალებსაც გავასწარი;
ზეცამდე სულ ცოტა მანძილია,
მხოლოდ სიკვდილია სანახავი!

ტანზე ემოსათ გრიგალი

მე დროს ხანდახან ვივიწყებ,
და უკან წარსულს გავცქერი,
იმის სისხლიან ბილიკზე
წამოიმართნენ კაცები...
ხელში ხანჯლები ეჭირათ,
ხანჯლები პირალესილი,
მინდოდა დიდხანს მეცქირა,
ვიყავ პირამოგლესილი...
ყველანი ჩუმად იდგნენ და
უსიტყვოდ მესიტყვებოდნენ,
როგორ ავწერო ის სევდა
გულზე რომ აჩნდათ მეომრებს...
მათ უკან ჩანდა დიდძალი
ტანაჩეხილი ვაჟკაცი,
ტანზე ემოსათ გრიგალი
მტრისაგან გამონატაცი!
თვალს მარიდებდნენ ნაღვლიანს
თითქოს მსჯავრს მდებდნენ რაღაცას,
ზვავმა კლდე გამოარღვია,
მზე გაფერმკრთალდა, გაბაცდა...
მუხლი თავისით დაცურდა
და მათ წინ წამომაჩოქა,
არა, ტირილი არ მსურდა,
მაგრამ ვტიროდი რატომღაც!!!
ბევრი ვიფიქრე რა ხდება,
რა იყო მათი მიზანი,
კვდებოდნენ დაუმარცხებლად
ვაჟები ალგეთისანი...
მეც მათი სისხლის წვეთი ვარ,
მათი სიკვდილის მზღვეველი,
ზარი მესმოდა ზეციდან,
ხმა ენით აუწერელი...
და როცა აწმყო გაცოცხლდა,
მარტო ვიყავ და ვტიროდი,
თვალი მოვავლე ტაფობს და
ბღაოდნენ სანაპირონი...

წუხელ მთვარეს ვარსკვლავებზე ვახლდი...

ეს სახლია ვარსკვლავების სახლი,
ეს ეზო კი ვარსკვლავების ეზო,
წუხელ მთვარეს ვარსკვლავებზე ვახლდი
და იქ შევხვდი ყვავილების სეზონს...
გავჩერდი და ვეჭორავე ერთხანს,
იას, ტიტებს, მოკისკისე შროშანს,

მერე ფრთებზე მოვეფერე მერცხალს,
მოვუსმინე ბეთჰოვენს და მოცარტს...
ვინც წამოხვალთ იქ ზეცაში ჩემთან,
დამიჯერეთ საოცრებებს ნახავთ,
მე მიგიყვანთ სიყვარულის ღმერთთან,
ვაჩუქნინებ საქორწინო ფატას!
ყველაფერი ადვილია ჩემთვის,
მთვარე თავის საიდუმლოს მანდობს,
თუ მზეს როგორ წაუკიდა ცეცხლი,
მაგრამ მაინც არ იკარებს ახლოს!!!
მზეს გავხედე, წამსვე შეკრა წარბი,
თითქოს ჩვენსკენ გამოხედვის შერცხვა,
მთვარემ ჩუმად გაისწორა ბაფთი
და ჩურჩული გააგრძელა ჩემთან...

მუსიკა

გიტარა ჟღერს, ვიოლინო კვნესის,
და ძარღვებში იყინება სისხლი...
დედამიწის გულისძგერა მესმის,
თითქოს მესმის სინანულიც მისი...
ნუ აჰყვები, ნუ აჰყვები ქარებს,
გაგიტაცებს, გადაგჩეხავს კლდეში,
და არავინ აღარ შეგიყვარებს,
აღარავინ არ ჩაგიკრავს მკერდში...
ღელის პირას შეკრება აქვთ ქაჯებს,
ვინ გაიგოს მათი ჩანაფიქრი,
დღეს არავინ არ მოგიტანს ვარდებს,
შენ კი მაინც იცდი, იცდი, იცდი!!!
ქარებს გაჰყვა ცაში ქაჯთა გუნდი,
და სულ მალე შეესევა ქალაქს,
ყველა თავის შხამს მიიღებს კუთვნილს,
ყველა თავისს გადაყლურწავს წამალს...
ქარის ხმაზე ვიოლინო კვნესის,
და ბგერები იფანტება ცაში...
მე ვარდები წამოვიღე შენთვის,
მაგრამ ყველა გავაჩუქე გზაში...

ნიავი ვარ! თამუნა თაას!

მომენატრა ისევ ჩვენი ღამე,
მომენატრა ისევ შენთან ყოფნა,
ცრემლის მძივი დაგინამავს სახეს,
მთვარეს უყვარს ვიცი შენი კოცნა...
მე ამაღამ ალბათ ნიავს შევცვლი,
შენს საწოლთან მის მაგივრად მოვალ,
თეთრ შროშანებს ჩაგატოვებ თმებში
და შენს ახლოს გავაგრძელებ ქროლას...
გაიღვიძებ, ყვავილებსა ნახავ
და ღიმილით გაგეპობა ბაგე;
მოჟღურტულე ჩიტბატონას ჰგავხარ
და ალტარზე მოციმციმე სანთელს...
გაკოცებ და სარკმელიდან გავალ,

ჩავეწვნები ჩემს საყვარელ ღამეს,
შენს სიყვარულს გავიყოლებ წამლად
და სულს სადმე ლელიანში დავლევ!!!

როგორ მომწონხარ

როგორ მომწონხარ, ასე მგონია,
თითქო, წყვდიადში შემოასხივე,
ალბათ დედისგან თუ დაგყოლია,
ეგ სინატიფე და სიმარტივე...
ჰოდა, მეც მინდა შეგშალო ისე,
რომ გაბოდებდეს ძილშიაც ჩემზე,
ვერ იშორებდე ღამეულ სიზმრებს,
ვერც ძილის წინ და ვერც ძილის შემდეგ...
და რომ ჩემს გამო ღიმილი ტუჩზე,
არ გშორდებოდეს არცერთი წამით,
და იგონებდე თბილისის ქუჩებს,
სადაც მე და შენ ვხვდებოდით ღამით...
მწიფე ხარ, როგორც ბაღში ატამი,
მზისგან დამწვარი, კანახლეჩილი,
შემომეხეთქე მკერდზე ზღვასავით,
ამისხმარტალდი ხელში თევზივით!
მე კი ვერაფრით ვერ შევაფასე,
ეს უნებლიე ჩემი ცოდვანი:
ეშმაკს შეაცდენს ეგ სილამაზე,
იწვები ველის ყაყაჩოსავით!

მეუღლეს! (დაბადების დღეს)

შენი სახე თითქოს ძველი ნახატია,
ანდა წიგნი, ცხრაჯერ ფურცლებგაცვეთილი,
რაზე ფიქრობს ჩემს ეზოში აკაცია,
ან აგურის ფილაქანი აცვენილი...
გახსოვს, მერცხლებს ბუდე ჰქონდათ სარკმლის თავზე,
და ჭყლოპინი გვაღვიძებდა დილას მათი;
გვაკვირვებდა კავკასიის სილამაზე,
და სარკეზე მზის სხივების ათინათი...
ახლა როცა დამწვარია ჩემი სახლი,
და ფანჯრიდან ჭინჭრის ტოტი გამოჩრილა;
აღარც სახელს ისე თბილად არ მეძახი,
აღარც ღამით ისე ტკბილად აღარ გვძინავს...
სად არიან ის მერცხლები, სად გაფრინდნენ,
ანდა ჩვენი სილამაზე სად წავიდა;
სჯობს არ მითხრა, არაფერი არ დამპირდე,
რადგან, მაინც არაფერი აღარ მინდა...

ჩამიქროლებ თითქოს ციდან

მოხვალ, როგორც ელვარება,
და ვარსკვალვებს შემომაყრი,
შენთან ყოფნა მენატრება,
და თვალები შენი მკაცრი...
ნაღდად წმინდა, ნათელ ცაზე,

გაგაჩინეს გრიგალებმა,
მშანთავს შენი სილამაზე,
შენი მკერდის ბრწყინვალება...
ვფიქრობ, ნეტა, რა ხარ ჩემი,
ან ჩვენ შორის რა მოხდება,
მაპატიე თუ შემთხვევით,
რამე სიტყვა წამომცდება...
რა ვქნა, ისე ლამაზი ხარ,
ისე უღვთო და ამაყი,
ჩამიქროლებ თითქოს ციდან
და ვარსკვლავებს შემომაყრი!

მერე კი დიდხანს ტოკავდა ნავი

ზღვა იყო წყნარი, ზღვა იყო მშვიდი,
თითქოს კლდის ძირებს ეფერებოდა,
შენ კი ჩემს მხრებთან თავს ნელა ხრიდი,
რომელიც უნდა შემყვარებოდა...
მესმოდა შენი ჩურჩული, სუნთქვა,
რაღაც ეჭვებიც გაკრთა თვალებში,
მომეჩვენა, რომ ზღვასაცა სურდა,
ჩაეკარ თავის სიმხურვალეში...
ველოდებოდი შენს ტუჩებს, როგორც
გვალვაში წვიმას ელოდებიან,
ჰოდა, ისევ შენ გაბედე ბოლოს,
რომ ჩემთვის მკლავი შემოგეხვია.
მე გამეღიმა და შენ კი მიხვდი,
რომ ყველაფერი იყო ნათელი,
რომ ჩვენს ძარღვებში შხუოდა სისხლი
და უკან დარჩა სულყველაფერი...
მერე კი დიდხანს ტოკავდა ნავი,
ტოკავდა ნავი, წყალსა ტკეპნიდა;
მზე ჩადიოდა და მთვარე მკრთალი,
თითით გვტუქსავდა ვარსკვლავებიდან...

დუელი (ნუკრი ლატარიას ფოტოზე მინაწერი)

თუ კი ასეა, იყოს დუელი,
მხოლოდ სიცოცხლის დასასრულამდე;
მე ამ მიწისთვის ვარ უცხოელი,
ჰო, ასე იყო ბოლო წუთამდე!
დატენილია უკვე დამბაჩა,
ჩვენ ორში ერთმა უნდა იცოცხლოს,
უკანასკნელად ვდგავარ ტაძართან,
უკანასკნელად უნდა ვილოცო!
ცა მორღვეულა, შტორმი ბობოქრობს,
ავად წივიან ალბატროსები;
მე სიცოცხლეში მეღირსა მხოლოდ,
შენი ტუჩების ცხელი კოცნები!
თუმცა, დღეს უკვე ეს წარსულია,
დღეს დუელია და მინდა მოკვდე!
მაგრამ იცოდე ჩემი გულია,
ტყვია, რომელიც შენ უნდა მოგვხდეს!

ღამე – ჩემი ანაკონდა

ირგვლივ უცნაური ღამის სიჩუმეა.
ადგილს ინაცვლებენ ცაზე ვარსკვლავები,
ჩემი სიყვარული შენთვის მიჩუქნია,
შენი სიყვარულით ჭკვიდან გადავედი...
და მე აღარ მშველის ახლა არაფერი,
აღარც სიგარეტი, აღარც საწამლავი...
წყალსაც წაუღია ყველა ქალაქები,
თავის ხალხებით და თავის სანახავით...
შენი ცივი სახლი, ალბათ, კარცერია,
შენ კი პატიმარი, კვალზე დაჭერილი,
ციდან ვარსკვლავები ჩუმად დამცქერიან,
მე კი ვიმზირები მისკენ დაბღვერილი.
ჩვენი საუკუნე, ვიცი, უცრემლოა,
სიკვდილს, რა თქმა უნდა, ცრემლი გამშრალი აქვს,
დიდი სიყვარული მუდამ უენოა,
მე კი გახსნილი ვარ უკვე რახანია...
არა, არავისთან ამას აღარ ვმალავ,
რომ შენ შემიყვარდი და ეს სიგიჟეა,
ერთად ჩავიყრიდი პირში ყველა წამალს,
მაგრამ იქაც, ალბათ, მხოლოდ სიცივეა...
გულზე დამცემია ყველა ჯოჯოხეთის,
ყველა ეშმაკი და ყველა მაჯლაჯუნა,
შენ თუ გახდებოდი ჩემი ორთოპედი,
ყველა ოკეანეს კროლით გადავცურავ...
ღამე შემომცქერის მკრთალი ვარსკვლავებით,
ჩემი უგრძელესი, ცივი ანაკონდა...
ალბათ, ჩავლილია ჩემი მატარებლის
ყველა ბორბალი და მე კი არ მახსოვდა...

ჩემ ქალებს!!!

თქვენ ვინც ოდესღაც
ბევრი რამე გამაბედინეთ,
თქვენ ვინც ოდესღაც
სიყვარულში არ უარმყავით,
ვინც თქვენი ბაღჩის
ყვავილებში ჩამასეირნეთ,
უტკბილეს ნექტარს
მიზოგავდით დღითა და ღამით...
თქვენ გადღეგრძელებთ,
თქვენი იყოს ჩემი ლექსები,
თქვენით გამთბარი,
თქვენი ლოცვით ნასაზრდოები,
თქვენს დასახატად სიტყვებს
ღმერთებს დავესესხები,
ხართ ჩემი ხსოვნის
სისხლისფერი ყაყაჩოები!!!
მე თქვენი ტრფობა
სიცოცხლეში მუდამ მახსოვდა,
თვალწინ მედექით, ისეთები,
როგორიც მყავდით,

მსურს ერთხელ კიდევ,
ერთხელ კიდევ გითხრათ მადლობა,
რომ არსებობდით,
გიყვარდით და არ უარმყავით!!!

ამ ერთი ღამით

ამ ღამეს შენთან, ერთ ღამეს შენთან,
რა სიყვარულით გადავათევდი,
შველის დაღლილი გულივით ფეთქავ,
და წყაროსავით მეთამამები...
შენთვის ღიაა ჩემი ბაღები,
შემოდი, მინდა გავინავარდოთ,
მომხვიე შენი თეთრი მკლავები,
ამ ერთი ღამით ვარ უღალატო...
მაგრამ, ძვირფასო, ეს კი, იცოდე,
ხვალინდელ ღამეს ვერ დაგპირდები,
დღეს კი მკლავები გამომიწოდე,
დღეს შენი ვარ და შენი ვიქნები...
ხვალ კი არ ვიცი სად გამტყორცნიან,
ეს უსასრულო ბედის ტალღები,
შენამდე, გეტყვი, ბევრი მყოლია,
შენს მერეც ალბათ ბევრთან დავწვები...
მაგრამ ეს ღამე, ეს ერთი ღამე,
პირობას გაძლევ, შენი იქნება,
შენთვის გავაღებ ვნებათა ბაღებს,
სხვა ყველა ღამე დაგვავიწყდება...
და შენი კანიც ასე სათუთი,
ასე თეთრი და ასე პრიალა,
აფერადდება იმ სიხარულით,
ღამე რომ გვჩუქნის ზოგჯერ მთლიანად!!!

მე მინდა გკოცნიდე

მე მინდა, გკოცნიდე, გკოცნიდე, გკოცნიდე,
გკოცნიდე, გკოცნიდე, გკოცნიდე მე მინდა...
არასდროს მოგწყინდე, მოგწყინდე, მოგწყინდე,
მახრჩობდე, მახრჩობდე, მახრჩობდე ვნებისგან!!!
იქნებ სიყვარული მართლაცდა არსებობს,
იქნებ არც არსებობს, არ ვიცი, არ ვიცი...
წუთში რომ ათასზე მეტჯერაც გახსენო,
თუ გვერდით არ მყავყარ, მე მაინც განვიცდი...
რას ვიზამ, დაგიცდი, ერთი დღე, ორი დღე,
თვეები, წლები და თუნდ ათწლეულები...
და ასე შორიდან ხომ მაინც მოგისმენ,
ისიც მიხარია, მანდ რომ მეგულები...
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!
ეს ნიშნავს, ძვირფასო, რომ ვერ ვძლებ უშენოდ...
არ მეტყვი? მე მაინც გავიგებ მისამართს,
გიპოვი, რადგანაც თავს მინდა ვუშველო!

ასეთი ლექსი გინდოდა, ლიკა? შენი იყოს!

რატომ მინდა, რატომ მინდა,
ჩემთან ახლოს გადმოსახლდე,
როგორც თევზი არაგვიდან
ჩემს ფიქრებში ამოსხმარტლდე!!!
ვნებიანი ხელი გკიდო,
ჩამეტკიპო, ჩამომსხმარტლდე,
მკლავი მკლავზე გადმომკიდო,
კოცნით მოგკლა, ან მომკლავდე!
მერამდენე გაზაფხული
მოსულა და დავლურს უვლის,
მარწყვის ტუჩი დახატული
ჩემს ტუჩებზე იკლავს წყურვილს...
მერემდენედ უნდა შემხვდე,
და კვლავ თვალი ამარიდო...
მორჩა, ალბათ, ამის შემდეგ,
არ არსებობს, არ დაგინდობ!!!

თამუნა თაას!

ისევ გავცდით ოცნებათა სფეროს,
შველის ნუკრმა გაგვაღვიძა დილას,
ო, რამდენი, ო, რამდენი მტერობს,
შველის ბეწვზე ამოტვიფრულ წინწკალს...
რატომ გვიყვარს, რატომ გვიყვარს, ნეტა,
გაზაფხულზე ჩანჩქერების ჩქამი,
ასე სული ეწაფება ნექტარს,
ყვავილების სურნელებით მთვრალი...
შველის ნუკრთან გავათიეთ ღამე,
შველის ნუკრთან გავიღვიძეთ დილას,
იქნებ მითხრა, იქნებ მითხრა რამე,
ერთმანეთი ასე რატომ გვიყვარს!!!

რაც დრო გადის

რაც დრო გადის თანდათან
უფრო მეტად მაგიჟებ,
ჰო, ძვირფასო, გულზედაც
უფრო მწარედ მაბიჯებ...
რაც დრო გადის შენს სიტყვებს
უფრო მეტად განვიცდი,
უფრო მეტად მჭირდები,
უფრო დიდხანს დაგიცდი...
ჰო, ძვირფასო, ვერცა გრძნობ,
როგორ შემოგეჩვიე...
შენი ვაზის ყლორტი ვარ,
შენი ღვინის მეწილე!
მოდი, ისევ დავლიოთ,
ღამე გავიფერადოთ,
ამ ცას ერთად მოვწყდეთ და
სადმე გავიმერანოთ!

ლოდინი

ტკბილი გემო აქვს თურმე ლოდინსაც,
როცა მოვა და შენ არ მოელი,
მოდი, ოცნებებს ვერცხლით მოგირთავ,
მოდი, გელოდი ათასი წელი!
მოდი, მაგიჟებს შენი დუმილი,
მოდი, შენი ხმა მომნატრებია,
ასე მგონია შენს სულს მპარავენ,
და ჩემს გრძნობებზე ფეხით დგებიან.
მოდი გეძახი, მოდი მინდიხარ,
თუნდაც გაიგოს მთელმა სამყარომ,
მოდი, დავცლილვარ ლამის სისხლისგან,
მინდა სუდარა გადამაფარო...
მოდი, რომ შენს წინ მკვდარი დავეცე
როცა სიკვდილი ასე მყეფარობს,
მოდი, რომ თუნდაც ბოლო წამებზე,
შენს ბროლის მკლავებს შემოვეფარო.

მკერდზე დამეცი

იცი, მიყვარდი, ჰო, შემიყვარდი,
მე შენი თავი ზღვამ შემაყვარა...
შემოხველ გულში და დაბინავდი,
ვით სინათლეში სუსტი ფარვანა...
მე არ ვიცოდი სხვა განსაცდელი,
ასე მეგონა უცბად დავმუნჯდი...
როგორც ზეციდან დიდი, ნათელი...
მკერდზე დამეცი, როგორც ფასკუნჯი...
ასე მეგონა ჩემს ხორცს ფლეთავდა,
რაც კი არსებობს ყველა ამური,
რომ თითქოს სული გამომეცხადა
ქალის სამოსში გადამალული...
მინდოდა მეთქვა რაღაც ისეთი,
რაც მე მომპარა სხვა სიყვარულმა,
რაღაც ლამაზი, ცისიქითეთი,
სადაც ჯერ ერთი სიტყვაც არ თქმულა.
მე შენ მიყვარდი, როგორც ღამეში,
ჩუმად გაშლილი მორცხვი ყვავილი,
წრფელი, ნამდვილი, ულამაზესი,
სულ სხვა განცდით და სხვა სიყვარულით.

იდილია

დროს გამოვტაცოთ, ვიჩქაროთ,
ბედნიერების წუთები,
დამაკოცნინე, ძვირფასო,
ეგ უკოცნელი ტუჩები...
ამურებს ვეტყვი დაგვიგონ,
ველზე იების ხალიჩა...
ლეღვი ალუჩას მასპინძლობს,
ვაშლმა ატამი გახლიჩა...
ვეტყვი შროშანით დაგიწნან,
ეგ მირინოსის ნაწნავი...
თან ძუძუ–მკერდის ადგილას

აამღელვარონ ბაღნარი...
მერე მე მომაწყვეტინონ,
შიგ მოსაწყვეტი რაც არი...

საღამო დახრის წამწამებს

სიცოცხლით ტკბობა რას ჰქვია,
ისევ უკუღმა გამიგე...
არაფრად არ მიგაჩნია,
გულს ისე ამომარიდებ...
მე თავი ბავშვი მეგონა,
შენს ძუძუს ვეწაფებოდი,
ლომ–ვეფხვი მყავდა მეგობრად
და ვარსკვლავეთზე ვმეფობდი...
მთვარე ვარსკვლავებს აწამებს,
მზე სხივებს გაებუტება...
საღამო დახრის წამწამებს
და ღამეს ჩაეხუტება!!!

სულ ყველა ტყვია ნასროლი

შენ რას დაარქმევ, ძვირფასო,
ამ ჩვენს სიყვარულს არ ვიცი,
ასჯერაც რომ დავითარსო,
მე ასმეერთედ დაგიცდი.
დაგიცდი დილას, შუადღეს,
საღამოს, ხვალ, ზეგ, მარადჟამს...
თუმცა მეძახი დონჟუანს,
კაზანოვას და შარლატანს...
ალბათ ვნებებმა გადაწვა,
ედემის ყველა ბაღები...
მე სხვა არავინ არა მყავს,
სხვას არც საფლავში ჩავყვები...
სულ ყველა ტყვია ნასროლი
დუელში ლამაზ ქალისთვის,
შიგ ჩემს მკერდშია გავლილი,
შიგ ჩემს გულშია დაცლილი...
უფსკრულის პირას ვდგავარ და
მინდა რომ გადავიჩეხო,
შენ რას მეტყოდი, მომკლავდი,
ჩემი ტკივილის მიზეზო?

მიმღერე

მიმღერე, ძვირფასო, მიმღერე,
ყველაზე ლამაზი სიმღერა...
ნეფენი პატარძლებს ირჩევენ,
ყურეში გემები ირწევა...
მიმღერე თავდავიწყებამდე,
რაც გინდა, რაცა გსურს, რაც გიყვარს,
სიტყვები ავიდეს ზეცამდე,
ნამღერი მაგ შენი ბაგიდან...
მიმღერე ისევე ლამაზად,

დილით მზემ ვარსკვლავს რომ აკოცა,
ან ნამმა ია რომ დანამა
და მისი სინაზით გაოცდა!!!

ქროდნენ საქანელები

დღეს ლამაზი ქალები ქრიან სხვა გახელებით,
მაგრამ სულ სხვა რამ იყო ჩვენი საქანელები...
ვაქანებდით მხეცურად და ფეხებზე გვეკიდა,
თითქოს დავბრუნდებით ხელმეორედ ზეციდან!
ვქროდით, ვქროდით, ნამდვილად, როგორც აწყვეტილები,
და ვკიოდით მაღლიდან მთლად ხმაჩახლეჩილები!!!
ჩვენი იყო იმ დროის თითქმის ყველა ბაღები,
ყველა საქანელები, ზეცის ყველა თაღები...
და როცა კი ვიგონებ, თითქოს ისევ დავფრინავ,
საქანელა ქანაობს, ჩვენ ორნი კი ნავში ვართ!
მახსოვს, მახსოვს ქალების, ხმა და თვალის ცეცება;
მიდი, მიდი, გაგვასწრო, მიდი, თორემ, გვეწევა!
ჰო, ლამაზი ქალები ზოგჯერ თავსაც კარგავდნენ,
ქროდნენ საქანელებიც ხშირად გულში ჩაკვრამდე!

ლელას ძახილი ცისკენ: მიყვარხااااااااარ!!!!!!!!!!!!!!!!!!

ვინმეს მისწვდა შენი ხმა, ვინმეს რამე ასმინე?
შეიცვალა დღეიდან, შენს ხსოვნაში რაიმე?
თუ კვლავ მარტოობისას იხდი სასჯელს უმაღლესს,
და კვლავ შემოდგომიდან იცდი გაზაფხულამდე!!!
გაზაფხულზე, როგორც კი მიწა ოდნავ გათბება,
გული აგიჩქროლდება, სისხლი აგიჯანყდება,
სულში ქარიშხალივით სევდა დაიგრაგნება,
ჰოდა, აუცილებლად ვინმე შეგიყვარდება!!!
თუ იმანაც გაგიგო, ხომ კაი და, ვაი თუ...
სიყვარულის შენს სატრფოს ინჩი–ბინჩიც არ ესმის?
მაშინ აქოჩრებული ემსგავსები ტაიფუნს,
და გაზაფხულს ჩასცქერი მის ვნებიან თვალებში!
ჰო, ასეა მარადჟამს მიწა ჭრელზე–ჭრელია...
ერთი ჩიჩქნის, მეორე ცაში ვარსკვლავს დაეძებს,
ერთნი ნაგვის ყუთში და ჭუჭყში იქექებიან,
მაორენი ამაყად აბიჯებენ მთვარეზე!!!
შენ კი სივრცეს გასძახი, მერამდენედ მიყვარხარს,
მაგრამ არავითარი, არც ჰო და არც ღალატი!!!
ვინ რა იცის, მაგ მკერდში რა ქარიშხალს იმარხავ,
ადექი და შენც ერთხელ წალეკე ეს ქალაქი!!!

რა საოცარი ღამეა

რა საოცარი ღამეა,
თითქოს ხელს ვიწვდენ მთვარემდე,
მერე იმ მთვარით ვანათებ
და შენს ფანჯარას დავეძებ!
დაგხედავ მძინარს ბავშვივით,
შემოგეჭრები სიზმარში,
მიზიდავ ანდამატივით,

ხარ ჩემი თეთრი მირაჟი...
თვალს გავახელ და გაქრები,
მეტყვი სიზმარიც გეყოფა,
შევჩივლებ ღამენათევი,
შენს ორგულობას მეგობარს...
ერთი დღე მაინც მაჩუქე,
მზეს მოვიყოლებ მეგზურად,
რომ ჩემს მკლავებში გაყუჩდე,
როგორც დაღლილი ბეღურა...
მე იმის ბედი ვინ მომცა,
ასრულდეს ჩემი სიზმარი,
ნეტავი ვინ დაგიკოცნა,
გულ–მკერდი ბადაგისანი...
მაინც კვლავ შენსკენ ვიჩქარი,
ერთსაც დაგხედავ მძინარეს,
მთვარემ მოგპარა სიზმარი
და მე კი გადაგიმალე...

შენ მაპოვნინე

ვერ გამიგია ამდენხანს ასე,
როგორ ვცხოვრობდი უსიყვარულოდ!
ალბათ იმიტომ რომ შენ მენახე?
შენ ყველა ქალზე, ალბათ, ქალურო!
შენ გამინათე ცა ვარდისფერად,
მე ბავშვობიდან რასაც ველოდი...
არ დაიჯერებ, მაგრამ ამჯერად,
მე ვტკბები ისევ საქართველოთი...
შენ მაპოვნინე ის რაც დავკარგე,
რაც მიმოვფანტე უსიყვარულოდ,
და ამ ლექსებში, როგორც ნაქარგზე,
შენ ამოგქარგე, ჩემო ყვავილო!

ბაირონის გული

არ მავიწყდება შენი თვალები,
არ მავიწყდება შენი თვალები,
არ მავიწყდება შენი თვალები,
ასე ცოცხალი და შემკრთალები...
დღეს ჩემი გული სევდის ბაღია,
შიგ შენ დარგულხარ ასე თვალღია,
ნეტა ვიცოდე, რამ გაგაკვირვა,
გადაფრენილმა ცაზე არწივმა,
თუ ჩემს საფლავზე ეპიტაფიამ,
რომ აქ სამყაროს გული მარხია...
ან იქნებ გესმა ღმერთის ძახილი,
საფლავის ქვასთან ნუ ხარ დახრილი,
თავი აიღე, წელში გასწორდი,
უკვდავებასთან გათანასწორდი!
ან იქნებ სულაც ის თუ გაკვირვებს,
პოეტებს ღმერთებს რად ეძახიან...
შორი ელადის ზღვასთან ყურეში,
გემის აფრები ზღვად რომ გაშლილან,

გემის კიჩოზე, როგორც ნუგეში,
თეთრ ყუთს მოავლეს შავი არშია,
შიგ ჩაასვენეს პოეტის გული,
იცის, კი ვინმემ რისთვის დასჭირდა?
სიკვდილს პოეტი აქ რომ გასწირა?
ინგლისისაკენ, ინგლისისაკენ!
გემს თეთრი ყუთი შავი არშიით,
მიაქვს, მიაპობს ტალღებს ძალუმად,
ნეტა, მკვდარია პოეტის გული?
თუ ისევ უცემს სულს უსხეულოდ?
ეს არწივია, ცას რომ გაჰკივის,
ის იბადება სიყვარულისთვის,
ის იბადება სიყვარულისთვის,
ის იბადება სიყვარულისთვის,
ის მიდიოდა სამოგზაუროდ,
თუ საბრძოლველად?
უცხო ხალხისთვის?

...

შენთან რატომ მოვედი?
გული რომ გადამეხსნა,
დილის ნამს ვაგროვებდი,
მსურდა მომეალერსა.
მზემ სხივები მაჩუქა,
თაიგულად შევკარი...
შენი კოცნის პასუხად
დედამიწა შევძარი...

ცეკვა

არავითარი წყურვილი ცეკვის
მე არ მქონია შენთან ყოფნისას,
თუმცა მე შენი მშვენივრად მესმის,
რომ მარტოობა მაგრად მოგწყინდა...
ჰოდა, მოდი და ჩავკიდოთ ხელი,
ვითომ რითა ვართ სხვებზე ნაკლები,
მოდი, დავანთოთ ისეთი ცეცხლი,
რომ ვარვარებდნენ ჩვენი ღაწვები.
ვიცი, რომ მაგრად გიყვარს ბზრიალი,
როცა მუსიკის რიტმი ჩქარდება,
ცეკვისას ყველა ლამაზი არი,
ცეკვისას ყველა ქალი ქალდება!
მოდი, ჯერ დრო გვაქვს,
დრო არის ქვეყნის,
ასე, ერთხელაც შემობზრიალდი,
ისე ლამაზად, ისე მარტივად,
რომ სხვებს შეშურდეთ ჩვენი გრიალი!
არ შეგეშინდეს, აბა წავიდა,
მე შენი ტანი უკვე მეკავა,
ასე, კარგია, ვითომ ზვავი ხარ,
მთიდან მომწყდარი წასალეკავად...
რა ლამაზია, ხედავ ცხოვრება,

რა მშვენიერი, რა ბედნიერი,
ყველა მნათობი ციდან მოწყდება,
და გაბრწყინდება დასალიერი...
მართლაც კარგია, დამაყრდნე ხელი,
მე, მე მიყურე თვალებში, ასე!
ეს მოკლე კაბა შენ ისე გშვენის,
ეს ბროლის მკერდი შენ ისე გავსებს...
იცი, ვერავინ, დღეს შენ ვერავინ,
მართლაც, ვერავინ ვერ შეგედრება!
შენ ისე ცეკვავ, რომ შემიყვარდი,
შენი მუხლები მუხლზე მეხლება...
ოჰ, გაიკვირვე, არ იყო ასე?
ცეკვა დამთავრდა, დიდი მადლობა!
სიმღერა იყო კაზანოვაზე,
მაგრამ ქართული იყო განწყობა!

მუხამბაზი

გელოდები საზიზღრად,
შენ კი ისევ არ ჩანხარ,
ჩემი სიზმრის ბაღიდან
შვლის ნუკრივით დამფრთხალხარ...
თითქოს ყველა კუთხიდან
გულში ტყვიებს მიშენენ,
ვიცი სასწაული ხარ,
ჰოდა, მოდი მიშველე!
შენთვის სავსე კალათი
მარწყვი დამიკრეფია,
როგორც ჭრელი ბაღდადი,
ლოყა გაგწითლებია...
ყვავილების ბაღჩიდან
მუხამბაზი გიმღერე,
გითხარ, ჩემი ვარდი ხარ,
შენ კი არ დამიჯერე...
თითქოს არც გღირსებია,
ძოწები და გიშერი,
ბევრჯერ დამსიზმრებია
შენი ყელი შიშველი...
გკოცნე, გკოცნე, ვერ გავძეხ,
გული ვერ მოვიჯერე,
აბრეშუმის პერანგზე
ლექსი გადაგიწერე...
შენთვის ისევ მოვიარ,
თეირანს და ნახჩევანს!
ქმარი ვერ გიშოვია,
ვერ აკეთებ არჩევანს...
აბა, რაღას გარბიხარ,
ანდა, რას მემალები,
რა ვქნა, თუკი არ გინდა?
არც მე გაგეკარები!!!

მიყვარს, მიყვარს აისები...

როგორ მიყვარს აისები,
სასთუმალთან შენი მკლავი,
და ღიმილი მაისებრი,
საყვარელი, საოცარი...
ეს ღიმილი დამდევს ყველგან,
ყველგან, ყველგან მახსენდება,
და ვპოულობ მასში შვებას,
დაისები როცა დგება!
როცა დამჭკნარ ფოთლებს ქარი,
აშრიალებს, ანავარდებს,
შემოდგომა ყალყზე მდგარი,
როცა აფლეთს კაბებს ბაღებს...
მიყვარს, მიყვარს აისები,
დაისებთან შედარებით,
შენი ძუძუ ვარდისებრი,
ხორბლის კანის ელვარებით...
როგორ მომწონს, როგორ მიყვარს,
ღიმილით რომ გეღვიძება,
მსურს გაგრძელდეს დიდხანს, დიდხანს,
შენი სულის ეს თვისება...
ჩვენს საწოლთან იძინებდნენ,
ჩუმად, უხმოდ დაისები,
როგორც ჩვილი დედის მკერდზე,
როგორც მთვარე რკალისებრი...

დაგვიანებული სონეტი

რად გადმოკიდე, ზედ ჩემს გულზე ეს ბეწვის ხიდი,
როცა არ ველი. აღარ ველი სულ აღარაფერს,
თან თავხედობას მიჩვეულმაც დავკარგე რიდი,
და ზეციდანაც რა ხანია ველი განაჩენს!
ვერ დავიცავი ათი მცნება რადგან ვერაფრით,
არ მომიპარავს, არ მომიკლავს, მძაგდა სიცრუე,
თუმცა ცოდვებში ჩაფლული ვარ მაინც ყელამდის,
შენ კი შენს გულში ეს ცოდვილი შემომიტყუე...
მე გასაცემი აღარ დამრჩა აღარაფერი,
გაძარცვული ვარ, როგორც ღამე შემოდგომისა,
რას წაიკითხავ ამ თვალებში, რატომ ჩამცქერი,
შიგ ნამსხვრევები თუღა დარჩა კატასტროფისა!
საკუთარ მიწას ფეხს ვაბიჯებ, ვით უცხოელი,
არა, არ გირჩევ გააღვიძო ჩემში ცხოველი!!!

ირონია... ბედისაც, ალბათ...

მაგ ღიმილში იმდენია ირონია,
რომ მერჩია, სულაც არ გაგეღიმა,
შენი თავი რა ადვილად მიპოვია,
დაკარგვა კი, რა თქმა უნდა, მეწყინა.
ვერ ჩამწვდარვარ, რით მოიგეს შენი გული,
იმათ, ვისაც სიყვარულსა სთავაზობ,
როგორც ქრისტე სხვების ნაცვლად წამებული,
შენც მე ჯვარზე გამაკარი, ლამაზო!
ბედის გარდა არაფერი გამაჩნია,

ბედი იყო ჩემი ყოფის მეგზური,
ყველაფერი, ალბათ, მართლაც თამაშია,
თამაშია აქ გათამაშებული...
შენს ღიმილში ნუ ჩააქსოვ ირონიას,
მე არა ვარ მაგ ღიმილის ამტანი,
კარგად იცი, არაფერი მითხოვია,
არაფერი, არაფერი ამგვარი...
რა ვქნა, წავალ, იქნებ სხვასთან გამიმართლოს,
თუმც, არ მინდა ღობე–ყორეს მოვედო,
შენ კი, ვიცი, ეს ამბები, ალბათ, გართობს...
და დამცინი მე რომ ვმიეთ–ვმოეთობ...

იქ წავიდეთ

იქ წავიდეთ მინდა ერთად,
სადაც ხსოვნის ბაღებია,
სადაც თოვლი ათოვს თეთრად
ტოტებს წითელ ვარდებიანს...
იქ წავიდეთ სადაც ვიცი,
აღარავის არ ვახსოვართ,
სადაც ღმერთმა სიცოცხლისთვის,
ცას სამოთხე უსახსოვრა!
სადაც დღემდე არ იციან,
არც ღალატი, არც ეჭვები,
სადაც მხოლოდ ხალისია,
სადაც ასე გაღმერთებდი...
ხელით შევწვდეთ ზეცის ტატნობს,
ისევ ძველი აღტაცებით,
კვლავ ცვიოდნენ ჩვენთან ახლოს,
სიყვარულის ვარსკვლავები...

მომაწოვებენ ვეფხვები ძუძუს

მე ვერიდები ტყვიების ზუზუნს,
შენ კი გგონია, რომ გემალები;
მომაწოვებენ ვეფხვები ძუძუს,
და მეც მექნება ვეფხვის ბრჭყალები...
მე სანადიროდ ღამეში გავალ,
და სწორედ როცა არ მომელიან,
საბედისწეროს მოვისვრი ქამანდს
და გადავთქერავ რისხვით ლელიანს...
და სწორედ მაშინ, როცა ზმორებით,
ძილს მინებდება შენი სხეული,
დაგაცხრებიან ჩემი ტორები,
შენი ტუჩებით გადარეული...
და მოგიტაცებ იმ გაცეცხლებით,
იმ გატაცებით და ისე ჟინით,
როგორც იკლავენ წყურვილს ვეფხვები,
რქებმიმსხვრეული ირმების სისხლით!!!

თვითონ გამიღე

გამიმეორე, ერთხელ კიდევ, გამიმეორე,

რომ შენთან ყოფნის, თუნდ დროებით, მომეც უფლება...
და რომ ჩემს გარდა აღარავის დაიმეგობრებ,
და ტკივილები სულ ადვილად გამიყუჩდება...
არ ამიწონავს არასოდეს ჩემი სიმდიდრე,
ან ეს გრძნობანი როგორ გინდა კაცმა ასწონო?
რად მეშინია, წუთებივით არ გამიფრინდე,
რად მეშინია, ვინმე სხვა არ დაგეპატრონოს...
წუხელ მოთოვა, ირგვლივ ყველგან დაუთოვია,
მე მთელი ღამე ძილ–ღვიძილში შენზე ვფიქრობდი...
არა, მე შენთვის მოწყალება არ მითხოვია,
ისეც ვიცოდი, რომ არაფერს არ დამითმობდი...
თოვლზე ნაკვალევს შენი სახლის კართან მოვყავარ,
ვითვლი ნაბიჯებს, მეშინია მთლად არ გავგიჟდე...
რა ვქნა ასეა, ვაღიარებ, რომ შეცდომა ვარ,
და სანამ კარი ჩამოვიღე, თვითონ გამიღე!

დრო

უცნაური შეგრძნება მაქვს დროის,
სულ მგონია, რომ ვერაფერს ვასწრებ,
რომ საშინლად დავიღალე ბრძოლით,
რომ ეს ქარი ეხეთქება ფანჯრებს...
წლები გარბის, მე კი სადღაც ჩავრჩი,
შორს, იქ სადაც აღარავინ ცოცხლობს,
სადაც აღარ იბადება ბავშვი,
სადაც ღამის წყვდიადია მხოლოდ...
მე კი ისევ ჩაბმული ვარ დოღში,
რომ როგორმე დავეწიო წამებს,
რომ სიკვდილი ჩაკეტილი მორგში,
ტანზე მიჭერს გაშიშვლებულ მკლავებს...
ვეღარ ვუძლებ დროის ასეთ გრიალს,
რომ თავისი მუდამ რქებით გააქვს,
რომ მსოფლიოს სასაფლაო ჰქვია,
რომ ვერასდროს კარს ვერ შევხსნით გრაალს!
რომ მის ხელში არის ჩვენი ბედი,
ვინც დაცინვით გაჩენიდან დაგვდევს,
რომ ყოველთვის სწორედ მაშინ ვკვდებით,
როცა გვსურს, რომ...
როცა გვსურს, რომ...
როცა გვსურს, რომ...
ერთხელ კიდევ გავჩნდეთ.....

ეკას!!!

დამცოფა, შენმა სილამაზემ, დამადამბლავა,
იქნებ მე ვცდები, სულ არა ხარ ასე ლამაზი?
მე ვულკანიდან ამომსკდარი ცხელი ლავა ვარ,
და გავცივდები, თუ მომკალი, თუ ვერ გადავრჩი...
ასე მგონია, მწვერვალიდან დაბლა ვვარდები,
ნეტა ვიცოდე, რომელ ღმერთებს დაუხატიხარ;
გზას ვერ ვაგნებდი, დავდიოდი ამ ყიამეთში,
როგორ მინდიხარ, როგორ მსურხარ, როგორ მაკლიხარ!
მართალი გითხრა, ბოლოს მიღებს შენი სინორჩე,

შენს ლამაზ პროფილს ხელის გულზე დავიხატავდი,
როცა ღმერთებმა ამ მიწაზე გზა დამილოცეს,
დამწყევლეს კიდეც, ალბათ, ნაღდად, რომ შენ გნახავდი!
ხელი მომეცი, არ ვაპირებ სიკვდილთან ბრძოლას,
ხელი მომეცი და ბოლომდე ერთად ვიაროთ!
დიახ, ლამაზო, მირჩევია შეგირთო ცოლად,
და მერე შენი სილამაზე გავაპიარო!!!

აპოკალიფსი

ალბათ არსებობს ქვეყნად სამოთხე,
ალბათ არსებობს სხვა იდილიაც,
მაგრამ, ძვირფასო, დღეს საღამომდე
მე შენი ნახვა არ შემიძლია...
დღეს საღამომდე, დღეს საღამომდე,
სინათლე ბნელში უნდა გავცვალო,
მინდა რომ ზღვები ნაპირს გადმოსცდეს,
და გადალეკოს მთელი სამყარო...
არ დაველოდო მეორედ მოსვლას,
არმაგედონებს, აპოკალიფსებს,
და ყოველივე იქამდე მოვსრა,
ვიდრე იესო ამას გვაღირსებს!!!
შენ, ალბათ, მეტყვი, რომ მე სიცხე მაქვს,
რომ ისევ ვბოდავ, როგორც მჩვევია;
რომ გამაგიჟეს ჩემმა მიზნებმა,
და ბოროტება ამირჩევია...
რა მოხდა მერე, არ მაქვს უფლება?
ან რატომ უნდა ვიყო კეთილი?
თუკი ნამდვილი თავისუფლება,
დღემდე ტანზე მაქვს შემოფლეთილი.
მე აღარც ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ,
მე ყველა მხრიდან ვიღაც მიყურებს;
და რატომ გიკვირს, რომ გავხდე ავად,
ან ეს სიცოცხლე თუ შევიძულე...
შენ მეტყვი ვითომ, ვინ რისთვის იღწვის?
ვის რა ჯანდაბა ესურვილება?
ამ მარათონში პირველობისთვის,
ვერ დავინახე მე უფლის ნება!!!
ჰოდა, მგონია, რომ უკვე დროა,
რომ მთლად ახლოა აპოკალიფსი;
ჰო, დამიჯერე, მართლაც ახლოა,
დიდი ხანია მე მას განვიცდი!!!

პაემანი

მე ხშირად ისეთ შეცდომას ვუშვებ,
რომელსაც მერე მწარედ განვიცდი,
ახლა შენს სახელს დავიწერ შუბლზე
და პაემანზე ასე დაგიცდი!
ვერ მოვიფიქრე მეტი სიგიჟე,
რომ შენ ჭკუიდან გადაგიყვანო,
ვინც მყავდა ყველა გადავივიწყე,
შენ ერთი შემრჩი, ჩემო ცისკარო...

ვარდები გინდა? წამო, დაგიკრეფ,
აბა, სადა მაქვს ვარდების ფული;
არა, არ ვტყუი, ნაღდად დაგვირგეს,
წინ, მოედანზე, ჰოლანდიური...
ერთი მოვწყვიტოთ, მეტი არა ღირს,
მაგრამ შენ უნდა ხელით მიჩვენო...
სხვა რა ვაკეთოთ ამ ბანძ ქალაქში,
და ან და ვისი რა დავიჯეროთ!?
აუ, მეჩხვლიტა, რა ეკლები აქვს,
აუ, შემერჭო, დედაც ვატირე;
ვარდი კი არა, მგონი ზღარბია,
აჰა, დამიჭი, რა, მომაცილე!!!

ვერ შეგეხები

შენ ალბათ გაჩნდი ვარსკვლავთცვენისას,
ან შეეშალე ვიღაცას ვარდში;
ვიცი, რომ შენი ფერხთა მტვერი ვარ,
ძაფის ნერვი ვარ მაგ შენი განცდის...
ვით გამჭვირვალე წყაროს შხეფები,
მკერდზე მეყრება შენი სიცილი,
ვერ შეგეხები, ვერ შეგეხები,
სანთლის წვეთი ხარ ჩამოღვენთილი...
ნუ ჩქარობ, მინდა დიდხანს ვუმზირო,
შენს ელვარებას, როგორც შეშლილმა,
რა ლამაზი ხარ, რა გულუბრყვილო,
თითქოს მოფრინავ ჩანჩქერებიდან...
და გარინდებულს სურვილის ნისლში,
წყაროს შხეფებად ტანზე მეყრები,
არა, არა ვარ მე შენი ღირსი
და ამიტომაც ვერ შეგეხები!!!

ქეთევან ჭავჭავაძეს! (ფოტოზე მინაწერი)

არაფერია თითქოს ცხოვრება,
მიედინება ფუჭად, უაზროდ,
არავითარი გასხივოსნება,
არავითარი, კარგად თუ ატყობ...
მაგრამ, იცოდე, ჩემო ქეთევან,
უაზრობაშიც ბევრი რამეა,
შენ რომ გგონია დილა თენდება,
დილა კი არა, ისევ ღამეა...
ისევ ღამეა თავის ხლართებით,
თავის ვნებებით, თავის ეჭვებით,
ცაზე ღრუბლებით და ვარსკვლავებით,
მიწაზე ზღვებით, მთებით, ველებით!
მაგრამ მიწაზე, ჩემო ქეთევან,
შენ რომ იცოდე, ღამით რა ხდება,
სადღაც ვულკანი ამოქმედდება,
სადღაც ნამდვილი ომი ატყდება...
ჰო, ყველაფერი თავის აზრს იძენს,
წუთები იძენს ახალ სახელებს,
შენც სადღაც იქით გადასწევ სიზმრებს,

და ღამეები თვალებს ახელენ!!!
და ტყდება გულიც, ნამდვილად ტყდება,
როცა არა და აღარ თენდება,
რომ აღარ მოდის არაფრით შვება,
რომ სიყალბეა ბედნიერება...
ჰო, სატარებლად მძიმეა ჯვარი,
მაგრამ, რას იზამ, უნდა ატარო,
უნდა გაუძლო სულ ცოტა ხანიც,
რადგან ინგრევა ისეც სამყარო!!!

როცა შენ გხედავ...

როცა შენ გხედავ, როცა შენ გხედავ,
აღარ მჭირდება ღმერთის მოხმობა;
შენს სილამაზეს ვიკეთებ ფრთებად,
და შენს სიყვარულს ვაქცევ კოცონად...
საოცარია, გიცქერ და ვხვდები,
რომ უაზრობა არის ყოველი,
რომ შენთან ერთად ნამდვილი მტრები,
გავიჩინე და სიკვდილს მოველი...
რომ მე შენს ტრფობას არვინ დამაცლის,
რომ სიყვარული გადამდებია,
რომ უკვე მიმზერს ლულა დამბაჩის,
სეკუნდანტებიც მელოდებიან...
ასე ერთ ქალში როგორ შეკრიბა
და სამზეოზე გამოიტანა,
მკერდი დაღლილი მღელვარებისგან,
ტანი გავსილი ვნებებისაგან...
ჰო, იშვიათად, თუმც მაინც ხდება,
ალბათ, ასეთი სასწაულები...
ზამთარი გადის, ყინული დნება,
სულ არ მოგწონვარ, მართლა, სრულებით?

ლელა წილოსანს!!!

ლელა, ვიცი, გახსოვარ,
არც მე არ მავიწყდები,
თუმცა, სხვისი სატრფო ხარ,
და შენც მისთვის იწვები...
ჩვენც ხომ ვიცით, ცხოვრება,
მკაცრია და ბოროტი,
მზის სხივები შოლტებად,
გულში ატანს ბოლომდის...
მაგრამ, იცი, ვინ გვშველის,
და ვისთვისა ვსულდგმულობთ?
როცა ღამე შიშველი
სულს გვიწეწავს უგულოდ...
ალბათ, შენისთანები,
ლამაზები, კარგები...
ერთი ღიმილისათვის
ჩვენსკენ მოფარფატენი...
და ჩვენც მეტი რა გვინდა,
ასაფრენად ზეცამდე,

წამიც კმარა დარდიდან
ზოგჯერ აღტაცებამდე!!!

როცა მე და შენ ამა სოფლად აღარ ვიქნებით

როცა ღამეებს სარეცელზე ნალოლიავებს,
მიივიწყებენ უნებლიედ ხსოვნის ტიტრები...
როცა მზე მთვარეს ლავაშივით დაიღლიავებს,
და აღარც მთვარე და აღარც ჩვენ აღარ ვიქნებით..
როცა შეწყდება სამრეკლოზე რეკვა ზარების,
და ჟამი თავის ბრჭყალიან თათს ქალაქს დაადებს,
ყელგამშრალ ველებს დაეტყობა ბზარი გვალვების
და ქარიშხლებიც დაღლილ მიწას გაამათრახებს...
რაღას იდარდებს დაისისას, ნეტა, ნიავი,
ან ვისი სარკმლის დარაბაზე მიაკაკუნებს;
ანდა, სიკვდილი ჯელტმენივით თავაზიანი
სად ეცეკვება ბოლო ტანგოს მთვარის ასულებს...
როცა მე და შენ ამა სოფლად აღარ ვიქნებით,
ყოველი წამი სულ იოლად ამოიცნობა;
ამოივსება მტვრით და ჟანგით მიწის ფილტვები
და სრულ წყვდიადში დაივანებს მარადისობა!!!

თუ კი მომწყურდი

თუ კი მომწყურდი, თუ კი მომშივდი,
ვერ შემაჩერებს აისბერგები,
როგორც ხომალდი, ფერდგამოცლილი
ტიტანიკივით შეგეხეთქები...
უშენოდ, აბა, რაში მარგია,
ქვეყნის სიმდიდრე, თუნდაც მეფური,
ან აისბერგი ვის უნახია
გემთან ჭიდილში დამარცხებული...
შენც ჩემი თეთრი აისბერგი ხარ,
მე კი გემი ვარ შენი სტუმარი,
დაგჯახებივარ, დაგილეწივარ,
ფსკერია ჩემი თავსასთუმალი...

ნეტა რა დაგიშავე

დეკემბერმა სუსხი იცის,
თებერვალმა ქარები...
ნუთუ კოცნას არ გამიცვლი,
სულ არ გამეკარები!!!
რად მეგონე, რად მეგონე,
ბროლის ნაზი ყვავილი..
ატმის კვირტი დასატკბობად
ყლორტზე ამოტანილი...
შემოვალ და ტყვიებს მესვრი,
ნეტა რა დაგიშავე,
ერთადერთი კოცნა გთხოვე,
ისიც არ გამიცვალე!

ტანგო

იცი, როცა შენთან ვცეკვავ,
ყველაფერი მავიწყდება,
შენთან ერთად, შენთან ერთად,
გაშიშვლება, გაგიჟება...
ამეკარი, დროს ნუ ჰკარგავ,
მომე შენი ცხელი ხელი,
შენი მკერდი შემიყვარდა,
შენი ყელი საკვირველი...
თეძოს ნაპირს ჩავუყვები,
გავჩერდები წელის ბორცვთან,
დამათრობენ ქერა თმები,
გამაცოფებს შენი კოცნა...
პაუზაა ტანგოს რიტმში,
ყელი–ყელში, თვალი–თვალში...
შენი ძუძუ ნერვებს მიშლის,
მეყინება სისხლი ძარღვში...
და ბზრიალებს ჭაღი ჭერზე,
მღერის, კვნესის ვიოლინო...
მე შენს ტუჩებს ისე ვეძებ,
როგორც ლოთი ჭიქა ღვინოს...
შენს ბაგეებს ვეწაფები,
თუ ტკბობაა ტკბობა იყოს,
შემაშველე ხელი ვთვრები,
კი არ ვთვრები, ვკვდები თითქოს...

ველოდი წარღვნას...

მე მარადიულ კითხვებს დაგისვამ,
თუმცა, ვიცი, რომ ვერ მიპასუხებ,
მთვარეს გაუსკდა გული დარდისგან,
შენ რომ ღიმილით დამასაჩუქრე...
შენ რომ ღიმილით დამასაჩუქრე,
ზეციდან გაქრა ყველა ვარსკვლავი...
ეწყინათ, რადგან, ალბათ, მათ უკეთ,
მოეხსენებათ ჩვენი ამბავი...
რომ ტკბილი ხარ და მეც რა ხანია,
მეც რა ხანია, სიტკბოს დავეძებ...
რომ შენი მსგავსი არ მინახია,
ამ სევდით სავსე არემარეზე...
შენამდე შავი მანტია მესხა,
და წუთი–წუთზე ველოდი წარღვნას,
მარტო ვიყავი ოკეანესთან,
და მემსხვრეოდა მკერდს ცივი ტალღა...
შენამდე ბევრი პროსპექტი ვკეცე,
ბედი ავბედი რას არ მახლიდა,
მაქცევდა მტვერში, მხრაკავდა მზეზე,
მკლავდა და მერე შარბათს მაწვდიდა...
და მართლაც ზოგჯერ სულ ერთი მისხლით,
ერთი ღიმილით რას არ გეტყვიან...
აჰა, ეს გული, ღიმილში გიცვლი,
შენს მერე გულში ვერ დაეტია...

საკირე

ვარ უღმერთოდ ჩაკირული საკირეში,
ერთიანად ცეცხლის ალში გახვეული...
ო, ეს სულიც, ჩემი სულიც იწვის ცეცხლში,
და მიჰყვება ფერფლს ზეცისკენ არეული...
ყველას ნაცვლად, ყველას ნაცვლად მე ვიწვები,
შეუკეთეთ, შეუკეთეთ, არ დამინდოთ!
არ დამინდოთ, ასე მიჯობს გეფიცებით,
არ გეგონოთ ვთამაშობდე რამეს თითქოს...
მე, მე, დამწვით, მირჩევია სხვების ნაცვლად,
რომ ცოდვანი ჩემი სისხლით განიბანოთ...
დამიჯერეთ, სიცოცხლეა ახლა ჯვარცმა,
და მეც მიჯობს სისხლისაგან დავიცალო...
შეუკეთეთ, შეუკეთეთ, აბრიალეთ,
ცას სწვდებოდეს ავარდნილი ცეცხლის ალი...
გაახურეთ ეს საკირე სატიალე,
მე დამწვით და თქვენ კი მართეთ ფესტივალი...

მოჰგავხარ მთებში ანთებულ აისს!!!

ისე ლამაზი იყავი ბოლოს,
რა დამემართა, ვერაფერს ვიტყვი;
თითქოს მზის გულზე დამაგდეს როგორც,
სულთანის მტერი ქართველი ბიჭი...
შენს შემხედვარეს, გულიც კი დამწყდა,
რომ ეს არ მოხდა სინამდვილეში;
ასე საშინლად ლამაზი ხარ და
მე კი სატანას ვყავარ კბილებში...
როგორ მინდოდა, რომ ერთხელ მაინც,
რომ ერთხელ მაინც კიდევ მენახე;
მოჰგავხარ მთებში ანთებულ აისს,
და მტევნებდასხმულ მწიფე ვენახებს...
როგორც პანტერა შენსკენ მოვილტვი,
თუმცა ვიცი, რომ ვერ დაგეწევი;
რას არ გავცემდი ერთი კოცნისთვის,
გადამასხიპეს თითქოს ფესვები...
რად გამაჩინა, როცა მაჩენდა,
ღმერთი თუ შენზე უნდა მელოცა...
ვერ გაგიმეტე მოსატაცებლად,
ვერ გადავიქეც ასეთ დესპოტად...
მაგრამ ვინ იცის, დროის ათვლაში,
ღმერთს შეეშალოს ეგებ რიცხვები;
მე ჯერაც მჯერა ბედის თამაშის,
მჯერა ზღაპრების, მჯერა სიზმრების...
ჰოდა, მეც მინდა ისე დამთავრდეს,
შენი სარეცლის გავხდე მფლობელი,
სულ ხომ ვერ გიხსნის ეგ სილამაზე,
დღეს ასე მკაცრი და ულმობელი...

შენ ვარდისფერი გქონდა ტუჩები

მთელი ცხოვრება, იბრძვი, ანათებ,

ათას ვარსკვლავად, ათას სანთლებად ,
არ ერიდები გზებზე არაფერს,
მიხვალ, მიჰყვები, არ გენაღვლება...
მაგრამ ნელ–ნელა, მაგრამ თანდათან,
ქრება სანთელი, კვდება ვარსკვლავი,
და ასე თითო–თითოდ გაკლდება,
ყველაზე ტკბილი შენთვის რაც არი...
ყველა წამები, ყველა წუთები,
თითო სანთელს და ვარსკვლავს გვტაცებენ;
შენ ვარდისფერი გქონდა ტუჩები,
როცა პირველად მოგიალერსე...
ახლა როდესაც ყველა ვარსკვლავი
ჩამქრალია და აღარ ანათებს,
ყველა სანთელი არის ჩამწვარი
და ვეღარაფერს შემოგთავაზებ...
ნუ მელოდები, ვიბრძოდით მაგრამ,
ეს ბრძოლა იყო ელვისებური;
სანთლებთან ერთად მეგობრებს ვკარგავთ
და ტუჩებიც გაქვს გაფითრებული...

უიარაღოდ...

მოლიპულ გზაზე ვდგავარ და ვიბრძვი,
უხმლოდ, უაბჯროდ, უიარაღოდ,
მე ქარიშხლებმა მაჩუქეს სისხლი,
ჩემი დაღლილი სისხლის სანაცვლოდ!
და ვიბრძვი, რადგან აქ ურძოლველად,
შხამსაც არავინ არ გაიმეტებს,
ვიცი, ჩემსავით იბრძვიან ყველა,
ვინც ცოტას მაინც თესავს სიკეთეს!
მოდის დაისი, მზე ძალას კარგავს,
დასრულდა დიდი აფეთქებები,
შორს სისხლისფერი დაეშვა ფარდა,
დროშებდახრილი დგანან მხედრები...
მინდა იცოდეს, ყველამ ვინც რწმენის,
უიმედობით დაუშვა ხმალი,
რომ მებრძოლი ვარ და ჩემი მტერი,
სულ მალე ჩემს წინ ეგდება მკვდარი!
მე მგლის ლაბადას მხრებზე მოვისხამ,
შემოვუძახებ ზღვებს და გრიგალებს,
გვირგვინს დავიწნავ ვარსკვლავებისგან,
დროშებს კი ფარად წინ ავიფარებ!
მე ვიბრძვი, ვიბრძვი უიარაღოდ,
მე სხვანაირი ბრძოლა არ მინდა,
და ბარიერი რომ გადავლახო,
სისხლს გადავისხამ ამ გრიგალიდან!!!

მუზას

პოეზიის დღე ყოფილა თურმე,
ჩიტბატონა ზის და გალობს ტოტზე...
შეგისრულებ, რაც არ უნდა გსურდეს,
დამიჯერე, რაც არ უნდა მოხდეს...

მენატრები, რადგან ისე შორს ხარ,
როგორც მზეა ანდა თუნდაც მთვარე,
მაგონდება ერთადერთი კოცნა,
მეორეს კი გამოვატან ქარებს...
ვიცი, მაინც წამართმევენ შენს თავს,
აბა, ჩვენში ვინ შეგარჩენს რამეს...
მოდი, მაინც სიყვარულის შევსვათ,
და ოცნებაც მივაბაროთ ღამეს!!!
რომ თუნდ ორად გაიხლიჩოს მიწა,
დღე და ღამე კი ერთმანეთს ასცდეს,
ტყვია ისევ ზუსტად მოხვდეს მიზანს,
და დამბაჩაც კვლავ ეჭიროს დანტესს...
მომკლან, როგორც სხვა პოეტებს ჰკლავდნენ,
გამეტებით, შურით, ზიზღით, ბრაზით,
მომკლან, როგორც გენიოსებს სწვავდნენ
და ჯალათებს აცილებდნენ ტაშით!
ვერას იზამ, მუდამ მათი დროა,
მაგრამ მინდა შენ ერთს მაინც გწამდეს,
მილიარდჯერ დამწვან, მაინც მოვალ,
მაინც მოვალ, ოღონდ შენა მყავდე!!!

ელენს!

ელენ, როგორ მიყვარხარ,
როგორ არ მემეტები,
თუნდ დროებით წასული,
ჩვენგან ასე შორს რომ ხარ;
ვერ გითხარი, შენს გამო,
იცი, ღმერთს ვეხვეწები,
რომ სულ მალე, სულ მალე,
სამშობლოში ჩამოხვალ...
ვიცი, ყველა ეშმაკი
შეეცდება ჩაშალოს,
ჩვენი ტკბილი, ლამაზი,
მეგობრული შეხვედრა;
ელენ, ვერაფერს ვიზამთ,
ასეთია სამყარო,
და ჩვენი გამწარება,
შენც იცი, ეხერხება!
მაგრამ, არა მგონია,
ღმერთმა სულმთლად გაგვწიროს,
რომ ტკბებოდეს ის ჩვენი
ასე დაქუცმაცებით,
სამშოლოშიც რამდენი
ცხოვრობს უსამშობლოოდ,
ეგებ ჩვენი ბრალია,
ჩვენ კი ღმერთს ვემართლებით...
ან შენ როგორ გგონია,
ეს ამდენი ომები,
ეს ამდენი ტანჯვა და
ბედის უსამართლობა,
მოხდებოდა კი ქვეყნად
თუ არ ავაგორებდით,
ან ოდნავ რომ ვიცოდეთ

ერთმანეთის დანდობა!
ვიცი, მაგრად დაგტვირთე,
იქნებ ტირი კიდევაც,
მაგრამ მჯერა სუფთაა,
შენი მწარე ცრემლები;
ასეც ნუ დაღონდები,
ყველაფერი იქნება,
ჰო, მგონია რატომღაც,
რომ სულ მალე,
ჰო, სულ მალე,
სულ მალე,
უეჭველად შევხვდებით!!!

გინდა კოცნას გასწავლი

რა ლამაზი ყოფილხარ,
არ მეგონე ასეთი,
მთელი ღამე გკოცნიდა,
მთვარე თავის სარკეთი...
შენს სარკმელთან ვიდექი,
შენ რომ ტკბილად გეძინა,
ღრუბლად გადავიქეცი,
მსურდა შენთვის მეწვიმა...
რომ დანამულ ბაგეზე
მეკოცნა და მეკოცნა,
მერე კი ვიალერსეთ,
მე ბევრი და შენ ცოტა...
სულ ვიწვიმებ, ვიწვიმებ,
სანამ არ დავიცლები,
რა ლამაზად ციმციმებ,
რა ლამაზად წითლდები...
დამელოდე, ამ ღამით,
ალბათ, მოვალ ქარიშხლად,
გინდა, კოცნას გასწავლი,
ისევ, სულ, სულ თავიდან!!!

გამახსენე

გამახსენებ, დავიწყებულ მელოდიას?
ღამის თრთვილი დილით ტოტებს როგორ რთავდა...
ბეღურები ნაკადულთან ერთობიან,
აკაციას მოხდენია თოვლის ფატა...
გამახსენე, გამახსენე, ის სიცივე,
მაშინდელი, რატომ იყო თითქოს თბილი;
მოდი, ისევ ძველებურად გამიღიმე,
გამიცოცხლე ის დღეები დაფერფლილი...
იქნებ მითხრა, რად დაკარგა სხივმა ძალა,
ანათებს და გულს კი, იცი, აღარ ათბობს...
გამახსენე მელოდია, რომ ხვალ კვლავაც,
ჩვენი დრო და არსებობა გავამართლოთ...
გამახსენე მაშინდელი ზეიმები,
მაშინდელი სიმღერები გამახსენე,
გამახსენე მაშინდელი ჩვენი მთები,

დათოვლილი კავკასია გამახსენე...
გამახსენე, იქნებ ძველმა მელოდიამ,
ძველებურად ხასიათზე მოგვიყვანოს;
ნაკადულთან ბეღურები ერთობიან,
ზამთარი კი გაზაფხულის მოსვლას ნატრობს...

იასამანი

მეც იასამნის ხუთქიმიანი
ყვავილი ბევრჯერ ჩამიყლაპია,
ის სურვილები, ალბათ, მრავალი,
თუ უამრავი ისევ ქარს მიაქვს...
ისევ ქარს მიაქვს ყველა ოცნება,
ყველა ნატვრა და ყველა წადილი,
მაგრამ სურნელი დღემდე მომყვება,
დღემდე არ მტოვებს იასამანი...
ჰო, ყველამ ვიცით, უიასამნოდ
არ არსებობენ გაზაფხულები...
რომ გაზაფხულის თბილი საღამო
გაჟღენთილია მისი სურნელით...
და მეც მინდება ვინმემ გადმომდოს
ჩემი ბავშვობის თეთრი ნატვრები,
არ მივატოვოთ, არ მივატოვოთ,
არ მივატოვოთ იასამნები...
ჰოდა, ვინ იცის, ჩვენი ნატვრები,
და სურვილებიც იქნებ ასრულდეს,
მოდი, მაჩუქე იასამნები
და ჩაიფიქრე მერე რაც გსურდეს!

ისევ სანდრას

ყველა იმედი წყალს გავატანე,
ბედნიერებაც თურმე ბლეფია...
იმ დღიდან როცა ვაშლში გამცვალე
და ყელზე გველი შემოგეხვია.
ჰოდა, რაც ხდება, ახლა ძვირფასო,
მე კი არა და თავს დააბრალე,
გსურს სამოთხეში გადაინაცვლო?
მე არ დაგიშლი, კი, გენაცვალე!
მაგრამ არსებობს კიდევ სამოთხე?
იქიდან ვინმემ გამოაღწია?
იქნებ და ღმერთმა იმ საღამოსვე
მთელი სამოთხე ფერფლად აქცია...
შენ მკითხავ, ალბათ, რატომ მაქვს ეჭვი,
მთელ ამ სულელურ აბდაუბდაზე;
ან თუ კაცი ვარ, ქალებს რად ვერჩი,
იმედის კარი რად ჩავურაზე!
თუმცა, რა ვიცი, იქნებ შენს ბედზე,
იპოვო კიდეც შენი მეგზური;
მაგრამ, ძვირფასო, შენ თუ მე მეძებ,
სხვას რომ ვაჩუქე დღეს ჩემი გული?

თამუს და ნანას ორივეს

მოვდივარ, მომაქვს შენთვის აპრილი,
მომაქვს სიგიჟე მარტის დღეების,
როგორც მდინარე ზედ გადაგივლი,
გადაგთელავ და მოგეფერები!!!
ვხედავ, რომ შენი გაფურჩქვნის დროა,
ვხედავ, რომ გიმწიფს ძუძუს კერტები,
შენ ისეთი ხარ აპრილი როა,
და არც ადვილად არ დამნებდები...
ჰოდა, მოვდივარ როგორც ტალღები,
როგორც მორევი განრისხებული,
მაინც ჩაგითრევ თუ არ დამნებდი,
შენც გაშიშვლდები გაფითრებული...
ყურში გიწივის სიძვის ყივილი,
გაფურჩქვნისა და სიმწიფის დრო გაქვს,
და მოსაწყვეტი მზის ყვავილივით,
მნებდები, გტკივა და მაინც ბორგავ!

თამუნას! მადლობის ნიშნად!

რადგანაც დუმხარ, მეც დავდუმდები,
ზოგჯერ მეც მიყვარს ასე დუმილი,
დღეს არა? ხვალ ხომ დამიბრუნდები,
ისევ სურვილით, ისევ წყურვილით...
რომ დაიოკო ყველა ვნებანი,
ზამთრის ყინვებში დაგროვებული,
რადგან აპრილის საოცრებანი
ცეცხლივით ტანზე გაქვს მოდებული...

მე არ ვთამაშობ ამ ბანძ თამაშებს...

ერთი კი ვიცი, ჩემო ლამაზო,
მაგ გამოხედვას ვეღარ გავუძლებ;
მიმინოსავით კართან გდარაჯობ,
რომ გავიტაცო ჩემი საუნჯე!
თან რა ხანია გზაჯვარედინზე
ვდგავარ და გზა ვერ ამირჩევია..
და თუ ოდესმე მაინც ვეღირსე,
დავისაკუთრე ის რაც ჩემია...
ვიცი, ვერავინ ვეღარ წამართმევს,
რომც ჩამოვიდნენ ყველა ღმერთები;
მე არ ვთამაშობ ამ ბანძ თამაშებს,
მე მხოლოდ ვეფხვებს ვეპაექრები!
წამოხვალ? გეტყვი გზაში დანარჩენს,
გზა სალ კლდეების ნაპრალზე გავა...
და რაც მე მიყვარს იმას დაგაჩვევ,
და რაც შენ გიყვარს იმაზეც წავალ!!!
ჯერ კი კვლავ კართან უნდა გელოდო,
მიმინოსავით ბრჭყალალესილი...
დაბადებიდან ასე ვმეკობრობ,
თავზე სიყვარულგადალეწილი!!!

ბავშვობას ვეძებ

მეც რახანია ბავშვობას ვეძებ,
თუ ვინმემ ნახოთ, არ დამიმალოთ!
არ მიცოცხლია ბავშვობის შემდეგ,
ჰოდა, ტყუილად რად დავიბრალო!!!
რად დავიბრალო, ის რაც არ არის,
რასაც არ ჰქვია ბედნიერება;
ბავშვობა არის გზაგასაყარი...
როცა ვარსებობთ დაუყვედრებლად...
ამიტომ ჩემი ბავშვობა მინდა,
მინდა მჯეროდეს ისევ ზღაპრების,
რომ სამყაროა საოცრად წმინდა,
რომ ყველაფერი არის ბავშვების...
ვიცი, ბევრს ალბათ გაეცინება,
ბევრიც სიგიჟედ ჩათვლის ჩემს სურვილს,
რომ სიტყვებს ვისვრი დაუფიქრებლად,
რომ იმას ვეძებ რაც არ მეკუთვნის...
არა, არ ვიღებ ასეთ სიმართლეს,
მე მას დავარქვი უსამართლობა,
თუ ვინმემ ნახოთ, გადამინახეთ,
არ დამიკარგოთ ჩემი ბავშვობა...

დღე სასწაული

ვიცი ბევრს უჭირს დღეს და ეს დილაც
არ უხარია ნახევარ ქალაქს;
თუმცა, ტაძარი ოქროსფრად ბრწყინავს,
და სანთლის ალიც ცრემლებსა მალავს...
მეც მეცოდება ვისაც დღეს კვერცხი
ვერ შეუღებავს და ჩუმად ტირის...
მაგრამ იმისი არავის ესმის,
თუ ყველას არა, ნახევარ თბილისს...
და ასე გადის სიცილ–ტირილში,
ქრისტეს დღეები, ალბათ, ბრწყინვალე;
და რაც მეც გავჩნდი ქვეყნად, ვინ იცის,
უკვე რამდენჯერ გარდავიცვალე...
უკვე რამდენჯერ წამოვდექ მკვდრეთით,
ამ უსასრულო ჯგლეთა–ჭყლეტაში,
დავგმე და ისევ ვიწამე ღმერთი,
რომ წილი აქვს ჩვენს გადარჩენაში...
რომ ქრისტე არის ჭეშმარიტება,
რომ სხვანაირად ვერაფერს ავხსნით,
რომ სიხარული სადაც იწყება,
იქვე დის ცრემლიც თავისი თალხით...
ჰოდა, რა უჭირს თუ ამ დღისითაც
კარს მათხოვარი მოგიკაკუნებს;
თვითონ მზეც ხშირად ჩნდება ნისლიდან,
ჩვენც დაველოდოთ სხვა გაზაფხულებს...

თამუნია წერეთელს, ოღონდ დღევანდელს...

შენ ხომ ვერ მეტყვი სად გადის ზღვარი,
სიყვარულსა და სიძულვილს შორის...

ან, მართლაც, რაზე ბუტბუტებს მტკვარი,
მნახველი ამდენ ჭირის და ბრძოლის...
რა შეიცვალა ტატოდან დღემდე,
ვის ვინ უყვარდა, ან ვის ვინ სძულდა...
ან საქართველოს სისხლიან მკერდზე,
რატომ თამადობს სიკვდილი სუფრას...
ან რატომა ხარ ამ ლექსის მუზა,
მე ხომ არც ვიცი თუ ვინა გჩემობს,
ანდა რამდენი ვარდების ფურცვლა,
გადააგორე დღემდე უჩემოდ...
ან შენში რატომ უნდა ვხედავდე,
საქართველოს ბედს, მომავალს მისას,
ან სანამ კოცნას გაგიბედავდე,
ვის დავეკითხო, მღვდელსა თუ მისანს...
არ გაქვს პასუხი ჩემს შეკითხვებზე,
ვერც ვერას მეტყვი, რადგან ძნელია,
მართლაც ყველანი დავდივართ წრეზე,
გარეთ ვერაფრით გაგვიღწევია...
მაგრამ, თამუნა, დრო მოვა ვიცი,
და გაჰკვეთს სივრცეს ტატოს მერანი...
ისევ აღსდგება ქართული სისხლი,
ვერას დააკლებს ბედისწერანი...

ირინა ადამიას

დიდი ხნის წინათ, დიდი ხნის წინათ,
ქართველი ქართველს რომ ედგა მხარში,
აქედან არვინ გადახვეწილა,
არ დაცურავდა შენსავით ზღვაში...
ან ახლა, ნეტა, რომელ ზღვას ფარავ,
რომელ მხარეში გაგტყორცნა ბედმა,
ისევ ანთიხარ კელაპტრის დარად,
თუ მიგატოვა წარსულის ცეცხლმა...
ნეტა, რას ფიქრობ ქართულ მიწაზე,
არ გეხმარება, არც აგონდები;
ამოგიჭრია გულის ფიცარზე
ვით რომაული კატაკომბები...
კარგად მიგიღო ალბათ ელადამ,
რადგან დღითი–დღე მშვენიერდები...
შენ მანდ ცურავდი, აქ ზღვა ღელავდა,
ზღვა ქართული მზით ანაღვერდლები...
როდის გაიშლი დედურ იალქანს,
სამშობლოსაკენ როდის გამოსწევ,
თუ მინდობილი ბედს და ნიავქარს
სიზმრებს ნახულობ საქართველოზე...

წლები გადის და გვრჩება წამები

მე მომეჩვენა რომ ნაწყენი ხარ,
რომ რაღაც დარდებს გაუღე ხარკი,
მაგრამ, მგონია, მაინც მღერიხარ,
რომ სიმღერაში ჩაიკლა დარდი...
თუმცა, რა ვიცი, იქნებ არც ღირდეს,

ადრე რაც იყო ახლა სათქმელად...
დღეს ავდარია, ხვალ გადაიღებს
და ეს ღრუბლებიც გაიფანტება...
ისევ გაათბობს ზეცის კაბადონს
მზე უმდიდრესი და უსხივესი...
და შენც იქცევი ისევ ყაყაჩოდ
როგორც ყვავილი უნატიფესი...
მე მომეჩვენა, რომ შენს თვალებში,
ბავშვობის სხივი აღარ კიაფობს,
და გაზაფხულიც უმხურვალესი
აღარ გეძახის საგანთიადოდ...
და დარჩენილი სევდის ამარა,
ნოემბრის ქარებს ეხმიანები,
დრომ სიყვარულიც მიასამარა,
წლები გადის და გვრჩება წამები...

როგორ მომწონხარ

როგორ მომწონხარ, ასე მგონია,
თითქო, წყვდიადში შემოასხივე,
ალბათ დედისგან თუ დაგყოლია,
ეგ სინატიფე და სიმარტივე...
ჰოდა, მეც მინდა შეგშალო ისე,
რომ გაბოდებდეს ძილშიაც ჩემზე,
ვერ იშორებდე ღამეულ სიზმრებს,
ვერც ძილის წინ და ვერც ძილის შემდეგ...
და რომ ჩემს გამო ღიმილი ტუჩზე,
არ გშორდებოდეს არცერთი წამით,
და იგონებდე თბილისის ქუჩებს,
სადაც მე და შენ ვხვდებოდით ღამით...
მწიფე ხარ, როგორც ბაღში ატამი,
მზისგან დამწვარი, კანახლეჩილი,
შემომეხეთქე მკერდზე ზღვასავით,
ამისხმარტალდი ხელში თევზივით!
მე კი ვერაფრით ვერ შევაფასე,
ეს უნებლიე ჩემი ცოდვანი:
ეშმაკს შეაცდენს ეგ სილამაზე,
იწვები ველის ყაყაჩოსავით!

ყივჩაღი ვარ

შენ რომ გნახე, ყივჩაღობა მომინდა,
რომ შენს ახლოს დავცე სადმე კარავი,
მე დავბრუნდი დიდი მარათონიდან,
და თუ ვკვდები, ჩემი ბრალი არ არი...
ვიცი, ჩემი გაგიჟება რომ გინდა,
და თანდათან ასეც ხდება მგონია,
ყივჩაღი ვარ, ნაძარცვ ალაფს მოგიტან,
შენზე ფიქრი ომშიც გამომყოლია...
ყურში ჯერაც მიდგას ცხენთა ჭიხვინი,
ბედს ვწვდები და აპეურებს ამოვდებ,
კარი გახსენ, მომეგებე კვიცივით,
შენი კანის მხურვალება გადმომდე!

ლამაზი ხარ, როგორც ქაჯი, ავსული,
კარს გახსნი და განათდება სამყარო,
ყივჩაღი ვარ, საბრძოლველად წასული,
მოვდივარ, რომ გამარჯვება გახარო!!!

ლამაზმანს, რომელსაც მეგობრობა ვთხოვე და უარი მტკიცა...

მერე რა, რომ ლამაზი ხარ,
ეგ, უბრალოდ ღმერთმა მოგცა,
მე კი გულზე მახატია,
ქრისტეს ჯვრიდან გარდამოხსნა...
ერთ ჯიბეში მთვარე მიდევს,
მეორეში ვარსკვლავები...
რა მოხდა თუ ვერ გამიგე,
მე კი საზღვრებს გადავედი...
შენც რიგითი ყაყაჩო ხარ,
დღეს ანათებ, ხვალ დაჭკნები,
მაპატიე, თუ წამომცდა,
რამე ძნელად გასაგები...
შენ პირველი ხომ არა ხარ,
ტატო დარჩა უსატრფოოდ,
მერე რა რომ ყვავილს ჰგავხარ,
ყვავილებით მკვდარსაც ვგლოვობთ!!!

ახლა შენი მძევალი ვარ

შინდის ტუჩი გახეთქილი,
როგორც მწიფე ბროწეული,
ძუძუს კერტი ტკბილზე ტკბილი,
მოვარდისფრო ძოწეული...
რა ვუშველო მწვანე თვალებს,
სად გავექცე, სად ვირბინო?
ბედი ხელში მიფართხალებს,
ტყვია მინდა ავიცდინო!
ტყვია შენ რომ გისროლია
და წივილით ჩემსკენ მოდის,
მთელი ჩემი ისტორია,
ხვანჩკარაა შენით თრობის!!!
და თუ სადმე ღამეს შევრჩი,
ღამეს გიჟს და ვნებებიანს,
ან ღალატი შემრჩა ხელში,
როგორც ხშირად შემრჩენია...
ბრალს ნუ დამდეგ, მე ამ ქვეყნად
ვერ დავიდე ვერსად ბინა,
ყველაფერი მეკარგება,
რაც მიყვარდა ასე წინათ...
ახლა შენი მძევალი ვარ,
შენს ბაღნარებს ვეტანები,
მელნისფერი პერანგიდან
გიჩანს ძუძუს მწვერვალები!!!

თამარს, ხვადაგიანს!!!

სავსე ხარ, როგორც ივლისის მთვარე
და სევდიანი როგორც დაისი,
წამო, მოგიმტვრევ იასამანებს,
რომ დაგავიწყო ჭმუნვა და ნისლი...
წამო, არაგვის პირას გავიდეთ,
ვნახოთ წინაპართ ნასახლარები,
ასე მგონია, იქ თუ ვართ ისევ
ციდან გვიცქერენ მათი თვალები.
ვიცოდე მაინც, ვიცოდე მაინც,
ყველაზე მეტად რა გიხარია,
ალბათ რამდენი წუთი თუ წამი,
ნაღველით სავსეც აგიტანია...
ჰოო, ცხოვრება სულაც არა ჰგავს,
ვარდის ფურცლებით მორთულ ხალიჩას;
გაგვახალისოს იქნებ არაგვმა,
ან ნაღველისგან მაინც დაგვიხსნას...
ან ამ ბოლო დროს რად ვფიქრობ ხშირად,
რა აწერია დღეს ქართულ ზეცას,
ის ძველებურად აღარა ბრწყინავს,
და ბევრად ხშირად მომესმის კვნესაც...
ჰოო, ზეციდან კვნესაც მომესმის,
თუ დამიჯერებ ზარების ნაცვლად,
მე ვერ ვერკვევი ცის კანონებში,
და არც ამათი ზღაპრების არ მწამს...
შენ კი, სვანების, ლამაზო ქალო,
კვლავ ელოდები, ალბათ, აისებს,
არც მე დაგინდე, ჰო, მეც უწყალოდ,
მოველ და გული სევდით აგივსე...

შენს აივანთან

შენს აივანთან ვიდექი წუხელ
და ჩემზე მთვარეს ეცინებოდა...
მინდოდა, მაგრამ ვერ შეგაწუხე,
რატომ? მეგონა გეწყინებოდა...
ანდა, ვინ იცის, იქნებ მელოდი,
იქნებ სიზმრებში ბორგავდი კიდეც...
იქნებ მკოცნიდი და მეხვეოდი,
მე კი რატომღაც ვერ გაგაღვიძე...
ჰოდა, ვიდექი დატყვევებული,
მთვარის სიცილით, ღამის სიჩუმით,
როგორც სცენაზე ძველი ფიტული,
მარტოობისგან გამოფიტული...
მოგისმენია მელოდიები,
მწუხარებაზე რომ გვიყვებიან?
როგორ ჭკნებიან უხმოდ იები...
ნაკადულები როგორ კვდებიან...
რაღაც ამის მსგავსს ვისმენდი თითქოს,
ყელზე სიჩუმე შემომეხვია...
ჰაერში იდგა მაისის სითბო,
და სევდა მე რომ შემომეჩვია...
შენ კი გეძინა, გეძინა ალბათ,
და ფერად–ფერად სიზმრებს ხედავდი,
ქარი კი ისევ კვლავ საიდანღაც

ქუჩას ავსებდა ბურბუშელათი...

ირინეს, ივანისელს!

შენ რაც გაწუხებს, მეც მაწუხებს, ალბათ, ირინე,
ყველა ერთ ქვაბში ვიხარშებით და ვიხრაკებით,
გადაივიწყე ყველაფერი და გაიღიმე,
და შევიგინოთ ჩვენებურად: ამათ კარგებიც!!!
ჰო, ესეც წავა, ესეც წავა, ესეც ჩაივლის,
დრო მკურნალია, დააყუჩებს ყველა ტკივილებს,
ბევრი არ დადის ჩვენს ქალაქში დღეს შენნაირი,
ბევრს არა სტკივა შენნაირად, ჩემო ირინე!
ბევრ ქვეყანაში საკუთარ ხალხს ტყვიას უშენენ,
დღეს ყველა ტირანს ჰყოფნის ამის გამბედაობა,
მაგრამ დღე დგება და როგორმე თუ თავს უშველეს,
მათ გვარსა სწყევლის მომავალში ყველა თაობა...
დღეს კი ჰაერში ყველა ვხვდებით დენთის სუნი დგას...
უცხო მიწაზე ფეთქდებიან ჩვენი ბიჭები...
განა რა დარჩა იმ ნამდვილი სიყვარულისგან,
ქართულ სუფრებზე უცხოელთან თავს რომ ვიქებდით...
დღეს სატრაბახო აღარაა თურმე წარსულიც,
ვინც კი გვიყვარდა ყველას მოხვდა გუნდა ტალახის,
მაგრამ, ყველაფერს, დამიჯერე აქვს დასასრული,
და გაყვავდება ისევ ნუში ამ ქვეყანაშიც...
დღეს კი მეც და შენც თუ გვაწუხებს დარდი ერთგვარი,
და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სიკეთე გვინდა,
რას ვიზამთ, უნდა გავიმაგროთ გული კლდესავით...
და არ შევბღალოთ თუ რამ დაგვრჩა ჯერ კიდევ წმინდა!!!

დრო (ტ–ს)

ის რაც შენთვის წელია,
ჩემთვის ალბათ წუთია,
იცი, მართლაც ძნელია,
დროს ბევრი შეუძლია...
შეუძლია გაგვყაროს,
ანდა სულაც პირიქით,
ჰო, ისე შეგვაყვაროს,
ერთმანეთი, ვინ იცის!
შენთან დიდი ხანია,
რაც არ მისაუბრია,
ისევ დროის ბრალია,
ზოგჯერ მასაც გვჩუქნიან...
მოდი, წამით ერთმანეთს
ჩავაცქერდეთ თვალებში...
სანამ გადაგვთელავენ
დროის კორიანტელში...
სანამ ჩვენი თვალები
ისევ ისე ბრწყინავენ...
სანამ დრო და წამები
სულმთლად არ გაგვწირავენ...
ჩვენი ასე შორს ყოფნაც
ალბათ ისევ ბედია,

მახსოვს რაც შენ მოგწონდა
მეც ის მომწონებია...
გელოდები, ჯერ ვიცდი,
დღეები კი გადიან,
დროის გარდა, შენც იცი,
ყველაფერი ხრწნადია!!!

ან ვინ იცის?

სიზმრად ვნახე, მომცემოდა
ქარის ჟინი, ზღვების ძალა,
ბინა მთვარის დისკზე მქონდა,
ვარსკვალების მყავდა ფარა...
ყველაფერი, ყველაფერი,
ჩემი იყო, რაც ცაშია...
მხრებზე მესხა ცის ნათელი
ტანს მემოსა კავკასია...
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე,
სურვილები, ოცნებები,
არწივივით ვშლიდი მკლავებს,
ვბობოქრობდი, როგორც ზღვები...
მაგრამ, როცა ღამე ჩაქრა,
და მზის სხივმა გამაღვიძა,
შენ მედექი სასთუმალთან,
და მიმზერდი წყნარად მძინარს...
ყველაფერში ბედი გინდა,
ჩავიქნიე ჩემთვის ხელი...
რომ იმ ჩემი სიზმრებიდან,
არ შემომრჩა არაფერი...
ღმერთის ნაცვლად ვიყავ მონა,
ჩემი ზეცის, ჩემი მიწის...
შენ კი ჩემი დეზდემონა,
თუ ნესტანი, ან ვინ იცის?..

თამუს, მეკობრეთა დედოფალს!!!

რას ველოდები? ქარიშხალს ზღვაზე,
უტოპიაა ჩემი ცხოვრება,
ღმერთი ყოფილა ნაღდად მეზღაპრე,
თუმც რას გვიპირებს არ წამოსცდება!
ბედნიერება ზღვების ქაფია,
და ოქრო–ვერცხლში ტყუილად ეძებ;
რა გვრჩება ხელში, ეპიტაფია,
ყველას, სულ ყველას, სიცოცხლის შემდეგ!
უკვე მზადაა ჩემი ხომალდი,
ჩატვირთულია წყალი და ღვინო,
რათა მომავალ შემოდგომამდის,
გემზე მეკობრემ არ მოიწყინოს!
გინდა, გამომყვე ზღვაზე დედოფლად,
გინდა, ისმინო ოქროს ჩხრიალი,
და დაიბადე რადგან მეკობრად,
უნდა ისწავლო დანის ტრიალი...
ჩვენ გავალთ, როცა ზღვა გაცოფდება,

და წარღვნის სუნი დატრიალდება,
ნაძირალათა ჯარი მომყვება,
სხვათა საუნჯის დასატაცებლად!
ჯერ კი ქარებმა უნდა დაფაროს,
ჰორიზონტამდე ზღვის ზედაპირი,
ჯანღმა ჯანღები უნდა აჰყაროს,
ტალღამ წალეკოს მთელი ნაპირი...
იცი, ძნელია ზღვაზე სიკვდილი,
თუმცა ჯარიც გყავს, მაინც მარტო ხარ;
შენ არ იფიქრო რამეს მივტირი!
გავჩნდი და ღმერთმა ზღვა მისახსოვრა!
წამო, ავუშვათ შავი აფრები,
ისე, რომ ზღვასაც კი ეშინოდეს,
მე ყველას, ყველას ჩავუსაფრდები,
ღმერთს კი, რაც უნდა იმას ფიქრობდეს!
ოღონდ არ გქონდეს ჩემი იმედი,
თავში რა დამკრავს არავინ უწყის,
მე ყველაფერი გამაქვს კბილებით,
მე მეკობრე ვარ და სიკვდილს ვუცდი!!!

მუზას

გთხოვ მაპატიო, რომ შენი სისხლით,
როგორც წურბელა ვიკვებებოდი,
რომ ამოგწოვე სულ მისხალ–მისხლით,
ყველა გრნობები, ყველა ვნებები...
რომ არ გინდობდი არასდროს გრამით
და გაშიშვლებდი, როგორც ვენერას,
რომ გასვი ქვეყნის დარდი და შხამი,
შეუსვენებლად, შეუჩერებლად...
რომ ქოსასავით შენთან ვცრუობდი,
რომ არ გინდობდი და გღალატობდი,
რომ მტაცებლობით, ბრძოლით, ქურდობით,
გძარცვავდი, გსპობდი, გკლავდი, გახრჩობდი!!!
გთხოვ მაპატიო დღეს ყველაფერი,
რომ დაგივიწყე და არ მახსოვხარ,
რომ ბევრჯერ ჟინით თუ მისწრაფებით
ყულფზე დაგკიდე ჩამოსახრჩობად!!!
ერთხელაც გეტყვი, გთხოვ მაპატიო,
და თუ კვლავ ბედი ხელთათმანს მესვრის...
ამათ საჯიჯგნად აღარ გაგვწირო,
არც თვითონ მე და არც ჩემი ლექსი...

რომ ჩანჩქერებში გარდავიცვალო

დაგორებული ლოდი ვარ მთების,
მწვერვალს მოვწყდი და ქვემოთ ვეშვები,
გამოსხმული მაქვს ფასკუნჯის ფრთები,
მოვალ, მოვლეწავ, მოვეხეთქები!!!
ხეობებისკენ ზვირთნი შხუიან,
ზოგს მე ვასწრებ და ზოგნიც მასწრებენ,
ჩემამდე ქარებს ჩამოუვლიათ,
და მეც ქარები ჩამომაფრენენ...

მოვალ, მოვამტვრევ, კლდეებს, კლდის ქიმებს,
მინდა ქვა–ღორღი ფარად ვიფარო,
ჩამოვფეთდები, ჩამოვიგრგვინებ,
რომ ჩანჩქერებში გარდავიცვალო!!!

სადღა არის გულები...

სულ გულები, გულები,
თანაც დამსხვრეულები.
გული ბროლის, ვარდების,
გული ბრილიანტების...
გული თოვლის, ყინულის,
გული გულს ჩაკირული...
რა უნდა ქნან გულებმა,
ასე სულწასულებმა...
ასე დამსხვრეულებმა,
ასე განწირულებმა...
დილას ვნახე ბაღჩაში,
ვარდი ვარდს ეუბნება,
ჩამიჯექი კალთაში
თუკი მოგეგუნება...
აუ, როგორ ეწყინა
თეთრ ვარდს წითლის ნათქვამი,
გაუფუჭდა გუნება,
თითქოს ასვეს ბალღამი.
ო, რამდენი სჭირდება
გულმა გულს რომ გაუგოს,
გულით რომ შეიყვაროს,
გულით რომ თანაუგრძნოს!
სადღა არის გულები,
გულები ერთგულები,
გულები შეკრულები,
როგორც თაიგულები...

რომ შენ გიმზერდე

ასე ვიჯდები ფეხმოუცვლელად,
რომ შენ გიმზერდე, შენით ვტკბებოდე;
წყალს წაუღია ქვეყნად სულყველა,
ჩემს გარდა, ვინც კი შენ გიცქეროდნენ...
მეც მინდა, მინდა, როგორ არ მინდა,
რომ სიყვარული გვალამაზებდეს,
როგორც ზღაპრული ნატვრისთვალი და
როგორც სიმღერა მაგ შენს ბაგეზე...
კი, მიყვარს, მიყვარს შენი სიტყვები,
კიდევ მითხარი რამე საჩემო,
რომ არასოდეს დაგავიწყდები,
რომ მუდამ, მუდამ გადაგარჩენო!
ასე მგონია შენით ინთება,
და იღიმება დილას ცისკარი,
როცა მზე ცაზე ამობრწყინდება,
და გაიღება სამოთხის კარი...
და არაფერი მართლაც არ მინდა,

ვუმზერდე როგორ იშლება ვარდი;
თუ როგორ ჩნდება შენი ბაგიდან,
ბგერები, გამა, მუსიკა, ჰანგი...

რომ აგიხდინო ყველა სიზმარი

ასე მგონია, ასე მგონია,
უკანასკნელი მოჰიკანი ვარ,
ფრთები არასდროს არა მქონია,
მაგრამ ვხვდები, რომ შენსკენ მოვფრინავ...
შენსკენ მოვფრინავ, როგორც გავაზი,
რომ აგიწეწო ტკბილი ცხოვრება,
რომ მერე ასე თამაშ–თამაშით,
დაგახრჩონ ჩემმა ცხელმა კოცნებმა...
იცი, სახელი არც აქვს იმ გრძნობას,
რომელიც ციდან თავზე მემსხვრევა,
მე დღემდე ჩემი ცხოვრება მქონდა,
დღეს კი ვინა ვარ არ გამეგება...
ჰოდა, მოვფრინავ, გახსენი კარი,
თან ქარიშხლები მომდევს თავდებად,
რომ აგიხდინო ყველა სიზმარი,
რომელიც, ალბათ, არც დამთავრდება...
ერთი კი ვიცი, სანამ გზაში ვარ,
და გრიგალები მეალერსება,
მომწყურებიხარ ისე საშინლად,
როგორც ვულკანის ამოკვნესება...
მინდა გიხილო ისე შიშველი,
როგორც გაშლილი ზღვები ტალღებად,
დაფრთხები, როგორც დაჭრილი შველი,
და ვნება ხელში შემომადნება...

თინა ბერაძეს, სიყვარულით!

იცი, არ ვიცი, როგორ აგიხსნა,
შენს დანახვაზე რა მემართება,
ასე მგონია, გაჩნდი ვარდისგან
და ვარსკვლავია შენი პლანეტა...
ისიც გითხარი, როგორ მომწონხარ,
დამიჯერებ თუ არ დამიჯერებ,
ეს სულერთია, რადგან რომც მომკლა,
ღირს კი სიცოცხლე, მითხარ, შენს მერე!?
ერთი კი ვიცი, ვიცი, ნამდვილად,
რომ არავისში არ ამერევი,
ღმერთს საგანგებოდ დაუხატიხარ,
როგორც ზამბახი მზით ნაფერები...
ნება მომეცი, ხელი შეგახო,
რომ ვიტრაბახო მერე ათას წელს,
ჩემი ოცნების ტკბილო ვენახო,
თავს რით ვუშველო, შენ მიკარნახე!
იცი, სათქმელი ისე ბევრი მაქვს,
იმდენი რამე მინდა გიამბო,
ხან დედოფალად დამსიზმრებიხარ,
ხან მზის სხივებად საგანთიადოდ!

და მაინც, მაინც, ალბათ მეტიც ხარ,
ვიდრე სულ ყველა დანარჩენები,
ვინ თქვა, რომ გაჩნდი კაცის ნეკნიდან,
ასჯერ დავთვალე ჩემი ნეკნები...
და დავასკვენი ბოლოს რატომღაც,
თუ გაიყარა აქ ჩვენი გზები,
რომ გადავუხდი ჩემს ბედს მადლობას,
ერთხელ, თუნდ ერთხელ ხომ მაინც შეგხვდი!

წადი, ბედი ეძიე!

გული შენსკენ მეწევა
ისევ შენსკენ მეძახის;
ფიქრი თუ დაგეწევა,
მქროლავს ღრუბლის პერანგში...
კარგი, ჩვენ გიჟები ვართ,
ზღვა რაღამ გააცოფა,
თითქოს შავი ფსკერიდან,
მოვარდნილა ღვარცოფათ...
ჰოდა, შენი სხეული
მინდა ტალღებს გავტაცო,
მინდა განრისხებული
ზღვა რომ შევაბარბაცო...
შენ კი ჩემგან მალულად,
მეკობრეებს მიჰყვები,
ზეცა გადაფარულა,
კუნაპეტი ნისლებით...
წადი, ბედი ეძიე,
მე კი ზღვას მსურს მივბაძო,
თუ კი ვერ დაგეწიე,
ნუ დამძრახავ, ძვირფასო!!!

შენ ნიავი მინდა იყო

მე სადა მაქვს იმის ძალა
შენ წინ ჩუმად თავსა ვხრიდე,
მე თუ რამე შემეშალა,
როგორ ფიქრობ, შენ დამინდე?
აპრილია, ბაღებს თეთრად
ათოვს ტყემლის ყვავილები,
ქარიც წყნარად დგას და პენტავს
ტყემლის ფურცლებს დაჟინებით...
შენ ნიავი მინდა იყო,
მე გიწევდე, გრიგალობას,
გაგიტაცო, შორს წაგიღო,
სადაც მთვარე მზესა ლოკავს...
სადაც სხივებს ნამი უყვართ,
ვარდის ფურცლებს დანამული,
ლეღვი სიტყვას გადაუკრავს
და წაუვა ატამს გული...
მთელი ღამე ვლოცულობდი
სანთელს შერჩა სუნთქვა ჩემი,
და კრთებოდა ხატზე თრთოლვით,

ანგელოზი თეთრი ფრთებით...
შევცქეროდი მე შენს სურათს,
ვარსკვლავები ისხდნენ ცაზე,
ნახე მთვარემ სად გაცურა,
ჩვენს ნაღვლიან სიმღერაზე...

აღარაფერს აღარა აქვს აზრი

ხალხით დაცლილს მივუყვები ქუჩას,
რაღაც ქილას ვაჟღრიალებ მტვერში,
ქუჩის ბოლოს მთვარეს ვამჩნევ ლურჯად,
მის მეტს, აბა, ვისღა სცხელა ჩემთვის...
ეს დუმილიც თავს მეფრქვევა ისე,
თითქოს ვიყო საბოლოო მგზავრი,
უფრო კარგი, ჩემთვის ღიღინს ვიწყებ,
აღარაფერს აღარა აქვს აზრი...
ჩემს ფიქრებზე ტუჩს იბზუებს მთვარე,
თითქოს მისი ქირქილიც კი მესმის...
დასაცინად ვერ მიმეტებს ღამე,
იცის, მაინც ვეღარაფერს შეცვლის...

ზღვა

მიყვარს როცა ზღვები ღელავს,
როცა ტალღა ურტყამს ტალღებს,
როცა ზღვებზე ბედისწერა
ახალ–ახალ ხიფათს ბადებს...
როცა კუნძულს, როგორც მძევალს,
შტორმი ესვრის თავის ბადეს
და გემებსაც ქარიშხალი
ნაფოტივით ათამაშებს...
ელვა–მეხზე ზღვა რომ კრთება,
ვით ქალწული სატრფოს ხმაზე...
როცა კლდეებს ეხეთქება
ზღვის ტალღათა სიგიჟმაჟე...
მიყვარს, მიყვარს ამ ველურთა
სიდიადე, ჰარმონია,
რომ ზღვას ბედი წამებულთა,
თავიდანვე დაჰყოლია...
ჰოდა, ისიც ღელავს, იბრძვის,
კვალს არ ტოვებს თავის გზაზე,
რომ თავისი ქარიშხლისთვის,
ისიც იყოს ვნებით სავსე...
იქნებ სწორედ ამაშია
ზღვების მთელი სილამაზე?

ნუკრის, ლატარიას...

ნუკრი, შენც შველის სახელი გქვია,
ასე მგონია, რომ ჰგავხარ კიდეც...
ბარში ირმები რად ჩამოდიან,
იქნებ შენ მითხრა, რა უჭირთ ირმებს...
რადა ტოვებენ კლდეებს ციცაბოს,

რად მოჰყვებიან მთების ნაპრალებს,
გაზაფხულამდე რომ არ იცადონ,
ჩვენამდე გზები ვინ მოასწავლეს...
ან კაცთან მოსვლას რა აბედინებთ,
კაცი ხომ მათი ძველი მტერია,
ლამაზებს, მთებთან ჯვარდაწერილებს,
ბარში, ვინ იცის, რა უწერიათ!!!
მართლაც ვინა ვართ, მითხარ, რანი ვართ,
ნუთუ მგლებზეც კი უარესები?
ვინ გაუძღვებათ უკან ბარიდან
მთებისკენ, ვითომ, ჩვენი მწყემსები?
ვაის გაექცნენ, ვუის ელიან,
თვალცრემლიანი დგანან ირმები,
და მართლაც, ალბათ, საკვირველია,
გადარჩებიან? რომ დაფიქრდები...
ეს იგივეა, რომ შენც გესროლონ,
რომ შენც გამოგჭრან ყელი ამ დროში...
არ შემიშინდე, ირმების სწორო,
მეც ხომ მგელი ვარ, კრავის სამოსში!!!

მარტოობა

ვიცი, ტყვე ხარ გრძნობების,
მარტოობა გაშინებს,
არავის ელოდები,
არავინ შეგარჩინეს...
შენი მზერა ნაღვლიან
სარკეს შეეყინება,
კედლებს ფარშევანგიანს
განახლება სჭირდება...
მოჩანს ძველი სარკიდან
ცრემლის ნაკადულები,
და დამჭკნარი ვარდიდან
ცვივა თეთრი ფურცლები...
ვისი იყო ცხოვრება,
ფიქრობ, ვერ აგიხსნია,
შენი დღე და მოსწრება
გზებს გაჰყურებ ნისლიანს,
მთვარის გასაოცებლად
მკერდი გადაგიხსნია...
მაგრამ კარგა ხანია,
ის არავის მასპინძლობს,
ჭკნობის პირზე არიან
ეგ ორივე აკიდო,
შემოდგომის ბრალია
ყოველივე რაც იყო,
ბევრსა ფიქრობ ძალიან,
დაკარგულა სასიძო...

ვიღაც მღერის თავისთვის

ვიღაც მღერის თავისთვის,
მე კი ჩემი მგონია,

მის მაგიერ განვიცდი,
რაღაც მელანქოლიას...
ის კი მღერის, არ იცის,
რომ მე კედლებს ვეხლები,
რომ ჩემს სულში ქარი ქრის,
ბევრად თავგამეტებით...
ვიცი, ეს ყველაფერი
მისთვის წუთიერია,
მე კი გულში გაჩენილ,
ბზარებს ვერ მოვრევივარ...
მღერის, მღერის, მისი ხმა,
მიქრის, მიიკლაკნება,
მკერდზე ვერცხლის თილისმა,
ქრება და იკარგება...
ვეღარ ვუძლებ, წავედი,
ის კი ფრთებსა მთავაზობს,
ისე ვარ ნაწამები
ყველაფერზე ვკამათობ...
სადაც უნდა წავიდე,
ბედი უკან მომყვება...
მთვარე ღრუბლებს ამშვიდებს,
მზე ბრაზობს და ცოფდება...

მოდი, გაჩუქებ ტკბობის ფიალას...

მოდი, გაჩუქებ ტკბობის ფიალას,
და ვეღარასდროს ვერ შემეშვები,
ჰო, რომ იცოდე, თავფეხიანად,
ჩემს ოცნებებში გადაეშვები...
ტანთ ყვავილების კაბა გეცმება,
თმებში ჩაწნული პეპლის გვირგვინი,
წინ მაყრიონი შემოგეყრება
სიხარულის და თრობის ყიჟინით!!!
შენ ტახტრევანზე ვით ლეოპარდი,
დამშვიდებული დილის ზღვასავით,
ვით საზეიმო ჰანგი მოცარტის,
ამობრწყინდები, როგორც ვარსკვლავი...
თუ გამიმართლა, ღიმილს მაჩუქებ,
თუ შემიყვარებ, ჩემი იქნები,
ამოგიკოცნი თაფლიან ტუჩებს,
და სიყვარულში გამოგიტყდები...
რომ მნათობებმა, როგორც ბავშვებმა,
ხელი ჩაჰკიდონ, წრეში ჩაებან,
რომ გადმოგვედოს ჩვენც აღტაცება,
და დაგვიჩოქოს წინ უკვდავებამ...
მოდი, არასდროს არ გაგეყრები,
შენი ვიქნები კუბოს კარამდე,
მოდი ვარსკვლავებს ხელით შევწვდები
და შენს გულმკერდზე ჩუმად დავაბნევ!!!

თამუნა თაას!

დაღამდა და რატომღაც

შეიცვალე პროფილი,
შენი სუნთქვა გამომყვა,
წმინდა, პირველყოფილი...
ხშირად ვფიქრობ, ვინა ვართ,
ვინ გვბადებს და გვაცოცხლებს,
შენ ხმას გულში ვინახავ,
როგორც ტკბილს და ახლობელს...
მიყვარს, როცა მამშვიდებ,
როცა თაფლად მედები,
თუ ოდესმე დაგჭირდე,
მეც ყველაფერს ვეცდები...
მართლაც განა რა გვინდა,
თითო სიტყვა გულიდან,
მოწყვეტილი ბაგიდან,
ცოტაც სიყვარული და
ცოტაც ვინმე გამგები,
აი, გრძნობაც თუ გინდა
და ნუ დამეკარგები...

სევდა (გალაქტიონის სტილში)

სევდა ჟანგივით მხრავს,
რომ აღარაფერს მწერ,
რატომ მარიდებ თავს,
მითხარ, გაფიცებ მზეს...
ღამე ვარსკვლავებს შობს,
მთვარეს დარდები ჰკლავს,
ღრუბლებს ძუძუსა სწოვს
მზე და მარიდებს თვალს...
მივალ, მივყვები გზას,
ზურგით მივათრევ ბედს,
ვეჩურჩულები ქარს,
ნუ მომიგზავნის მგლებს...
სად გაექცევი მტრის ხელს,
თოკით მიმაბა ცას,
მესვრის მოწამლულ ისრებს,
ცეცხლს მიკიდებს და მწვავს...

მარადისობად მიქციო წამი

მინდა, რომ შენი ისევე მწამდეს,
როგორც ბავშვს დედის, როგორც მზეს მთვარის,
რომ მიქარვებდე ყოველგვარ დარდებს,
მარადისობად მიქციო წამი...
გიყვარდეს ჩემი გულუბრყვილობა,
გეღიმებოდეს ჩემ შეცდომებზე,
თორემ მზე დილას ისე ტიროდა,
იმისი ცოდვით მე დავიკვნესე.
არა გჩვეოდეს გამოდევნება,
მისავიწყებელ ათას წვრილმანზე,
შეხედე მტრედი მტრედს ეფერება,
ქალს კი რა შვენის, მაინც სინაზე...
გახედე ზეცას, როგორ ენთება,

ვაზს ატმის კვირტი შეჰყვარებია,
და თავის შტოებს იქით ეწევა,
სადაც კვირტები უკვე სკდებიან...
მინდა, რომ გვქონდეს ერთი მიზანი,
თუ ერთად ყოფნა გვარგუნა ბედმა,
რომ ეგ ტუჩები ალუბლისანი
მუდამ ითხოვდნენ სიყვარულს ჩემგან...

ტანგო

ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ,
გამახსენე ტანგოს სტილი,
მკერდი მკერდზე დამახიე,
ხმა გამიხდეს ჩახლეჩილი...
არ დამინდო, შემომხვიე,
ვნებიანად შენი მკლავი,
თმებს ჩაგაწნავ დილის იებს,
მთვარე გახდეს უნახავი...
ბზრიალებდეს ჭერი თავზე,
ბრჭყვიალებდეს სანთლის ჭაღი,
სინამდვილეს დროზე გავცდეთ,
გვმასპინძლობდეს ზეცის თაღი...
გადაებას ტალღა–ტალღას,
ეხლებოდეს თეძო თეძოს,
მოფრიალე შენი კაბა,
კოცონივით შემომეგზნოს...
ჩამეკარი, არ დამინდო,
როგორც რიტმი გახელდება,
რომ ეგ ტანი ისე ვიგრძნო,
როგორც ცხენი ყალყზე დგება!!!

პირველ კოცნამდე

მე შენ გასუსულ შვლის ნუკრს მაგონებ,
რომ დაუღია ფართოდ თვალები,
საწყალი ყველამ რომ მიატოვეს,
რომ აღარა ჰყავს მისიანები...
რადგან არ იცის რა ელოდება,
ბეჩავი თვალსაც ვერ ახამხამებს,
ხეზე თუ სადმე წკირი მოტყდება,
მაშინვე გული შეუფანცქალებს...
ნუ გეშინია, ასე ნუ ფრთხები,
ძვირფასო, შეჭმას კი არ გიპირებ,
მე სულ არა ვარ, იცი, უხეში,
ვერც გაგიწყრები, ვერც დაგიყვირებ...
რად გაფურჩქნულხარ, როგორც შროშანი,
როგორც ზამბახი მიუკარები,
ეგ თეთრი მკერდი ხავერდოვანი,
რად სუნთქავს ასე იდუმალებით...
ო, როგორ მინდა, სულ რაღაც წუთით,
შენს მფეთქავ მკერდზე გამოვიძინო,
მომეცი ხელი, ჰა, რაღას უცდი,
დავსხდეთ და გინდა, ერთად ვიტიროთ!!!

დამავიწყდება როგორ მიყვარდი

რაც უნდა ბევრი ვარდები კრიფო,
ვერსად წაუხვალ სიცოცხლის ვარდებს,
და რომ მოწყვიტო სულ თითო–თითოდ,
იცოდე, უნდა ყველა გიყვარდეს!
უნდა გიყვარდეს, როგორც მზეს ზღვები,
ღრუბლებს კი ზეცა შეჰყვარებიათ,
იცი, საოცრად მიყვარს ვარდები,
ვარდები მიწის სიმღერებია...
მომაგონდები შენც როგორც ვარდი,
როგორც ზეციდან მთვარის ღიმილი,
ზაფხული ბაღებს წითლად რომ ბარდნის...
მზეც ზღვაში ჩადის ღიღინ–ღიღინით...
რა საოცრება არის ეს ღამეც,
ვარსკვლავები კი ჭორებს გვიყრიან,
ვითომ მეც და შენც სხვა შევიყვარეთ,
ვითომ ღალატიც კი შეგვიძლია...
არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
ამ ჭორიკანა ქალთა ქალაქის,
გაუშვი, მართლაც გული იჯერონ,
ჩვენზე ჭორებით, სხვებზე ლაქლაქით...
ზაფხული გავა, მიიძინებენ,
შემოდგომაზე ბაღჩა–ბაღები,
ცოტასაც კიდევ იჭრიჭინებენ,
ჩვენი ქალაქის გულთმისანები...
ყველაფერს გასდის ამ ქვეყნად ყავლი,
ამ ჩვენს ტრფობასაც ეს უწერია...
დამავიწყდება როგორ მიყვარდი,
ჯერ კი, იქამდე მთელი წელია...

მოდი, სანამ მიხარია...

მოდი, სანამ მიხარია,
ჩემთან მოდი, ჩემო ტკბილო,
თუ ცხოვრება სიზმარია,
მოდი, მოდი, მოვილხინოთ...
განა ვხუმრობ, რამეს ხედავ,
ჩემს ნათქვამში სახუმაროს?
ჩემს ეზოში ღამე წვება,
აკი, საბანს დაგხურავო?
აკი, მოვალ, როცა მეტყვი,
აკი, შენთან დავრჩებიო,
მეც შენსავით დავალ კენტი,
მოდი, მოდი, დავეწყვილოთ...
მოდი, თორემ ზამთრის სუსხი,
შენც გდარაჯობს, მეც მდარაჯობს,
და ეჭვებიც შესამუსრი
ჩემს ნერვებზე მეტასტაზობს...
მოდი, თორემ, როგორც სარკე,
გული სევდით გაბზარულა,
მოდი, მკერდზე მომეტმასნე,
დამეღვარე ნაკადულად...

მოდი, მოდი, მომიტანე
სურნელება ღამის იის,
შენი კანი გამჭვირვალე,
როგორც თოვლი კავკასიის...
მოდი, თორემ შენს მაგიერ
მარტოობის მოვა ღამე,
მოდი, გულზე დამაბნიე
შენი სულის სიკამკამე...

პირფერობის არ მაქვს ნიჭი

თითქოს ყველაფერი ვიცი,
თითქოს ყველაფერსა ვხედავ,
პირფერობის არ მაქვს ნიჭი,
რა ვქნა სულ არ მეხერხება.
ამიტომაც ხშირად ვაგებ,
ამიტომაც ხშირად ვცდები,
ზოგჯერ, მართლაც, თითქოს განგებ,
მიწას მკერდით ვენარცხები!!!
მერე სანამ წამოვდგები,
მერე სანამ მოვშუშდები,
აღარაფრად გამოვდგები,
საკუთარ წრეს ვეხეთქები...
ვერ გააღწევ, ვერ გააღწევ,
ყველგან მხოლოდ ტალახია,
ისევ ჩემ ბედს შევეჯახე,
ბედს სასტიკს და მათრახიანს...
დღესაც ზურგზე მაჩნევია
მოსხეპილი ტყავის კვალი,
ღვინის ჭიქა წამქცევია,
გამომთხრია თითქოს თვალი...
არა მჯერა, არა მჯერა,
რომ ამბობენ ჩაივლისო,
თითქოს ზვავმა გადამთქერა,
ჩავინამქრე თოვლში თითქოს...
დამაგლიჯა ბედისწერამ,
ყველა კბილი თითო–თითოდ...
მართლაც ჩემი ბედის ტყვე ვარ,
გავჩენილვარ საიმისოდ!
ყველა გზები ჩამიკეტა,
საგაისოდ, სამერმისოდ,
სად ვიარო, რა გზით, ნეტა,
რომელ კედელს ავეგლისო,
ნუთუ აღარ მეღირსება,
კოცნა შენი თვალებისო...
ალბათ არა, ალბათ არა,
მარტოდმარტო ვდგავარ გზაზე,
იქით ქარი ამეშარა,
აქეთ მთვარე მადგას თავზე...
ყველა მხარეს გზები გადის,
საით წახვალ, რომელ მხარეს?
მეკითხება ჩემი ბედი,
დამქირქილებს, დამხარხარებს,
და სიცილით თან თავხედი

გვარიანად მაჭანჭყარებს...
ვინ ამიხსნის, ან ვინ მეტყვის,
სად მიდიან ჩემი გზები,
ანდა გულისხეთქვის მეტი
უნდა მქონდეს სხვა იმედი?
ისევ ალბათ კამათელი
უნდა ვყარო ბედის წილად,
ჩამოვართვი მთვარეს ხელი,
ქარმა ურცხვად ჩაიცინა...
ვიცი, ყველაც ჩემი გზაა,
რომ სულ ყველა არის ძნელი,
ახლა ალბათ ჩემი ხსნაა
სწორად დაჯდეს კამათელი...

ახლა დრო ჩემთვის გახდა სათუთი

ლია წიკლაურს...

ბევრი ყვავილი შემომხვდა ქვეყნად,
მაგრამ შენნაირს პირველად შევხვდი,
რატომ მაგონებ გაფრენილ მერცხალს,
ან აფეთქებულს ბაღებში ხეხილს...
იცი, არასდროს წუთებს არ ვთვლიდი.
ახლა დრო ჩემთვის გახდა სათუთი,
ასე მგონია შარშან გაფრინდი
და გაზაფხულზე უკან დაბრუნდი...
როცა ხეებზე კვირტები ჩნდება,
პატარძალივით ჰყვავის აპრილი,
როცა მთებს მწვანე ტანზე ასკდება,
ასი ათასი ფერის ყვავილი.
მაშინ მოხვედი, მაშინ ჩამეწან,
ამაბობოქრე, ამაქარიშხლე,
დილის ზღვასავით მოკამკამე ხარ,
ვით სურვილებით სავსე ნატვრის ხე...

კარგად იცი, რისთვის მოველ...

თურმე შენსკენ მოვდიოდი,
თურმე შენსკენ ვისწრაფოდი,
მთიდან ზვავებს მოვკიოდი,
ზღვებზე ტალღებს მოვაპობდი...
მოვდიოდი, მოვფრინავდი,
ვერაფერმა შემაჩერა,
ხან მოვარდნილ გრიგალს ვგავდი,
ხან ვულკანის ამოფრქვევას...
ცხრა მინდორი გადმოვლახე,
ცხრა კარიბჭე შემოვლეწე,
რომ მენახა შენი სახე,
რომ მეკოცნა თეთრ ლოყებზე...
და პირველი რაც შევნიშნე
თვალში მეცა შენი ბრჭყალი,
რომ შვილდივით ცივად მიმზერს,
ქორისებრი ორი თვალი...
მართალს გეტყვი, შემაჟრჟოლა,

ეს არ იყო ჟრჟოლა შიშის...
იწყებოდა გრძელი ბრძოლა,
ერთმანეთის დაპყრობისთვის...
ხმალი გვერდზე მოვისროლე,
მოვიყარე შენს წინ მუხლი,
კარგად იცი, რისთვის მოველ,
ალბათ უსმენ ჭექაქუხილს,
მერე, მშვიდად ხელი გთხოვე:
გახსენ შუბლი, რაღას უცდი!!!

ტანგო

ყველაფერი შეიძლება შთანთქოს,
ყველაფერი, ყველაფერი რიტმმა...
ქალბატონო, იქნებ ნება დამრთოთ,
მოგეხვიოთ, ისე, როგორც მინდა...
ნუ გახედავთ მოცეკვავე წყვილებს,
მე მიმზირეთ და ჩემს თვალებს ენდეთ,
ჩაგჩურჩულებთ ულამაზეს სიტყვებს,
მხოლოდ თუკი შევაწებებთ მკერდებს...
იმედია, ჯერ არავინ გიყვართ,
ნუ იმკაცრებთ, ნუ მარიდებთ თვალებს,
მაგ თვალებმა რაც არ უნდა მითხრან,
ტუჩის კუთხე უეჭველად გაგცემთ...
გაგეღიმათ, აი, ხედავთ, თურმე,
სულ არა ხართ, სულ არა ხართ მკაცრი,
იცით, მე თქვენს გულისცემას ვუსმენ,
აი, ნახეთ, როგორ გიცემთ ძარღვი...
ახლა აქეთ გაგვიტაცებს ქარი,
არ შეშინდეთ, მომყევით და მენდეთ,
მხარზე ფრთხილად გადამხვიეთ მკვლავი,
ასე, უნდა დავბზრიალდეთ შემდეგ!
ცოტა ჩუმად, ნუ კისკისებთ ასე,
ყველას ჩვენსკენ გამოექცა თვალი,
რა მკერდი გაქვთ, მთვარესავით სავსე,
ვცეკვავ თქვენი სურნელებით მთვრალი...
არ გაჩუმდეს, არ გაჩუმდეს, ნეტა,
ეს მუსიკა, ტალღებივით ჩქარი,
არ გეწყინოთ, კოცნას გაგიბედავთ,
ოღონდ, უნდა მოიხედოთ წამით!!!

რის ტახტი, სკიპტრა, სიყვარულმა მონად მაქცია...

მიყვარხარ, მაგრამ საიდუმლოდ მინდა გაგანდო,
ჩემს ავადმყოფურ ფანტაზიას ვეღარ ვენდობი;
ნაღდად არ მინდა, იცი, თავი რომ დაგამადლო,
და ამიტომაც, დაპირებულს ვერ გაგენდობი...
სხვა იქნებოდა, ვყოფილიყავ ტახტის მემკვიდრე,
და ხელთ მჭეროდა ოქროსფერი სკიპტრა მეფეთა,
რომ გავძღოლოდი ლეგიონებს ბრძოლის ველისკენ,
უცხო ქვეყნების სასახლეთა ასაფეთქებლად!!!
სხვა იყო, მართლაც, გღირსებოდა გადედოფლება,
ვარდის ფურცლები შენს ბილიკზე ხონთქართ ებნიათ,

მე სიყვარული მომეტანა შესამოსელად,
და ოცნებებად ვარსკვლავები გადმომეფრქვია...
ახლა რა, ხელში შემრჩენია სევდის მარაო,
რის ტახტი, სკიპტრა, სიყვარულმა მონად მაქცია,
შენი უარი მოუხდება ჩემს სასაფლაოს,
ხოლო ცრემლები, მარმარილოს ეპიტაფიას!!!

დარდით შევიმოსე, როგორც ელეგია... (მანანა მალაზონიას)

დარდით შევიმოსე, როგორც ელეგია,
მწუხრმა ჩამომვერცხლა თმები დაფენილი...
ვიცი, ვარსკვლავები ამიმხედრდებიან,
სევდით მოკირწყლულა ჩემი ქვაფენილი...
შენი ოცნებანი ჩემთან ვეღარ აღწევს,
ნისლად ქარიშხალმა სულში შემოგრაგნა,
ყველა მოგონება ისე გამიძარცვეს
ვეღარ ვლაპარაკობ ვერცერთ მეგობართან...
თვითონ სამყაროა ძაძით შემოსილი,
თითქოს ვულკანებსაც ძალა დაუკარგავთ...
ვიცი, მელოდება ჩემი დედობილი,
მთვარე დაღვრემილი თავის ქოხის კართან...
მაინც იმედი მაქვს იქნებ გამიღიმოს,
იამ გარიჟრაჟთან ერთად ამოსულმა,
ღამით ჩამოშლილი თმები დამიხვიოს,
ვარდმა ჩამომჭკნარმა, ჩემზე მარტოსულმა...

კითხვაზე: როდინდელი აღსარებაა?

ალბათ როცა ალუბლები ალუბლობდა,
და ნატვრისხემ გამოისხა სურვილები,
როცა ტკბილად ვჩურჩულებდით ატმის რტოსთან,
ვკოცნიდით და არ ვიყავით გულგრილები...
მაშინ, როცა მზეს თვალები უბრწყინავდა,
და ვარსკვლავებს ერთმანეთი აღელვებდათ,
როცა ღამეს, ყველა ერთად ღრუბლის გარდა,
ერთმანეთის სიყვარულით ათენებდა...
აღარ მახსოვს მიყვარდი თუ არ მიყვარდი,
მაგრამ ალბათ, მცირე გრძობა მაინც მქონდა,
როცა ჩემსკენ მოქროდი და მოფრინავდი,
მერცხალივით გაფრენილი სამშობლოდან...
როცა, როცა, როცა ზეცას ნაქარგებად,
მიჰყვებოდნენ წეროები გადამფრენი,
როცა ჩვენი სიყვარულის გადარჩენა
გვსურდა მაგრამ არ მოხერხდა არაფერი...
რადგან ბალმა კაკლის ხესთან დამაბიზღა,
რომ ატამი ალუჩაზე გიჟდებაო,
და კაკალიც, ეს კაკალიც მთლად გაგიჟდა,
მე ატამზე ალერგია მიჩნდებაო...
აი, სწორედ მაშინ გთხოვე პატიება,
როცა ატმებს კანი წითლად გვასკდებოდა,
შენ გიყვარდა გულიანი გაცინება,
მე კი გულში უკვე ჭია გამჩენოდა...

ქორწილი

ქორწილდებოდნენ ელვა და მეხი
მაყრებად ჰყავდათ სეტყვის ღრუბლები,
მაგიდას ეჯდა სულ ყველა ღმერთი
და ვარსკვლავებიც ყველა უკლებლივ...
მდინარეებად დიოდა ღვინო,
კოცონის ალი ზეცას სწვდებოდა,
შენი ჭირიმე, არ მოიწყინო,
მეხი ცოლს, ელვას ეუბნებოდა...
ზეცა მიჰქონდა ჭექას და გრგვინვას,
მეხი ჭექავდა პირგამეხილი,
მკლავებგაშლილი უჭერდა ყინვა
დაქროდა ქარი ლამის შეშლილი...
აღელდა ზღვები, ოკეანეებს
გადაუარეს ქარტეხილებმა,
ყველა ვარსკვლავნი ცას მიალეწეს,
დილით კოცნისას ელვამ და მეხმა...
ქორწილდებოდნენ ელვა და მეხი
მაყრებად ჰყავდათ სეტყვის ღრუბლები,
მაგიდას ეჯდა სულ ყველა ღმერთი
და ვარსკვლავებიც ყველა უკლებლივ...

ნუ გეწყინება

ისევ, შენ, თორემ, ბოლო დროს, იცი,
ამ დღეებს უკვე ვერაფერს ვუგებ,
შენა ხარ ჩემი ოცნების სისხლი,
რომლითაც მოვრწყავ თბილისის ქუჩებს...
და თუმცა ჩემი აღმოჩენა ხარ,
რა მომიტანე ტკივილის მეტი,
მაგრამ, შენს ნაცვლად სხვა რომ მენატრა,
ვინ იცის, სად ვის შემყრიდა ბედი...
და ვფიქრობ, მართლაც, ასე სჯობს ისევ,
რომ მიფერადებ დღეებს უფეროს,
შენთან მოკითხვებს ვაბარებ სიზმრებს,
რომ გაორებულ ჩემს სულს ვუშველო...
მართლაც არ მინდა, ნაღდად არ მინდა,
რასაც დავარქვი ბედის ცვლილება,
და თუ გველივით ჩემი კანიდან
ვერ ამოვედი, ნუ გეწყინება!!!

არა, სარკის წინ... (ირმას, სამხარაძეს)

შენთან შეხვედრა არ გამოვიდა,
რატომ? რა ვიცი, ალბათ ბედია,
იქნებ სხვაც გყავდა და შენც ორიდან
გინდოდა ერთი ამოგერჩია...
მე ყველაფერში სიყვარულს ვარჩევ,
სხვა ყველაფერი ბლეფი მგონია,
არ სტყუის ქვეყნად არცერთი სარკე,
არ უნდა ბევრი ფილოსოფია...
წითელი ვარდი და შავი ღვინო,
წინ შინდისფერი ჩახსნილი კაბა,

ნურაფერს მეტყვი საპირისპიროს,
ნურაფერს მარტო იმ სიტყვის გარდა...
რადგან ჩემს სულში ისე დადიხარ,
როგორც ღელვის დროს მთვრალი ხომალდი,
თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილხარ,
როგორც კედლიდან ფრესკა და ხატი...
წითელი ღვინო და შავი ვარდი,
ტუჩები მწიფე ალუბლისფერი,
სული სპეტაკი, როგორც ბარხატი,
მკერდი ნაზი და ვნებაშიშველი...
დგება წამები, როცა ლოდინი,
ხდება ასმაგად გაუსაძლისი,
ძუძუ ძუძუზე გადაჭდობილი,
ფიქრში და არა, არა, სარკის წინ!!!

ჩემთვის ველის ყაყაჩო ხარ

ჩვენს სიცოცხლეს უამრავი,
უამრავი რამ განსაზღვრავს,
თუ მაჩუქე შენი თავი,
უკითხავად არ წამართვა...
ჩემთვის ველის ყაყაჩო ხარ,
სხვისთვის იქნებ შავი ვარდი,
როცა ჩემთან ქარი ქროდა,
შენ სამეფოდ სხვასა რთავდი...
ზოგი დილა სევდას ბადებს,
სიხარული მოაქვს ზოგსაც,
ზოგი ტკივილს გაგიახლებს,
ზოგიც ღვთიურს გჩუქნის კოცნას...
ასე ებმის დღეს დღეები,
დარებს სცვლიან ქარიშხლები,
არ გამტაცო შენი მკერდი,
სანამ კოცნით დავიღლები...
ზოგჯერ ზღვა ხარ მოლივლივე,
უფრო ხშირად თოვლის ზვავი,
რა ადვილად მომიცილე,
ნუ მომკლავ–თქო, რა გითხარი...

მიიღე ჩემგან (ნინო ღამბაშიძეს)

მიიღე ჩემგან, მიიღე ჩემგან,
ულამაზესი ეს ცისქვეშეთი,
გჩუქნი ყველაფერს, ყველაფერს ერთად,
ჰო, სულ შენია ზღვაც და ხმელეთიც...
არ დაუჯერო, არ დაუჯერო,
არავის, ჩემზე რაც უნდა გითხრან,
უბრალოდ ვცდილობ, რომ თავს ვუშველო,
და სული ჩემი ცოდვისგან ვიხსნა...
და ყველაფერი თუ მივითვისე,
მთები, ზღვა, მიწა, ცა თუ ხმელეთი...
რა ვქნა, მიყვარდა და მიყვარს ისევ,
მთელი ეს ჩემი საკვირველეთი...
ახლა კი მინდა და შენა გჩუქნი,

მოწმეა ზღვების სანაპირონი;
ამ წუთას მთვარე მიჭირავს მუჭში
და ყვავილებით სავსე მინდორი...
ჰო, გეფიცები, მართლაც შენია,
ჰკითხე ფრინველებს, ჰკითხე ვარსკვლავებს,
მიწა თბილია, ცა ნათელია,
შენ კი ტირი და თან მალავ თვალებს...

გაჩუქებდი წითელ ვარდებს

წლები გადის, წლები გადის,
ვარდს ვარდები სცვლიან ბაღში,
ჩემს სულში კი ისე ბარდნის,
როგორც მთებში თებერვალში...
ჩემი იყო, ჩემთვის თრთოდე,
გაჩუქებდი წითელ ვარდებს,
შენ კი კოცნით დამათრობდე,
როგორც თასი ღვინით სავსე...
შემიყვარე, შემიყვარე,
იცი, როგორ? ისე მწვავედ,
ვით კოცონზე ცოდვის ღამეს,
ერეტიკოსთ ცეცხლზე სწვავდნენ...
შემიყვარე სანამ მინდა,
შემოგხვიო წელზე ხელი,
რომ მაგ ცხელი ბაგებიდან
მეჩურჩულო ვნების ენით...
შემიყვარე, შემიყვარე,
სანამ ჩემთვის წითლად ვარდობ,
გინდა, ჩემთან დარჩი ღამე,
მე ხომ შენზე მართლაც ვდარდობ...

ასი გული რომ მქონდეს (მადონა თევზაძეს)

არაფერი ამ ქვეყნად არა ქრება უკვალოდ,
ვიღებ შენს გამოწვევას, ვიღებ დაუფიქრებლად...
ვიცი, ვიცი, ცხოვრება, რომ გსეტყვავდა უწყალოდ,
ეს ამბავი, ძვირფასო, მომიტანეს ჩიტებმა...
ვიცი, შენც გწყინს ცოტათი, ასე გვიან რომ შევხვდით,
თუმც, გვიან სჯობს, შენც იცი, ვიდრე სულ არასოდეს...
ასი გული რომ მქონდეს, ასივეს შენ მოგცემდი,
რომ ეს ჩვენი შეხვედრა ტკბილად დაგამახსოვრდეს...
მაგრამ ერთი გული მაქვს, როგორც შენც და ჩვენ ყველას,
და ყველაფერს შიგ რომ ვყრით, როგორ იტევს არ გიკვირს?
ჩემთვის იაც შენა ხარ, ვარდიც, ტიტაც, ენძელაც...
ჰოდა, მადლობელი ვარ, ისეც, ამ ყველაფრისთვის...

მე რომეო ვარ, შენ ჯულიეტა...

რას ვიფიქრებდი თუ გულს გატკენდი,
მე რომეო ვარ, შენ ჯულიეტა...
რა საშინელი ქრიან ქარები,
ასე სასტიკად ვინ გაგვიმეტა...
იცი, უბრალოდ, მინდა გამიგო,

თუ შენ მოკვდები, მეც თავს მოვიკლავ,
ვიცი, არ არის ახლა ამის დრო,
თუმც არჩევანი არ მაქვს ორიდან...
არ გამომივა ან შენ და ან მე,
სულ არაფერი არ გამომივა,
შენი სხივები მე ისე მწვავენ,
მკვდარს მომიტანენ მე ამ ომიდან...
მართლაც ომია, გესმის დაფდაფებს,
როგორ აყოლებს ჰანგებს საყვირი,
გზა ჩირაღდნებმა გააჩახჩახეს,
ღამემ მოუწყო თავს ხარაკირი...
აღარ დამტოვო, აღარ დამტოვო,
შენი თვალები მირისხდებიან,
ხელს ვერ გავიშვერ მე სამათხოვროდ,
ეს დარჩა, რაც მე არ მღირსებია...
ხომ იცი, მაინც ვერ გიღალატებ,
რომც შეეჯახოს ეს ორი ჯარი,
ეს სიყვარული მუსრავს ქალაქებს,
მოვრბოდი, მაგრამ ვერ მოგისწარი...

შემოვჭენდები ბედუინივით

მიყვარს როდესაც დაისის ზეცა
ნელ–ნელა იძენს იასამნისფერს,
როცა საღამო ხის ჩრდილებს ძერწავს,
და ვარსკვლავებთან ჯდება ნადიმზე...
შენს გამჭვირვალე საღამოს კაბას,
მკრთალად ატყვია ძუძუს კერტები,
ჩემ დანახვაზე თვალებს მინაბავ
და სულ სხვა მხარეს გაიხედები...
მე მომედება შენი წყურვილი,
ვით უდაბნოში მავალ ქარავანს,
შემოვჭენდები ბედუინივით,
და მაგ შენს კერტებს გემოს ჩავატან...
სარკმლიდან მთვარე ძვრება ოთახში,
და შენს ქერა თმებს ეალერსება,
მე კი დავმცხრალვარ ამასობაში,
შენ გიმზერ, მაგრამ სხვა მენატრება...
ვიცი, ცოდვაა და მკრეხელობაც,
ამაზე ფიქრი ახლა, ამწუთას,
რომ ღმერთი გვიმზერს მუდამ ზემოდან,
რომ დავისჯები ამის პასუხად...
მაგრამ, ძვირფასო, რად გამაჩინა,
მაშინ, ამ ღმერთმა, მითხარ, ასეთი,
რომ ზოგჯერ სულ სხვა ბაღში დავძრწივარ,
და ხშირად ცეცხლსაც ვეთამაშები...

ტანგო

მომეკარი, მოგეკრობი,
თვალს დახუჭავ, მეც დავხუჭავ,
შენი ტანი გადამწონის,
მომეხმარე, ნუ დამღუპავ...

ნუ წამიღებ უფსკრულისკენ,
შეიკავე ცოტაც თავი,
მკერდში გული ისე გიძგერს,
შვლის ნუკრი ხარ მფრთხალზემფრთხალი...
ცოტა ნელა, ვერ მოგყვები,
ასე მართლაც გადამჩეხავ,
გაგიშლია მხრებზე თმები,
დაფრენ, დაქრი, კი არ ცეკვავ...
ასე სწრაფად, ასე უმალ,
ხელი როგორ შეგაშველო,
ვერ გავიგე, გედი თუ ხარ,
რაღას ფრთხები, რაღას შველობ...
ასე ზოგჯერ ღამღამობით,
ქარიშხალი მიმტვრევს ჭიშკარს,
როცა ჟამი დგება თრობის,
და არავინ არას მკითხავს...
მოდი, მოდი, შემაწებე,
ეგ ტუჩები ტუჩმა იგრძნოს,
ჩემი ხელი შენს წელს ეძებს,
რომ მუხლებზე ჩამოგიყრდნოს.
უკვე ტანგო სულსა ღაფავს,
ახლა ხუჭავ ვნებით თვალებს?
დაბზრიალდი ერთიც სწრაფად
და მერე კი გამეცალე!!!

მაიკოს, ელოშვილს...

საოცარია, ნეტა, ვინ იცის,
როდის ჩნდებიან შენისთანები,
სიმღერებისთვის, სიყვარულისთვის,
სულ ანთებული რომ აქვთ თვალები...
ან როცა გაჩნდი, მართლაც, ვინ იცის,
რა დაგანათლეს ანგელოზებმა,
ძალა რომელი წმინდა თილისმის,
რომელ ვარსკვლავთა გასხივოსნება...
განა სურვილი ჩვენი რა არის,
ნეტარებაში ტკბილი ცხოვრება?
მართლაც რა არის, ნეტა, მთავარი,
სული, ხორცი, თუ პატიოსნება?
იქნებ სამივე რაც ჩამოვთვალე,
და კიდევ სხვებიც ასი ათასი,
შენ ვარსკვლავები ციდან გლოცავენ,
თეთრი ფრთები და ლოყა ღაჟღაჟი...

ვერ გამოვიცან (კ–ს)

ვერ გამოვიცან, რომელია ჩვენში მართალი,
სიამოვნებით დაგითმობდი ყველა ასპარეზს,
რა ვქნა, ძვირფასო, სამყაროა დღეს უმართავი,
მე კი რაც მქონდა, ყველაფერი შენში გავცვალე...
და დავრჩი ასე, არაფერიც არ გამაჩნია,
აღარც მზე, მთვარე, ვარსკვლავები, არც მწვერვალები,
მართლაც, შენს გამო, ყველაფერი შემომფანტვია,

შენ კი, რატომღაც, მაინც ახლოს არ მეკარები...
უკვე რამდენჯერ შენსკენ რემა გამოვირეკე,
მოვაჭენებდი, რომ შემევლო თვალი ერთხელაც,
შენ კი ვერაფრით დაინახე ჩემი სიკეთე,
შენს სიველურეს ჩემი ხელი ვეღარ ეხება...
თუ არ გამოხვალ, შენს გარშემო ისე გადავწვავ,
რაც კი რამეა, ტყე, ველები, ხოდაბუნები,
რომ ერთიანად, უნაპიროდ შთანთქოს ხანძარმა,
ვით ვნების ცეცხლში იწვებიან ჩვენი გულები...
შენს კართან ვდგავარ, ვიცი, გესმის მერნის ჭიხვინი,
ვიცი, არ გძინავს, იბღვირები გამეხებული,
და სანამ ჭიშკარს შემოვამტვრევ ვიღაც ბიჭივით,
გარეთ გამოდი, მინდა ნახო ცხენთა ფერხული...
გარეთ გამოდი, მინდა ნახო, როგორ ედება,
ნამიან ველებს ამოსული მზის მხურვალება,
გამო, შეხედე, გადაქცეულს მიწას ედემად,
რომ სიხარულით გაიბრწყინოს შენმა თვალებმა...
და თუ ვერ გნახავ, მე ვერაფრით დღეს ვერ დავცხრები,
ვერც ცხენის რემას დავაოკებ, ასე ჟინიანს,
განა რა მოხდა, ჩემს ვნებებთან თუ დამარცხდები,
კარს ვლეწავ უკვე, შენი რისხვის არ მეშინია!!!

შემოდგომაა

შემოდგომაა და ხეებიდან
გაყვითლებული ფოთლები მოთოვს,
რასაც ბუნება აქამდე ქმნიდა,
ახლა ქარს მიაქვს და ქარი შფოთობს.
რაზე ფიქრობენ, ნეტა, ხეები,
რომ უყურებენ ქარების წრიალს,
ცაზე აღარ ჩანს ცისარტყელები,
ცაზე პეიზაჟს ღრუბლები ჰქმნიან...
დაეშვებიან მალე ღრუბლები,
დაუყვებიან პირქუშ ხეობებს,
ქედები მთებში გაქცეულები,
მხრებზე ხელს ჰხვევენ ერთიმეორეს...
დადუმდნენ მთები დასევდიანდნენ,
წარბაწეულნი უმზერენ ნისლებს,
ნაკადულებიც აღარ წკრიალებს,
ქარი დაძრწის და ხეებს აშიშვლებს...
რაზე ფიქრობენ, ვინ იცის, მთები,
როდინდელ დრო–ჟამს ითვლიან ნეტა,
ქარს მიაქვს მათი სამკაულები,
შიშველ ხეებზე ყვავები სხედან...
რას ყრანტალებენ, ნეტა, ყვავები,
კენწეროებზე შეყუჟულები,
შეციებულნი და შემკრთალები,
რაზე ფიქრობენ ეს ტიალები...
დროდადრო, ნეტა, ვის გასჩხავიან,
ვისა თარსავენ განგების ხმაზე,
კი, მართალია, ყვავი ყვავია,
თუმც ისიც ტირის შემოდგომაზე...

მე სული მიყვარს სხეულზე მეტად

არ დაიჯერებ, მაგრამ გეძებდი,
ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა...
შენს პოვნას თუკი მე ვერ შევძლებდი,
ვიცოდი, ჩემი სული შეძლებდა...
ისე კი, მინდა, შენც რომ იცოდე,
მე სული მიყვარს სხეულზე მეტად...
არც მიმაჩნია რამედ სიცოცხლე,
რომელიც გაჩნდა სიკვდილის მძევლად...
მონაც რომ ვიყო, თუნდ უარესიც,
სიკვდილმისჯილი, ტყვიების ღირსი,
მე შენი სული უფაქიზესი,
ამაოების სევდისგან მიხსნის...
სულმა არ იცის დრო და საზღვარი,
სული სამყაროს თანასწორია,
მე ახლა მივხვდი სული რაც არის,
და რანაირი სულიც მქონია...
მე ახლა მივხვდი, მინდა იცოდე,
ძვირფასო, სულის უსასრულობას;
შენ მე მკლავები გამომიწოდე,
მე კი ეგ შენი სული მწყუროდა...

არ დამითვლია

ძნელია, მართლაც ატარებდე გვირგვინს მეფისას,
ვინც უნდა იყო, თუნდ იყავი მაკედონელი;
უსასტიკესი არის მუდამ გზა დიდებისა,
არც მტერი იცის, არც მოყვარე, არც ახლობელი...
არ დამითვლია, რას დავთვლიდი, რამდენჯერ მომკლეს,
შხამიან ჭიქებს ისე ვცლიდი, როგორც შარბათებს,
ფანატიკური მკვლელობების ვიყავი მოწმე,
ვნახე ჯალათებს რომ უგებდნენ გზად ფიანდაზებს...
ვერ ვუღალატე, მე ჩემს რწმენას დღემდე შემოვრჩი,
და როცა სხვები ატარებდნენ დაფნის გვირგვინებს,
პილიგრიმით დავდიოდი საქართველოში,
და სული ჩემი ჰამლეტივით გადავირჩინე...
გაუშვი, დაფნაც და ტიტულიც სხვებმა ატარონ,
არ მენაღვლება, ამბიციად ნურვინ ჩამითვლის,
ოღონდ სიყალბეს არასოდეს არ გამაკარო,
სანამ ვარსებობ, სანამ მიყვარს, სანამ განვიცდი...

მოდი, ძვირფასო, მებულბულე, მეიადონე... (სახსოვრად ა.ლ.უ.ბ.ა.ლ.ს.)

მოდი, ძვირფასო, მებულბულე, მეიადონე,
თორემ ეს გული ნაღვერდლიან თონედ ქცეულა,
ველოდებოდი მე რატომღაც ციდან ფანტომებს,
მაგრამ ყველანი მუმიებად გადაქცეულან...
რად მაგონდება ამ ღამეში შენი მძივები,
ასე მეგონა იკიდებდი ყელზე ვარსკვლავებს,
მხოლოდ ერთსა გთხოვ, ჩემსკენ ცივად ნუ იმზირები,
რა გაათენებს ამ ყინვაში ისეც ამ ღამეს...
ახლა თრთვილს დაყრის, გარეთ ბაღი თეთრად ირთვება,
თეთრ სამოსელში ეხვევიან ჩემი ფიქრებიც,

გადის დღეები, მაგრამ მაინც არ მავიწყდება,
თმები ძუძუსთან დაფენილი, როგორც წიწვები...
მახსოვს, საყურეს ხელს ჰკიდებდი და აწვალებდი,
ფერმკრთალ სახეზე გეტყობოდა კვალი ღელვისა,
რამდენ რამეზე მეტყველებდნენ შენი თვალები,
თითქოს ტილოზე მიგახატეს გარინდებისას...
მოდი, ძვირფასო, მომეფერე, ამ ცივ ღამეში,
მსურს ძველებურად გამიღიმო, მე რომ მიყვარდა;
მოდი, არ ვტყუი, მენატრება შენი ალერსი,
სანამ თვალები საბოლოოდ ამოგვიღამდა...
ისე გარბიან წლები, როგორც ფილმის კადრები,
როგორ არ მსურდა, არ მინდოდა, მაგრამ გტოვებდი...
ვეღარ ხარობენ ჩემს ბაღებში თეთრი ვარდები,
სადღაც უჩუმრად გაკრეფილან ყაყაჩოები...

გადავაქციე ღამე მტაცებლად

გამომიბრძანდა მთვარე საცქერლად,
მე კი ვისროლე უკანვე ცაზე,
გადავაქციე ღამე მტაცებლად,
დავგეშე მერე ნისლზე და ქარზე...
და მთელი ღამე, როგორც შეშლილი,
ღამე ქარებს და ნისლებს დასდევდა,
მთვარე კი სვამდა და გალეშილი
თვალებს ბოროტად აკაშკაშებდა.
მე კი ეზოში ყოფნა ვარჩიე,
და ხეთა ჩრდილებს შეფარებული,
ვუმზერდი როგორ ამოათრიეს
ზღვიდან ვარსკვლავთა მთელი კრებული.
რას აკეთებდნენ ვარსკვლავნი ზღვაში,
ვიკითხე, მაგრამ არ მიპასუხეს,
ჩასაფრებული ლურჯი რიჟრაჟი,
მიშტერებოდა ვარსკვლავ ქალწულებს...
რომლებიც ზღვიდან ამოსულები,
თეთრი ღრუბლებით ტანს იმშრალებდნენ,
შორს ჩანდნენ მთები ამორფულები
და ღამის შფოთვას იზიარებდნენ...
როგორ უნდოდა, როგორ უნდოდა,
რიჟრაჟს ქალწულთა ახლოს გაცნობა,
და ამიტომაც ვითომ ხუმრობდა,
ვარსკვლავებს მშვიდად მიუახლოვდა...
ჩაქრა უეცრად ყველა ვარსკვლავი
და ქალწულები იქცნენ ლანდებად,
რიჟრაჟს არ დახვდა ზღვასთან არავინ
მზე მოიწევდა ამოსასვლელად!!!

სულშიც თოვს, სულიც თოვლმა აავსო.

ჩემს წინ ნაძვები თოვლმა დაფარა,
მთელ ღამეს, ალბათ, ასე ითოვებს,
შენი სურვილი ისევ აშკარად,
ისევ აშკარად მიტევს, იცოდე...
ნეტა, ზეციდან შენ მოდიოდე,

შენ მოდიოდე თოვლის მაგივრად,
სულშიც მის ნაცვლად შემოდიოდე,
თორემ თოვლივით სულშიც აცივდა...
არც იცი, როგორ დამდევ ლანდივით,
როგორ აბიჯებ ტვინის ხვეულებს,
რომ ცურავ სულში ზღვის ხომალდივით,
რომ მიმსხვრევ ფიქრებს გულს ჩახვეულებს...
იქნებ გარეთ ხარ, შენც დგახარ თოვლში,
თვალებს ფიფქების ბზრიალს აყოლებ,
მე კი შენს გამო ასე გათოშილს,
კვლავ მარტო მტოვებ, სულ მარტო მტოვებ...
კი, ლამაზია თოვლში ნაძვები,
სულშიც თოვს, სულიც თოვლმა აავსო,
ვხედავ ფანტელებს რომ ენაზები,
მე კი უშენოდ მათოვს და მათოვს...

ბრბო მუდამ იყო დაუნახველი

ვეღარ ვპასუხობ უბრალო კითხვებს,
რატომ ცივდება ჩვენი გრძნობები...
თუნდაც მეგობრებს რატომ ვივიწყებთ,
ისე, რომ არცკი ვემშვიდობებით...
იქნებ ვთამაშობთ, როგორც სცენაზე,
როლს ასრულებენ მსახიობები,
მას ვინც გვიყვარდა მეტად ყველაზე,
რატომ ვცილდებით, რატომ ვშორდებით...
მერე კი, როცა გადიან წლები,
და ჩვენც უიღბლო როლებს ვთამაშობთ,
როცა ერთმანეთს ვეღარა ვხვდებით,
ვერც საალერსოდ, ვერც საკამათოდ...
გამახსენდება მაღალი ყელი,
ტუჩები მკრთალი და საყვარელი,
თუმც მოგონება ვეღარას მშველის,
აღარა მშველის აღარაფერი...
არსებობს აწმყო ან მომავალი,
თუ წარსულია ის რაც არსებობს,
ცხოვრება იყო თუ კარნავალი,
იქნებ შენ მითხრა, შენ შემახსენო!
ასე მგონია ბედის ვალი მაქვს,
ბედის რომელსაც ვერ ვენდობოდი;
ცხოვრება ისე სწრაფად გავიდა,
ზოგჯერ კეთილი, ზოგჯერ ბოროტი...
რომ თურმე კითხვებს არა აქვთ აზრი,
არა აქვს აზრი, ვინ ხარ რა გქვია...
ენაჩლუნგი ხარ თუ ენაბასრი,
მშიერი ხარ თუ რამ გაბადია...
სიკვდილის მერე რაა სახელი,
ღირდა კი ხალხის აყაყანება...
ბრბო მუდამ იყო დაუნახველი
და უხაროდა ქრისტეს წამება!!!

პირველ თოვლს

იცი, ამბობენ, პირველ თოვლს თურმე,
თან მოჰყვებიან ანგელოზები,
ელოდებიან დიდხანს ამ წუთებს,
ეს უჩინარი თეთრი ფრთოსნები...
მოფარფატებენ, მობზრიალებენ,
ფიფქებთან ერთად უცოდველები,
და ფანტელებიც მათ წამწამებზე,
სხდებიან როგორც ნაზი პეპლები...
ისევ არ უჩანს სითეთრეს ბოლო,
მინდვრები ბრწყინავს როგორც ბროლები,
არც კვალი არსად, რადგანაც მხოლოდ,
თოვლში დადიან ანგელოზები...
წამოეპარა ღამეს ცისკარი,
ველზე ბრწყინავდა თეთრი ოცნება.
და ვინც კი დილით გააღო კარი,
ყველანი იქცნენ ანგელოზებად!!!

შენი თვალები სვავები

ვერაფრით მივხვდი რა ცეცხლი
ანთია მაგ შენს თვალებში,
ნუთუ, კვლავ ჩემზე გაცეცხლდი,
მოგბეზრდა ჩემი ალერსი...
ყველას აქებენ ჩემ გარდა,
წყეული გრაფომანები,
თუ გული შენზე შემვარდა,
შენ რატომ არ გენანები...
განა, რა ქარმა მოგისწრო,
განა, რა წვიმამ დაგალბო,
უკვე მოსულა თრობის დრო
და მინდა, მინდა დამათრო...
მაგრამ ეს თოვლის ზვავები,
შენი მხრიდან რომ მოქრიან,
შენი თვალები სვავები,
გულს უმოწყალოდ კორტნიან...
მე სამუდამოდ შენი ვარ,
თქმას ვერ ვახერხებ, უბრალოდ,
მე შენზეც გული შემტკივა,
რად მერჩი ასე უწყალოდ...
მგონია, თითქოს, დამცინი,
თითქოს არც ბრაზობ მგონია,
გავხდები შენი არწივი,
შენ იყავ ჩემი თოლია...
იქნებ არც არვინ გყოლია
და არც არავის დაეძებ,
იქნებ არც გაგიბრძოლია
არცერთი მამრის მკლავებზე...
იქნებ ამიტომ მიყურებ,
მაგ შენი ცეცხლის თვალებით,
სურვილი ვერ აისრულე,
ვერ მოკვდი ამ ნეტარებით...
მოდი, არაფერს დავტოვებ,
მაგ შენი ლერწმის ტანისგან,
მოდი, ზღვებს დაეპატრონე,

მოდი, ცას განდობ ხანდისხან...
მოდი, მაგ ცეცხლის თვალებმა,
რომ უფრო მეტად იალოს,
მოდი, რომ ვიქცე ზვავებად
და მკერდზე ჩაგესრიალო...

ვნატრობ

ვნატრობ, ვნატრობ სიმშვიდეს,
რა ხანია ვნატრობ,
ვინმე ლოგინს მიშლიდეს,
სადმე მზესთან ახლოს...
რომ ზეციურ ნათელში,
ჩემთვის ვიყო მარტო,
თუნდაც მოუსავლეთში,
სიჩუმე რომ გათრობს...
მქონდეს ერთი პატარა
ყვავილების ბაღი,
იქვე წყარო წანწკარა,
მარწყულებდეს დაღლილს...
თავქვეშ მედოს თავთავის
გამომშრალი კონა,
ზედ მეფაროს ვარსკვლავი,
ჩემი საბნის ტოლა...
თან ქათქათა ღრუბლიდან
ფანტელები თოვდეს,
ტალღებივით მუსიკა,
ხმიანობდეს, თრთოდეს...
იდგეს თავბრუდამხვევი
სურნელება ვარდის,
იებს თვალებახელილს
მიკრეფავდნენ დაღლილს...
იქვე ჩუმად ეძინოს
ზეცის ყველა მნათობს,
ტანქვეშ სევდა მეფინოს,
ვნატრობ, ვნატრობ, ვნატრობ...

მე და ღამე (მომიტევოს გალაკტიონმა)

გარეთ გაველ, შემომასკდა,
ღამე თავის შავი ფერით...
შემომხედა ისე მკაცრად,
თითქოს, ვიყავ მისი გერი...
მომყევიო, მითხრა ჩუმად,
მკლავში ხელი გამიყარა,
ჩემი ხარო და საჩუქრად
თავის სახლში წამიყვანა...
მერე ტანზე გაიხადა
შავზე–შავი მოსასხამი
და ჩემ თვალწინ იქცა ქალად
ღამე, როგორც ჯადოქარი...
ეს არ იყო აღტაცება,
არც ვნება და არც სიძვანი,

ჩემს წინ მკრთალად ანათებდა
უთეთრესი კანის ქალი...
აი, თურმე ვინ ყოფილა,
დღემდე ღამე რომ მეგონა,
შემომხვია ხელი თბილად
და ბავშვივით ჩამეკონა...
და მას მერე, ყველა ღამეს,
მასთან ერთად ვათევ თეთრად,
ასე სხვა ვინ შემიყვარებს?
ვინ იქცევა ჩემთვის ფერფლად?
ჩემთან წვება ყოველ ღამე
და სიყვარულს მეფიცება...

ნადიმი (ტ–ს)

მინდა გამომყვე, ჩვენთვის ნადიმი,
გავაშლევინე უმწვანეს ველზე,
შენ ჩემი გნოლი, მე კი არწივი,
რომელიც შენში საკბილოს ეძებს...
იცოდე, შენთვის სიურპრიზი მაქვს,
ეს არ იქნება ჩვეული სუფრა,
შენი სხეული ისე მიზიდავს,
როგორც ვეფხვს ტყეში
ირმების სუნთქვა...
სუფრა, რომელსაც მე შენ გპირდები,
დახატულია ღმერთების ხელით,
დასტრიალებენ ქერუბიმები,
და შემკულია ყვავილთა მტვერით...
მაისს შემოაქვს ვარდების წვენი,
და ბროწეული კანზე დამსკდარი,
აპრილი დარბის იქ ფეხშიშველი,
და ღვინობისთვეს მოაქვს მაჭარი...
მაგრამ რაცაა ყველაზე კარგი,
ჩვენ ერთმანეთის ცქერით დავთვრებით,
ციდან დაღვრილი ათასი ჰანგით
და მზის ბრჭყვიალა ბრილიანტებით.
მერე კი როცა პირველი ღამის
მთვარე გაგვიშლის ვერცხლის სარეცელს,
ჩემს გაშლილ ფრთებზე გაწვები მთვრალი
და ნიავივით მომიალერსებ!!!

ვერ მოვიშორე ეს ეჭვის ჭია

ვერ მოვიშორე ეს ეჭვის ჭია,
სულში ყრუდ რომ მყავს შემოჩენილი,
ჩვენ ყველას ერთი სახელი გვქვია,
ერთი დედისგან ვართ გაჩენილი.
და ვეძებთ, ვეძებთ, დაუსრულებლად,
გვსურს ჩვენნაირი აღმოვაჩინოთ,
ის ვინც გაგვიგებს სიტყვის უთქმელად,
რომ ერთმანეთი გადავარჩინოთ...
ვერაფერს იზამ, ვერაფერს შეცვლი,
ყველა ვარდსა აქვს თავის ეკალი,

ისე შემოდის ცხოვრება ჩემში,
როგორც მძარცველი და გარეწარი...
და აღარა მსურს ისევ ვისმინო
ეს უსასრულო შეგონებანი,
პირიქით, მუდამ საპირისპიროდ,
მივდივარ, როგორ ვერ შემიცანი...
ეს საუკუნეც, ოცდამეერთე,
დაიწყო, როგორც ყველა მომდევნო,
მე აღარა მსურს ვინმეს ვეძებდე,
მე აღარა მსურს ვინმემ მომძებნოს...
ტყუილად ეძებ, ვერავის ნახავ,
ყველგან ფარდა და რკინის კედელი,
დავბრუნდეთ უკან, მოხსენი ალყა,
დარჩეს ეს ციხეც აუღებელი...

თქვენ მითანაგრძნეთ!!!

სულ ვჩქარობ, ვჩქარობ, მინდა მოვასწრო,
მაგრამ ყოველთვის ვიწვები დროში;
ზოგი პოეტობს, ზოგი მონაზვნობს...
რამ გამახსენა, ზოგიც წევს მორგში...
ის დრო, რომელშიც ჩვენ ყველა ვცხოვრობთ,
ყველა ჯალათზე უფრო მკაცრია,
იმედი კვდება ყველაზე ბოლოს,
და მასაც მკვლელის ტოგა აცვია...
ხედავთ, იმედიც შემომელანძღა,
ვისი ბრალია, დროა ასეთი...
ყველაფერს იტან, თუკი მონა ხარ,
თუკი რა ხდება, ირგვლივ, არ გესმის...
დღეს ხალხს სინათლე სჭირდება მხოლოდ,
მაგრამ ვიღაცა მალავს ჩირაღდნებს,
გავყვირი ბნელში: სამშობლო მხოლოდ...
ის კი მოდის და მორგში მიმათრევს...
სიმართლე ჩემი რწმენის ჯალათი,
მუდამ თან დამდევს თავის მახვილით,
ის მიკარნახებს თუკი გადავრჩი,
როგორ მოვიქცე გულ–მკერდგახსნილი...
რადგან სიყალბე ასე თარეშობს,
სიმართლის ყველა კარი ჩარაზეთ!!!
გავალ სიკვდილთან საასპარეზოდ,
და თუ შევაკვდი, თქვენ მითანაგრძნეთ!!!

სილამაზე

სილამაზე, ვიცი, ათასნაირია,
ღვთაებრივი სილამაზე კლავს...
ახლა ჩემთვის ყველაფერი აირია,
რადგან, ვიცი, ვიცი, კოცნი სხვას...
მე ხომ შენი შეყვარება არც მიცდია,
არც სიყვარულს დავეძებდი უკანასკნელს,
როცა წლები, გარბიან და არ იცდიან,
ჩვენ კი სულ არ ვეცოდებით მუხანათებს...
კაბა გეცვა, კაბა გეცვა მელნისფერი,

ეგ შიშველი მხრებიც ისე გიხდებოდა,
და თვალები, და თვალები, ორი შველი,
მსაჯულივით, გამომცდელად მიცქეროდა...
გავიფიქრე, აი, ესეც ბედი ჩემი,
არ ეტყობა, რომ ღმერთების რჩეულია?
მორჩა უკვე, ვერაფერი ვერ მიშველის,
სილამაზეს მხოლოდ მოკვლა შეუძლია...
გული გასკდა, გული მიცემს შეშფოთებით,
თაგვი ვარ და, მგონი, კატა გამოვთხარე.
შენ ჩემს სულში უსწრაფესად შემოხვედი,
და ვინც დაგვხდა, ყველა გარეთ გამოყარე...

მართლაც, არსებობს მეტი დაცინვა...

დამშვიდნენ ზღვები, ჩადგნენ ქარები,
იქვე ნაპირზე სძინავთ გრიგალებს,
ღრუბლები, როგორც ნაზი ქალები,
ვეღარ ახელენ გადაღლილ თვალებს...
მხოლოდ მთვარეა განცვიფრებული,
ვერ გაუგია, მართლაც, რა ხდება,
ან ზღვა რატოა მიკნავებული,
ანდა, ამ ქარებს რა ემართებათ.
ან გრიგალები რამ მიაძინა,
გაკვირვებული კითხულობს მთვარე;
მართლაც, არსებობს მეტი დაცინვა,
ნაპირზე ტკბილად სძინავთ გრიგალებს...
სულ ყველაფერმა ფერი იცვალა,
ცა გადაბრუნდა, მიწა გაირყვნა;
არ ღირს, სიცოცხლე, დედას ვფიცავარ,
ელვა სად გაქრა, მეხი რა იქნა...
საკვირველია, სძინავთ ვარსკვლავებს,
და უფრო მეტიც, თვითონ ცას სძინავს,
სულ მალე მთვარეც თავს შეაფარებს,
მთვლემარე ღრუბლებს, დილის ნაწვიმარს...
და ასე გავა კიდევ ერთი დღე,
ეს ღამეც ძილის გამო იწყება,
რით ვერ ვეღირსეთ, რით ვერ ვეღირსეთ,
ამ გრიგალების გამოღვიძებას!!!

რატომ მაგონებ

რატომ მაგონებ, რატომ მაგონებ,
ჩემი ბავშვობის დღეებს გაფრენილს,
ასჯერ გაკვალულ მწვანე მთაგორებს,
ველის ყვავილებს მზისფრად გაფენილს...
რატომ მაგონებ პირველ სიყვარულს,
პიველ კოცნას და ტუჩის მოკვნეტას,
ლოყაზე წითლად მოდებულ ალმურს,
პირველ შეხვედრას და გაოგნებას....
ჩემს დაგუბებულ და დამცხრალ სულში
ვარდის სურნელი შემოაქვთ ქარებს,
მეკი ბავშვობის დღეებსა ვფურცლი,
კარგა ხანია თავს მათ ვაფარებ...

რომ ავიცილო ბედის დარტყმები,
ახალ დროების ავი სტუმრობა,
ასე მგონია, რომ ვართ ბარტყები,
და ვერ ამჩნევენ ჩვენს გულჩვილობას...
ახლა ერთმანეთს ისე ვჭირდებით,
როგორც დაღლილ სულს მხარზე დაყრდნობა,
ნუ დამპირდები, ნუ დამპირდები,
შენგან არ ვიღებ მე თანაგრძნობას...

მე ყველაფერი მომწონდა შენში... (თამუნას, ხელაძეს)

მე ყველაფერი მომწონდა შენში,
მომწონდა, რადგან ჰგავდი გაზაფხულს,
როცა ამოდის იები ტყეში,
როცა ერთს ჰკოცნი და სხვა აღარ გსურს...
ჰო, ყველაფერი მომწონდა მართლაც,
თმები, თვალები ასე ნათელი,
ყველაზე მეტად კი შენი განცდა,
რომ უნდა გაქრეს ეს ყველაფერი...
რომ გაზაფხულიც კვდება და გადის,
როგორც ყვავილი ჭკნება და კვდება,
როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი,
ჰო, ასე უყვართ უკანასკნელად...
და თუკი მაინც, ჰო ოდნავ ისევ,
სულ ოდნავ მაინც მოგენატრები,
ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ,
მითხარ და იმწამს შენთან გავჩნდები...

ლარნაკში წითელი ვარდები ჭკნებიან

იმ სევდას, რომელსაც წახვალ და მიტოვებ,
ეგებ და, შენ მითხრა, შენ მითხრა, რა ჰქვია...
მე დიდი ხანია ვასრულებ იმ როლებს,
იმ როლებს, რომლებიც შენ არ გინახია...
არ მიყვარს, არ მიყვარს გრძნობებით თამაში,
არც იმათ არ ვგავარ, ვინც ვერა მოასწრო,
და თუკი სიკვდილი კვლავ ცოტას დამაცლის,
იქნებ, ეს წყურვილიც როგორმე მოვახრჩო...
ვიცი, არ სრულდება ყველა დაპირება,
რომ იფუშებიან იმედის ბუშტები,
რომ ფასი დაკარგეს ლამაზმა სიტყვებმა,
რომ აზრი არა აქვს რასაც მეუბნები...
რომ დღემდე, ძვირფასო, შენ ჩემი არა ხარ,
რომ გული დახურე და შიგ არ მახედებ,
რომ ჩემი ნათქვამი არ გიღირს არაფრად,
და რომც ვეცემოდე ხელს არ შემაშველებ...
ლარნაკში წითელი ვარდები ჭკნებიან,
ღამეა უგრძესი და გარეთ ქარია,
სულ მუდამ, რატომღაც, სულ სხვების ჯერია,
არ გინდა, ნუ მეტყვი, რომ ჩემი ბრალია...

როგორ მინდა

სიყვარული როცა მოდის,
ვით მზის დარტყმა, ან ზღვის ტალღა...
გადაღლილი შენზე ლოცვით,
სული იწევს მაღლა–მაღლა...
ეჯიბრება ქარებს ქარი,
უწითლდება ზეცას ლოყა...
აალდება და მწვერვალი
კოცნით ღრუბლებს გადალოკავს...
თუ მოგწყურდე, მოდი ჩემთან,
სიტყვებს გეტყვი სანუგეშოს...
ტყეში წყარო როგორ ჩნდება,
ვარდს ბულბული როგორ შევრთოთ...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
დაგიტოვო ჩემთან მძევლად...
თუნდა ცხადში, თუნდა სიზმრად,
ხელებს მხვევდე საკოცნელად...
მე კლდე ვიყო, შენ ჩანჩქერი,
მეღვრებოდე მკერდზე შხეფად,
და მწყდებოდე, როგორც შველი,
თვალუწვდენელ კლდიდან წყდება...

მე ზეცა ციდან სურვილებს მათოვს

შენს ფერად თმებზე, როგორც ფოთლებზე,
თოვლის ფიფქებმა იპოვეს ბინა...
მეც ფიფქებივით შენს თვალებს ვეძებ,
თვალებს, რომლებიც თოვლივით ბრწყინავს...
რა გულუბრყვილოდ მჯეროდა შენი,
როგორც მზეს მთვარის, ან მიწას ცისა,
ოკეანენო, გახსენით ბჭენი,
გახსენით ბჭენი, მე ისევ მიყვარს!!!
მე ჩემს შეცდომებს არაფრად ვაგდებ,
რადგან ღმერთებიც სცდებიან ხშირად...
მინდა გიყვარდე, მინდა გიყვარდე,
შენც გულუბრყვილოდ, როგორც მე მიყვარს...
მეც შევაგროვებ, თეთრი ღრუბლებით,
ფიფქებს, რომლებიც ციდან ცვივიან,
მეც ამ თოვლივით გეჩურჩულები,
მე ვიცი, ჩემი რომ გეშინია...
მეც მეშინია, ძვირფასო, შენი,
მე ზეცა ციდან სურვილებს მათოვს,
და ბრწყინავს თოვლში ფერადი თმები,
რომლებსაც ჩემი ტუჩები ახსოვთ...

რად ხდება ასე (ირმას, აგიბას! სიყვარულით)

რად ხდება ასე, ასე რად ხდება!
ვისაც ლირა და ჩანგი ეკუთვნის,
მამულისაგან ტყვია რად ხვდება,
ტყვია რად ხვდება, მითხარი, გულში!!!
რად ამოდიან ყვავილნი ტყეში,
რად უარყოფენ ვარდნი ბულბულებს?
ან ვარსკვლავები რად ჩანან ბნელში,

რა ელით ველებს გადაბუგულებს?
რად მიაჯაჭვეს პრომეთე კლდეზე,
ღმერთებმა რატომ გასწირეს ასე?
ან რატომ გლეჯდა ხორცს სვავი მკერდზე,
თუ ცეცხლი მისცა პრომეთემ ხალხებს...
ყვავილებს ვთეს და ყვავილთა ნაცვლად,
მეც რახანია ვიმკი ქარიშხლებს...
მებრძვის, მამარცხებს, მახრჩობს და მძარცვავს,
მე კი მივიწევ კვლავ მწვერვალისკენ...
სადაც ყინულის პირქუშ ხეობებს,
ახმაურებენ ცივი ქარები...
სადაც მზეები ვეღარ მზეობენ,
და ჩანს პრომეთეს ნატერფალები...
მეც ჩანგი ვაწრთე პრომეთეს სისხლში,
და მეც სინათლე მივეცი ხალხებს...
მეც გადავრეკე მთებს იქით ნისლი,
სად თერგი ქედებს მოამქუხარებს!!!

შენ ჩემი ბოლო სასწაული ხარ

ვერ ამოგიღე ჩემი გულიდან,
ამ სიტყვებს ყველას არ ვეუბნები,
შენ ჩემი ბოლო სასწაული ხარ,
მართლაც ვერ ვძღები შენი ყურებით...
თუმცა ცივი ხარ, როგორც ყინული,
და არც ანათებს შენი თვალები,
ვიცი, რომ მაინც ვარ განწირული,
რომ უეჭველად შემიყვარდები...
რადგან, გაქვს რაღაც ისე ქალური,
ისე ლამაზი და მოხდენილი,
თითქოს განძი ხარ გადამალული
და მერე კარში გამოფენილი...
ისე, ვერც გეტყვი რამ მათქმევინა,
ეს უეცარი ჩემი ბოდვანი,
დღეს თითქოს მოვწყდი ქარაფებიდან,
რომ განვიბანო ყველა ცოდვანი...

ეკლესიასტე

როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ამ დღეებივით გავხდე უფერო,
კარგადა ვარო, თუ ვინმემ გითხრა,
გატყუებს, ჰოდა, არ დაუჯერო...
ისეც რა იყო ჩვენი ცხოვრება,
ათი მცნება და მისი დარღვევა...
დაქორწინება და განშორება...
შეცოდება და აღიარება...
სხვაგან კი, სხვაგან, სადაც არა ვართ,
და ჩვენს მაგიერ, სხვები არიან,
მზე მიაცილებს ოქროს ქარავანს,
მდინარეებში ვარდის წყალია...
არ მინდა, მაგრამ ისე ვეცემი,
ისე ვეცემი სულით ხანდახან,

დავალ ბრმასავით ხელის ცეცებით,
ვეძებ საკუთარ გვამის დამმარხავს...
და უფრო ხშირად ისიც მგონია,
რომ ბრძოლას ახლა აზრი არა აქვს...
ბედნიერება მხოლოდ ჭორია,
უბედურების გადასალახად...
რომ ჩვენც ჯადოსნურ წრეზე ვტრიალებთ,
რომ დედამიწას ღერძი ერყევა,
რომ გვათანაბრებს ადამიანებს,
ღამის წყვდიადი და უმეცრება...
ამაოება ნუგეშის ნაცვლად,
და სუფთა, წმინდა აღარაფერი...
სული, რომელიც ჰორიზონტს გასცდა,
ხორცი, ბედისგან გადანათქერი...

მე ხელის გულზე დაგიდებ მაისს

დღეს შენთან ერთად, დღეს შენთან ერთად,
ყაყაჩოს ველებს შემოვივლიდი,
რომ ერთხელ კიდევ ხმამაღლა მეთქვა,
რომ შენსკენ მოდის ყველა ბილიკი...
რომ გაზაფხულზე როცა ტყე–ველი,
ნაკადულებით ახმიანდება,
შენი სურვილი დაუძლეველი,
კვლავ მწყურვალივით მომეძალება...
ვიცი ფარვანაც არა ვარ შენთვის,
და რომ სულ სხვაა შენი რჩეული,
თუმც, შენი მესმის, ჰო, კარგად მესმის,
ვარ მოფერებას გადაჩვეული...
და თუკი მაინც, ჰო, თუკი მაინც
სულ ოდნავ მაინც მოგენატრები...
მე ხელის გულზე დაგიდებ მაისს,
შენი გახდება ჩემი ტახტები..
მე მოვიპარავ მფრინავ ხალიჩას,
და მოგიტაცებ როგორც პატარძალს,
როცა დახუნძლულ რტოებს ვაზისას,
დატკბილებული ქარვა გადაწვავს...
როცა შარბათით სავსე ქვევრებში,
აღუღუნდება შავი მაჭარი,
და აჩქეფდება სისხლი ძარღვებში,
შენი სურვილით გაუმაძღარი...

ერთს გაკოცებ და წავალ

მიყვარხარ, როგორც ზღვას თევზი,
როგორც კაცს ქალი უყვარს,
იცი, რა დიდხანს გეძებდი,
ტყეებს ვკაფავდი უღრანს...
შენს უბანს შემოვეჩვიე,
როგორც გუგული ბუდეს...
გამოდი, სანამ შემშლიდეს,
ეგ დეკოლტე თუ უბე...
გამოდი, ნუ იმალები,

დღეებს მომავალს ვპარავ,
ახლოს არ გაგეკარები,
ერთს გაკოცებ და წავალ...
ვის და სად აღარ შევბმივარ,
ზღვებს, ოკეანის ტალღებს...
ახლა კი შენი მსხვერპლი ვარ,
დავალ, ვაგროვებ ვარდებს...
რომ დილა გაგილამაზო,
როგორც ოცნების ბაღი,
მზით და სინათლით აგავსო,
გული გაგითბო დაღლილს...
სხვებისგან გადარჩენილი,
ახლა შენს გამო ვკვდები,
ვისზე ხარ ჯვარდაწერილი,
ვის გადაუხსენ მკერდი...
ნუ მეტყვი, არა მჭირდება,
ჰო, ვინც არ უნდა იყოს;
ხვალ შენი აღარ იქნება...
რატომ? მე ასე ვფიქრობ!!!

სული კი, სული გახსოვდეს მუდამ...

შენს სახეს თითქოს ვუალი ფარავს,
ესაა შენი სულის ვუალი,
სულს ვერაფერი ვერასდროს მალავს,
ასეა, მართლაც, სული თუ არი...
ჩვენ ყველა ხშირად სულს ვამჩნევთ მეტად,
სხეულზე მეტად სულს ვამჩნევთ მაინც...
მეტყვი, რად იპყრობს მიდამოს სევდა,
როცა სხივებით მზე ხატავს დაისს?
გინახავს ზღვაში ქარიშხლის სვეტი,
როგორ მიაფრენს ყველაფერს მაღლა,
რომ თითქოს ამით მიწა ცას ერთვის,
და ქარიც ზეცის სულია ალბათ...
შენ დაიბადე ვარდობის თვეში,
მაგრამ ჩვენ ვარდებს ვერ ვამჩნევთ ხშირად,
მე სული მიყვარს ძვირფასო შენში,
რა ლამაზია სული თუ ბრწყინავს...
დაკარგე სახე, სხეულიც, თუნდაც,
რაც რამ გაგაჩნდეს, ისროლე წყალში,
სული კი, სული გახსოვდეს მუდამ,
რომ იყოს წმინდა, ვით თოთო ბავშვი...

გავიდეს თუნდაც ათასი წელი

დათვივით ველი ახლა გაზაფხულს,
მძინავს და არ მსურს რომ გავიღვიძო...
ან ყინვა–თოვლით ასე დაზაფრულს,
მაჩუქე შენი თვალების სითბო...
მაჩუქე სიტყვა, რომელსაც ველი,
რომელიც შენგან არა მსმენია,
გავიდეს თუნდაც ათასი წელი,
დაგიცდი, მეტი რა დამრჩენია...

რა დიდებული ყოფილა ღმერთი,
რომ გაგაჩინა ამ ქვეყანაზე,
შენ ბრძანე მხოლოდ, მსოფლიოს შევცვლი,
გინდა, თარიღებს უკან გადავწევ...
რომ მარტო იყო და არვინ გყავდეს,
რომ იყო ჩემი და მხოლოდ ჩემი...
რომ შენც გიყვარდე, ისე გიყვარდე,
როგორც ქალწულებს უყვართ ოცნებით...
რეებსა ვბოდავ, არ გაგეცინოს,
შეყვარებული რას აღარ იტყვის,
რა ვქნა, მიყვარხარ, თუნდაც გეწყინოს,
სწორედ ამიტომ, ამდენხანს გიცდი...
თუმც, ისიც ვიცი, რომ მაინც მოხვალ,
როცა ეს თოვლი დნობას დაიწყებს,
როცა ეს ყინვაც, ვით მგლების ხროვა,
შეშინებული უკან დაიხევს...
მძინავს და, ვიცი, გამომაღვიძებს,
გაკვირვებული შენი თვალები,
როგორ აგიხსნა, მიყვარხარ, ისე,
რომ კოცნისთვისაც კი მენანები...

არ დაუჯერო ქალაქის ჭორებს

შენს მეტი ახლა არავინ მიყვარს,
არ დაუჯერო ქალაქის ჭორებს,
მე შენ გელოდი ძალიან დიდხანს,
და მაცოფებდა შენი სიშორე.
შენ რომ არ იყო, შენ რომ არ იყო,
მეც ხომ არ ყოფნა მენდომებოდა;
იცი, ეს წელიც ისე დაიწყო,
ვეღარ გნახავდი ასე მეგონა...
ჰო, მქონდა შენი დაკარგვის შიში,
თითქოს მზემაც კი დაკარგა ძალა...
და დავდიოდი ამ ზამთრის ნისლში,
როგორც ეული და მაწანწალა...
რას უტოვებენ, ან რას ამბობენ,
ასე უეცრად როცა მიდიან...
მე რამეს ზღვები თუ გამანდობენ,
სად წახველ, რომელ გზებით გივლია...
ან თუ ნანობდი ამ განშორებას,
ან რა დაარქვი, ისიც არ ვიცი;
იცი, ვიდექი, მღვრიე მორევთან,
და ვერ გადავდგი ბოლო ნაბიჯი...
ახლა კი, როცა იმედი გაჩნდა,
დაწყნარდა ზღვა და გაქრა მორევი,
ჩვენზე ჭორები, უბრალოდ, გაცვდა,
მნახე და, თუ გსურს, გეამბორები...

ჩემი ცხოვრება იყო სისხლსავსე

ჩემი ცხოვრება ჰგავს ირმის ნახტომს,
ირმის გაფრენას უფსკრულის თავზე,
რომელიც ისე გაეკრა ტატნობს,

როგორც მნათობი სხივებით სავსე.
ხან ზეცაზე ვარ, ხან კიდევ ფსკერზე,
ჯერ შუალედი არ მღირსებია,
და ყველაფერი თუკი რამ შევძელ,
მხოლოდ სპეტაკი ნაბიჯებია...
და ვფიქრობ, მართლაც, ნუთუ არ მეყო,
ტვირთი, რომელიც დღემდე ვატარე,
ან ამ მხრებიდან რომ გადამეღო,
ის ხომ მთელ მიწას შეაზანზარებს...
მე სივრცეს ვფლობდი უკიდეგანოს,
ჩემი მეგონა ზღვა და ხმელეთი,
ჰო, შემიძლია ერთად შევყარო,
სამყაროს მთელი საკვირველეთი...
ცაზე ვარსკვლავნი, ზღვები მიწაზე,
მთას მოწყვეტილი თოვლის ზვავები,
ჩემი ცხოვრება იყო სისხლსავსე,
როგორც ომები და გრიგალები...
არასდროს მტერი არ მომკლებია,
სულ სისხლიანი მეცვა პერანგი,
და გამუდმებით გვერდით მხლებია,
სიკვდილი ცელით და ბუმერანგით...
თუკი გსურთ ახლაც გადავეშვები,
იმ უფსკრულებში სხვებს რომ აშინებს,
მე ბავშვობიდან მზრდიდნენ ვეფხვები,
და დავუკვეთე ფრთები არწივებს...

ნატვრა

ყველა ღამე შენ თავს მპარავს,
სად გეძებო არ ვიცი,
შენ ბატკანი შერჩი ფარას,
მგელი ვარ და განვიცდი...
ნეტა ძაღლებს გაეპარო,
ან წყაროზე ჩახვიდე,
დაგიწყვიტო მინდა წყარო,
მომხედო და განცვიფრდე!
რომ გაშეშდე უეცარი,
გრძნობით ალმოდებული,
ჩაიკეცო, როგორც მკვდარი
ვნებას დამონებული...
დამავიწყდეს ჩემი მგლობა,
მკერდზე წყალი გაპკურო,
და ნამდვილმა ანგელოზმა,
როგორც ქალმა მაცდუნო...
იქვე მოხდეს ყველაფერი,
იქვე წყაროს მახლობლად,
კანკალებდე, როგორც შველი,
დაგაბნიოს ნაკოცნმა...
და გაგრძელდეს მერე ღამე,
წყაროს ჩუმი ჩხრიალით,
დაგვცქეროდეს ციდან მთვარე,
შურით, თვალის ბრიალით...

სად იყავი

ყველა, ყველა ჩემთან იყო,
ყველა იყო შენს გარდა...
შენ მაგიერ, იცი, თითქოს,
სული გამომეცხადა...
სადღაც იქვე დაფრინავდა,
ხან შორსა და ხან ახლოს,
და მიმზერდა დამცინავად,
სიყვარულის სანაცვლოდ...
სად იყავი, სად იყავი,
ვის ოცნებებს აკრთობდი?
მე სიცოცხლე გაგიყავი,
შენ კი თურმე ვაჭრობდი...
ჩვენს ენაზე შენც ხომ იცი,
ამას ჰქვია ღალატი...
მორჩა წამსაც ვერ მოვიცდი,
ვერც ღმერთების კარნახით...
რადგან წამიც ძვირად მიღირს,
როგორც ცრემლის წვეთები,
მსურს შევღებო შენი სისხლით,
ვისაც შენ ეწებები...
წელზე ქამარს შემოვირტყამ,
სავსეს ცხელი ტყვიებით
დღეს რომ მაინც მოსულიყავ,
ალბათ, გაპატიებდი...

გამოდი, ნახე, რა თოვლი დადო...

მე თოვლის ფიფქებს ვაგროვებ შენთვის,
ჩემს ხელისგულზე ყოველ მოსვლაზე,
რატომ მგონია, რომ თოვლი შეგვცვლის,
როგორც ყველაზე ჯიუტ მოსწავლეს.
ვერც ის გავიგე თუ რატომ გინდა,
რომ შენ მიყვარდე მხოლოდდამხოლოდ,
როცა ფიფქები ცვივიან ციდან,
მე ხომ მგონია, თოვს საბოლოოდ...
ჰო, ჩემთვის, მართლაც, ახლა ასეა,
მე მუდამ ბოლო თოვას ვესწრები,
მთელი ცა მართლაც თოვლით სავსეა,
ყველგან მოფინა თეთრი ზეწრები...
ვიცი, თოვლივით თეთრი კანი გაქვს,
რომ მართლაც ავ თვალს არ ენახვები,
რომ ჩამოფრინდი იმ ვარსკვლავიდან,
სადაც ეკიდა თოვლის ხატები...
დღეს ჩემი სულიც თოვლმა დაფარა,
ფიფქებად იქცა ჩემი ფიქრები,
თოვს, თოვლი მოდის ისე აშკარად,
როგორც შენს ყელზე მარგალიტები...
მე ამ ფიფქებშიც შენს თვალებს ვხედავ,
შემომცქერიან ასნი, ათასნი,
თვალებს აწუხებთ ფიფქების სევდა,
და მე კი მინდა თოვლში თამაში...
მე გელოდები, კარში გამოდი,

გამოდი, ნახე, რა თოვლი დადო,
მინდა მომისწრო ასე დათოვლილს,
შენი ნატვრები მინდა გამანდო...

მკერდი გაქვს სავსე ბედნიერებით

რამ შეგაყვარა თოვლის სამოსი,
ან მაგ კაბაში, ნუთუ, არ გცივა?
მე მესმის სუნთქვა იმ სამყაროსი,
რომელმაც ჩემთან გამოგაცილა.
მაგრამ აქ ბოროტ ენებს რა დალევს,
ნუ მოხვალ ჩემთან, ნუ მენახვები,
თორემ, ხომ ვიცი, გადამსანსლავენ,
ეშვებიანი ჩვენი ტახები...
ხარ ანთებული თეთრი ფერებით,
და კონტურებიც გაქვს დახვეწილი,
მკერდი გაქვს სავსე ბედნიერებით,
ლოყები თბილი და ალეწილი...
ალბათ, ვიყავი მე შენი ღირსი,
იქნებ ვიყავი კიდეც ოდესღაც,
როცა მზისფერი იყო თბილისი,
მაგრამ, იმ დროებს შენ ვერ მოესწარ...
არ შეიძლება, არ შეიძლება,
რომ ყველაფერი ერთ ქვაბში ვხარშოთ,
არის ზნეობა, არის ღირსება,
არ იყიდება სული უაზროდ...
მე ისე მომწონს ეგ თოვლის კაბა,
თითქოს მოგისხამს ტანთ პოეზია...
მე მესმის თვალებს რატომ მინაბავ,
თუმცა, გავჩუმდე უმჯობესია...

წამოდი, ზვავებს ხელი შევახოთ!

ბედი ბედია, ვერაფერს შეცვლი,
გექარიშხლება, გეგრიგალება,
თუ მოისურვა, მოვა და გესვრის,
არ იცის შიში და შებრალება...
არ აჰყვე ჭორებს, მე რომ მიყრიან,
მე სპეტაკი ვარ, როგორც მთის წყარო,
მე რომ მაგიჟებს, ჩემი სისხლია,
არც ეს სიგიჟე არ დამიშალო!
რად გიკვირს დღემდე თუ ჩემი სისხლი,
ელის გაზაფხულს და თოვლის დნობას,
მე ლოგინს ისეც ღრუბლებზე ვიშლი,
მე ზღვის ტალღებში მივიღე წრთობა...
უცხოა ჩემთვის ია და ვარდი,
ვერც გველის ქერქში ვერ გავეხვევი,
რექვიემს მიკრავს თვითონ მოცარტი,
შორს, ცაში, მართლაც, ვის არ შეხვდები...
და თუ გსურს მართო შენც შენი ბედი,
რომელიც დღემდე ვერ შეგიცვნია,
წამოდი ჩემთან, იყავ ჩემს გვერდით,
და ნახავ, მთები ქედს რომ მიხრიან...

იქ, ცადშეტყორცნილ მწვერვალთა ახლოს,
სულ სხვა სისწრაფით ქრიან ქარები,
წამოდი, ზვავებს ხელი შევახოთ,
წამო, ვიცოცხლოთ სხვა ნეტარებით...

მართლაც არა ღირს

არა, არ მინდა შენი ნახვა, აღარ ვაპირებ,
რომ დაგარწმუნო, სიწრფელეში ჩემი გრძნობების...
მართლაც არა ღირს, შეგიყვარდე, ვერ გაგაწბილებ,
სადაც შენ წახვალ, ვერ წამოვალ, ვერ წამოგყვები...
და ისიც ვიცი, გეწყინება ჩემი სიტყვები,
მაგრამ ამასაც მობზრიალე ქარი წაიღებს,
იმ სილაზეს, შენ რომ დაგაქვს, მე ვერ მივწვდები,
მე გული მქონდა დაკეტილი და შენ გაგიღე...
და ვცდილობ, ვცდილობ, ვცდილობ საზღვარს არ გადავიდე,
ამიბრიალე სილამაზე ნარინჯისფერი,
სასწაულია, ყველა ტყვია თუ ამარიდე,
ახლა ამ შენი სილამაზით რად ვიჭინჭრები...
არა, მერჩია, არ მენახე ამ ცხელ კაბაში,
და შენი უბეც ასე ღია ჩემთვის შხამია;
მე შენ მიყვარდი, როგორც უყვართ ბავშვებს თამაში,
ვით ხელის გულზე გატრუნული ჭიამაია...

ასე მგონია, სულ ჩემთან იყავ... (სოფიო გ–ს)

ასე მგონია, სულ ჩემთან იყავ,
სულ ჩემთან იყავ, რაც დავიბადე,
როგორც ძვირფასი ძოწი, ლალის ქვა,
ან კარნავალზე ვერცხლის პირბადე.
თითქოს მიცავდი ავი თვალისგან,
თითქოს აკვანშიც კი შენ მარწევდი,
შენ გამომიხსენ იმ სიზმარიდან,
რომელსაც დღემდე თავს ვერ ვაღწევდი...
რომ განსაცდელსაც შენ მარიდებდი,
რომ მომეღწია დღემდე უვნებლად,
და ის მარცვალიც ჭეშმარიტების
შენში ვიპოვე კარს რომ მიღებდა...
კარს სათნოების და სიყვარულის,
რაც ბევრს საერთოდ არც ღირსებია,
თრობა აწმყოთი, თრობა წარსულით,
ტანს რომ ალივით მომკიდებია...
რა მოხდა, თუკი სიყვარულს გიხსნი,
თუკი შენს სულში ბილიკს დავეძებ,
მაშ რისთვის მინდა, მითხარი, სისხლი,
ჩემს ძარღვებში რომ მოთქრიალებენ...
და თუკი, მართლაც, ისე მიყვარხარ,
როგორც ბუნება უყვართ ველურებს,
თუნდაც წახვიდე, ვიღაც სულ სხვასთან,
ალბათ, ვერასდროს გისაყვედურებ!!!

თოვს

თოვს, თოლქვეშ ჰყვება ჩემი ფიქრები,
და მცივა, როგორც, ხეზე ბეღურებს,
თოვლქვეშ ჰყვებიან შენი ტიტები
და თოვლი მპარავს შენს ნაფეხურებს...
რა მწუხარეა ეს მელოდიაც,
თეთრი ზეციდან თოვლს რომ მოჰყვება,
თითქოს ფიფქები ფიფქებს ჰკოცნიან,
ფიფქები იქცნენ ანგელოზებად...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ამ თოვლის გამო სულშიც აცივდეს...
ეს თოვლიც ზეცის სახსოვარია?
კარგი, არ მკითხო, არ ჩამაცივდე!
და ქალის ტორსიც მარმარილოსი,
ეზოში როა, თოვლმა დაფარა,
სახურავზე კი ისევ ხორხოცით,
დაიარება ჭრელი ჯაფარა...
შენ კი სეირნობ, ალბათ, ამ თოვლში,
შენთვის ეს თოვლი კარნავალია,
მე კი შენს თვალში ვარ ბარბაროსი,
რადგანაც თოვლი არ მიხარია...

მწუხარეა

როცა მიცქერ, შენთვის, ჩუმად,
რად გევსება თვალი ცრემლით,
მე ეგ ცრემლი მსურს სასთუმლად,
შემიგროვე გეხვეწები...
მწუხარეა შემოდგომა,
როგორც გედი მარტოდ ტბაზე,
როგორც თვალით სულში წვდომა,
როგორც ვერცხლი ქალის თმაზე...
მწუხარეა, მწუხარეა,
ეს საღამოც ნაღვლისფერი,
ჰორიზონტის მდუმარება,
და ჩემს მკერდზე მკრთალი ხელი...
შენი ხელი სევდით სავსე,
შენი ძველი საჩუქარი,
შემოდგომას მივამსგავსე,
როგორც ქვებზე წვიმის კვალი...
ისე მომწონს, ისე მიყვარს,
შენი მკერდის სიფაქიზე,
რომ ჭკუიდან გადამიყვანს,
მისი მზერა თუ მაღირსე...
მწუხარეა ჩემი ნატვრა,
მწუხარეა სევდა შენი,
როგორც ნავზე ძველი აფრა,
ან ზღვის ფსკერზე მკვდარი გემი...

რად მეშინია, რომ დამივიწყებ...

სხვებთან სტუმრობამ ისე დამღალა,
მერჩია შენთან ვყოფილიყავი,
დაგვედგა ბოთლით ტკბილი ხვანჩკარა,

თუნდაც სულ ერთი, სულ ერთი ღამით...
სარკმლიდან ჩუმად ემზირა მთვარეს,
და ეჭორავათ ვარსკვლავებს თუნდაც...
რა სიყვარულით მოგხვევდი მკლავებს,
თავს დამადებდი შენც ფრთხილად გულთან...
გულთან, რომელიც აღარც კი მიცემს,
რადგან სიცივე ფსკერამდე ატანს...
რად მეშინია რომ დამივიწყებ,
ჩემს ნაცვლად სულ სხვას იპოვი ახალს...
ჩემს ნაცვლად სულ სხვას, სულ სხვას ეტყვიან,
შენი ბაგენი საყვარელ სიტყვებს,
თუმცა, მე, მგონი, ერთადერთი ვარ,
ვინც არასოდეს არ დაგივიწყებს...
ვისაც ყოველთვის ემახსოვრება,
უმანკოება შენი თვალების,
შენი ღიმილი და სათნოება,
ღაწვები ღამის ნამწუხარები...

რომ აკრძალული ხილი ტკბილია

ვერ მოვასწარი, ვერ მოვასწარი,
მეთქვა ის, რის თქმაც ასე მინდოდა,
რომ არაფერი მაქვს დასამალი,
რომ სული მაინც ამოგიცნობდა...
იცი, ერთი რამ ვერ გამიგია,
რად ეშინია ხალხს ქარიშხლების,
ჩემი სხეული ცაში ჰკიდია
და ზეცისაკენ კიბეს მივყვები...
შენ კი, რომელიც ასე ნატრობდი,
სიყვარულს, ვნებებს და გატაცებას,
ვერ მივხვდი ზღაპრებს რად მიამბობდი,
რა გაწყენინეს მამაკაცებმა...
რომ აკრძალული ხილი ტკბილია,
არა გსმენია ჯერ ეს აქამდე?
შენი ვარდები თუ გაშლილია,
ვიღაცა მოწყვეტს და გადააგდებს...
მერე, ვინ იცის, რას რა მოჰყვება,
მერე, ვინ იცის, რა ააგორონ,
სადმე, ვინმესთან რა წამოგცდება,
რომ იქნებ ვეღარც გამოასწორო...
ის კი, რომ ვნებას აუტანიხარ,
და ვერც ამურებს ვერ გაექცევი,
ისე გადმოხეთს შენი ტანიდან,
როგორც დაძრული მთიდან მეწყერი...
და ამიტომაც შენს გვერდით ვდგავარ,
არ შემიძლია მე დღეს უშენოდ,
ასე რომ, სანამ ზეცაში ავალ,
მინდა შენს ვნებებს რამე ვუშველო...

გაჩუქებდი

მოდი, ისევ შენთან მოვალ,
და შენს გვერდით გავყუჩდები,
ისე კარგი საღამოა,

რომ გინდოდეს, გაჩუქებდი...
გაჩუქებდი ყველა ღიმილს
ალუბლების ყვავილისას,
როცა დარდი გადამივლის,
გაჩუქებდი სხივებს მზისას...
გაჩუქებდი, გაჩუქებდი,
შვლის ნუკრს ლამაზ წინწკლებიანს,
არწივს თავის გაშლილ ფრთებით,
და მწვერვალებს ნისლებიანს...
გამაგიჟე, გამაგიჟე,
ვზივარ, შენი მზერით ვტკბები,
გსურს, გაჩუქებ ჩემ თავს ისეთს,
დაგავიწყოს საჩუქრები...

მე სილამაზეს ვაბრალებ ამას

მეც მიხარია, შენ რომ სიხარულს
ვერ ფარავ და ხარ აღტკინებული...
და რომ ბევრისგან მოელი პასუხს,
რა ლამაზი ხარ, რა დიდებული...
მე ენა როგორ მომიბრუნდება,
შენში რაიმე ნაკლი ვეძებო;
თუმცა, ეს წელიც ჩაიფურცლება,
წელი ჩემსავით უიმედებო...
ვიცი, ვიცი, რომ გაგეცინება,
მე სილამაზეს ვაბრალებ ამას...
ფუჭია ჩემი გულმოდგინება,
რადგან ვთამაშობ წაგებულ თამაშს...
ფუჭია ჩემი ყველა სიტყვები,
რადგან ვერ აღწევს, ვიცი, შენამდე...
მე კი თუ გნახე, ისე ვიბნევი,
როგორც ბულბული, ვარდის ეკალზე...
ბევრს ვფიქრობ, ვფიქრობ, მინდა ვიცოდე,
ვისთვის გაიხსენ მკერდზე ღილები,
და ის ტყვიებიც დღეს რომ ვისროლე,
მე მხვდება შენგან ასხლეტილები...

ჩემი ბოდვა ხარ სიზმარეული

ან კაცმა რომ თქვას, საიდან სად და,
მე და შენ რატომ შევხვდით ერთმანეთს;
შენ მანდ ივლისის ცხელი მზე გწვავდა,
მე აქ მაისის სეტყვით მსეტყვავდნენ...
როგორ მინდოდა, რომ შენთან ერთად,
თუნდაც შავი ზღვა გადამეცურა,
გადმომდებოდა ის შემართება,
შენ რომ მიმზერდი ზოგჯერ მეფურად...
შენ რომ მიმზერდი ასე ამაყი
და სიმართლეში დარწმუნებული,
შენ არ გჭირდება სხვა იარაღი,
სილამაზეა შენი ერთგული...
სილამაზეა შენ რომ გამშვენებს,
ორივე ერთად, სულის, სხეულის...

უშენოდ ღამეს რა გაათენებს,
ჩემი ბოდვა ხარ სიზმარეული...
კი, წყალნი ისევ წავლენ–წამოვლენ,
და დარჩებიან მხოლოდ ქვიშანი,
გარეთ ჩიტები ისე გალობენ,
თითქოს შენი ხმა ამოვიცანი...

ჩემი ფრთების ქვეშ აგაფართხალო (რუსო ბ–ს)

რატომ მიყვარხარ, რატომ მიყვარხარ,
ასე სულელი, ასე მარტივი,
ასე მგონია, პაწაწინა ხარ
და პირს გამიღებ ჩიტის ბარტყივით...
თოვს და მინდა რომ შემოგიფარო,
ჩემი ფრთების ქვეშ აგაფართხალო,
ულამაზესო ჩემო ცისკარო,
ჩემო პატარა მზეთუნახავო...
ნუ შიშობ, მალე, მალე გვეწვევა,
აფეთქებული გაზაფხულები,
და როგორც მოლზე ია–ენძელა,
გადაეწვნება ჩვენი გულები...

სიზმარი

მოდი, ასე საიდუმლოდ დარჩეს,
ყველაფერი ასე დარჩეს ზღაპრად;
თუ სიზმარში როგორ მოგიტაცე,
თუმცა გვერდით ათი მცველი გახლდა...
და მივქროდით, მივყვებოდით ნიავს,
ორი თეთრი ცეცხლოვანი რაშით,
შევცქეროდი კულულების ფრიალს,
ოქროსფერებს, გაწეწილებს ქარში...
გვიხაროდა, გვიხაროდა რაღაც,
სიყვარულზე ალბათ ბევრად მეტი...
ყვავილები ყველგან ტალღა–ტალღა,
მაყვლისფერი, ატმისფერი, თეთრი...
მთები თითქოს თავის კალთებს შლიდა,
და ხეებიც თავს გვიკრავდნენ მდაბლად,
ვარსკვლავები დაგვცქეროდნენ ციდან,
და გხედავდი, ისე, ისე ნათლად...
ასე, არც კი მინახიხარ ცხადში,
ცხადში, მგონი, მხოლოდ ორჯერ შევხვდით,
შენ პატარა ჯადოქარი ბავშვი,
მე კი, ალბათ, წამომდგარი მკვდრეთით...

მე მახსოვს წამი იმ გაოცების

დამთავრდა, თურმე ვერასდროს გნახავ,
თუნდ სიყვარულზე მღეროდეს ყველა;
მე მომისროლა ახალმა ტალღამ,
მე ისევ ძველი დროების ტყვე ვარ...
ჰოდა, დამთავრდა, არცა ღირს ახლა,
ალბათ, გადაბრალ–გადმობრალება...

ამ სიყვარულმა არ გაგვიმართლა,
ასეთი იყო ზეცის ბრძანება...
კი, მენანება, მართლაც, უსაზღვროდ,
თითქოს ვუხდიდე ჩემ თავს პანაშვიდს,
მაგრამ, გაუშვი, სხვას გაუმართლოს,
სხვამ ჩადოს თავი მაგ შენს კალთაში...
კი, ვიცი, ვიცი, სხვასთან სხვა არის,
სხვა ტუჩები და სხვა სიტკბოება...
დავიმახსოვროთ, როგორც ზღაპარი,
ამ სიყვარულის ჩამოქროლება...
დავიმახსოვროთ, ჩვენი თვალები,
როგორ განათდა, როგორ გაბრწყინდა,
როცა, ერთბაშად, ვით ვარსკვლავები
ყველა ამური შემოგვაფრინდა...
როცა, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს,
მე მახსოვს წამი იმ გაოცების...
ჩვენს სადღეგრძელოს ცაში შესვამენ,
შეყვარებული ანგელოზები...

ნუ მელოდები

ნუ მელოდები, ნუ მელოდები,
არ მიყვარს როცა მელოდებიან,
მე მთელი ღამე ვნებებს ვებრძოდი,
შენგან ასე რომ შემომგზნებია...
მართლაც, ვინ იცის, ვის სად შეხვდები,
ვის გაუგზავნი ყვითელ ბარათებს,
რომელ ანკესზე წამოეგები,
ინტუიცია სად გიღალატებს...
ანდა, რა იცი, სად გადაუხვევ,
დასახულ მიზანს, როგორ ასცდები,
რა გაგახარებს, რა დაგამწუხრებს,
რომელ სიყვარულს შემოასკდები...
როგორ მომწონხარ, როგორ მიყვარხარ,
როგორ ვერა გრძნობ ჩემს სიახლოვეს,
მე, ალბათ, ზუსტად შენი ხნისა ვარ,
შემხვდი თუ არა, წლებმაც დამტოვეს...
ლაგამს ვღრღნი, როგორც ველზე მერანი,
გზაში მომისწრებს ალბათ ცისკარი...
მოვედი, გესმის ფლოქვთა თქერანი,
შემოვამტვრიე შენი ჭიშკარი...

გეტყვი, მართლაც ლამაზი ხარ...

გეტყვი, მართლაც ლამაზი ხარ,
ვისთვის უღვთოდ, ვისთვის ისე,
შენს ლოყებზე სძინავს ცისკარს,
შენს ბაგეზე კი აისებს...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
შენს უბეში ბუდე მქონდეს,
ჩიტი ვიყო პაწაწინა,
აქეთ–იქით მიმოვქროდე.
შენ კი ჩემი ბარტყი იყო,

და მიცდიდე, სულ მიცდიდე,
რომ არასდროს დამივიწყო,
და ჩიტივით გამიფრთხილდე...

რატომ ხარ მარტო

რატომ ხარ მარტო, რატომ ხარ მარტო,
მე ხომ ვიცი, რომ ბევრნი გეტრფიან,
თუ არ გამოჩნდა საშენო სატრფო,
ნუთუ არავინ მოგნატრებია?
თუ სიმარტოვე შემოგეჩვია
და იმედებთან იმან გაგყარა;
იქნებ მიზეზი მხოლოდ შენშია,
მაშ, მარტოობა რამ შეგაყვარა?
მეც დღეს ვარ, ალბათ, ხვალე გავქრები,
და გავიკეტავ წარსულის კარებს...
ხვალ, ალბათ, სულ სხვას შეუყვარდები,
შენ კი, არც იმას არ შეიყვარებ!

მეც ვერავინ შემცვლის

შენ რომ უცბად შემოგხედავ, იცი?
როგორც ტყვიამ გაიროს გულში;
ნაფლეთი ხარ ჩემი ყველა სიზმრის,
გაზაფხული ჩემი გრძელი მწუხრის...
რას შემატყობ, გრძნობებს ისე ვმალავ,
როგორც კარგად შენიღბული მტერი;
როგორც მოველ, ალბათ, ისე წავალ,
და სურვილი თან გამყვება შენი...
რაღაც არის, არის შენში, ალბათ,
რაც ვერასდროს შევამჩნიე სხვებში;
ხარ ზეციდან ყვავილების ბარდნა,
და მყინვარი გახვეული ცეცხლში...
ვიცი, ვიცი, დაუძლეველს ვებრძვი,
ანგელოზებს არ ჰკოცნიან ვიცი...
მაგრამ, რა ვქნა, მეც ვერავინ შემცვლის,
მეც შენსავით ვარ ქართულის ჯიშის...

იყავი ჩემში

შავი შურით მშურს, უშავეს შურით,
ვინც დღეებს შენთან ერთად ატარებს...
ვინც იქნებ გიყვარს, ან თუნდაც უვლი...
ვინც შენთანაა და თავს გაყვარებს...
სულ ადვილია, სულ ადვილია,
როდესაც სულში ბრძოლა იწყება,
გული სისხლისგან თუ დაცლილია,
უბრალოდ, შენი გადავიწყება...
მაგრამ არა ღირს, იყავი ჩემში,
თეთრი ყვავილი იასამანის,
რადგან ვერასდროს ვერ გაგცვლი სხვებში,
შენ სუდარა ხარ ჩემი სამარის...

სული კი ენთოს

ვერ გაექცევი ამ სინამდვილეს,
სულ რომ უსწრაფეს მერნით აჭენო...
დღეებს აგირევს, თვეებს აგირევს,
რომ დაგამარცხოს და შეგაჩეროს...
რა დაგვრჩენია, რომ სულს მივენდოთ,
თუნდ მტრისაც იყოს ეს ჩემი გვამი...
სული კი ენთოს, სული კი ენთოს,
როგორც მნათობი წყვდიადი ღამის...
რომ ყველას, ყველას, ვინც ცოცხალია,
თუნდ, ერთი სხივიც რომ მიაწვდინოს,
ჩვენთან არიან თუ არ არიან,
ვისაც სურს იყოს და იარწივოს!!!
რომ ყველას, თუნდაც სიკვდილის მერე,
გზას უნათებდეს ჩვენი სულები,
როგორც ტაძრების ზარები ჟღერენ,
უკვდავებაში გადასულები...

ჯოჯოხეთია ისეც ორივე

დამთავრდა, დავსვი ყველა წერტილი...
და გადავრაზე ყველა ჭიშკარი...
ხევის წყალივით ვარ დაწრეტილი,
სულ დავივიწყე დასავიწყარი...
რა დამრჩა, ნუთუ, ოთხი ფიცარი,
ოთხი ლურსმანით კუბოდ შეკრული,
ოთხი წყრთა მიწა საფლავისათვის,
და ორი სიტყვა: აუ, ბედკრული...
თუ მივანებო ამ აზრებს თავი,
სისულეა ამისი როშვა,
რომ ფიქრი ჩემი, ეს შავზე–შავი,
ტყუილად ელის მეორედ მოსვლას!
რა უნდა, რისთვის უნდა მოვიდეს,
ქრისტე, აქ თუკი ვერაფერს შეცვლის,
ჯოჯოხეთია ისეც ორივე,
აქაც და იქაც, მისთვის თუ ჩვენთვის...
და ამიტომაც, ჯობს, როგორც არის,
დავტოვო მიწა ტალახიანი,
არაფერია აქ საოცარი,
თოვს, წვიმს, ქუხს, ელავს და დაძრწის ქარი...
იქ კი, ცის იქით, სადაც ქარიშხლებს,
განრისხებული ღმერთები სწრთვნიან,
სადაც ხედნიან აპოკალიფსებს,
და ასწავლიან გრიგალებს გრიალს...
იქ, მოელვარე მნათობთა შორის,
სადაც მგლისფერი დაჰკრავთ აისებს,
გულს მოვიჯერებ ქარებთან ქროლით
და მხარსაც გავკრავ აპოკალიფსებს...

სადაც გედები გედებს ხვდებიან

როცა მბეზრდება ყველაფერი და სულშიც რაღაც

წყდება თუ კვდება, ვერ ვიტყვი ზუსტად...
მოვდივარ შენთან და ვიცი ვნახავ,
რასაც ინახავ ასე სათუთად...
ბაღებში გაშლილ გვიან ყვავილებს,
ტბაზე მწუხრს ყოველ შეღამებისას,
მთვარეს, ჩემს მზერას თვალს რომ არიდებს,
ტყლაშუნს ზეცაზე მტრედის ფრთებისას...
და თუკი, მართლაც, სხვის ბედის ვარსკვლავს,
შენი ვარსკვლავი შემყვარებია,
ეგებ ჯობს შენთან ტბის პირას გასვლა,
სადაც გედები გედებს ხვდებიან...
გავწვეთ ნავებში და რწევა–რწევით
ჩუმად ვიცუროთ ლელიანებში,
სანამ ამოვა მზე წელის თრევით,
სანამ ჩაგვხედავს დილა თვალებში...

თუნდ დამახრჩოს

ჩემი სული დღეს ზღაპრული დარბაზია,
სადაც ჩვენი ყვავილები ანათებენ,
რაღად გვინდა, მითხარ, მეტი ფანტაზია,
ჯობს ეს ღამე არასოდეს დაგვათენდეს...
ჩვენთვის კვნესის, ჩვენთვის კვნესის ვიოლინო,
და ჩვენს თავზე ვარსკვლავები ბზრიალებენ,
ეგ მტევნები, როგორც ქვევრში ქარვის ღვინო,
შხეფებს მაფრქვევს, თრობით მაღიზიანებენ...
შემომხვიე, შემომხვიე ეგ მკლავები,
მხრებზე თმები ტალღა–ტალღა მიიფინე,
გააანათე ვით ღამეში ვარსკვლავები,
იციმციმე, იციმციმე, იციმციმე...
მოდი, სანამ მიყუჩდება მელოდია,
მოდი, ვნება გაახელოს ერთმა კოცნამ,
ამბორები ჩვენი სევდის ესკორტია,
ულამაზეს სიყვარულის შესაგრძნობად...
ვიცი, ვიცი, ღმერთმა უწყის, ვერც გადავრჩე,
მაინც მინდა, ვიგრძნო მკერდში ღელვა ზღვების,
თუნდ დამახრჩოს შენმა უღვთო სილამაზემ,
და წამლეკოს სურნელებამ ქერა თმების...

მიყვარხარ, ისე, ისე სათუთად...

შენს დანახვაზე მეკვრება სუნთქვა,
თავზე მემხობა, ზეცაც და ჭერიც,
მიყვარხარ, ისე, ისე სათუთად,
როგორც სიტყვები უკანასკნელი...
და ველოდები შენი ბაგიდან,
ბგერებს გადმომსკდარს ფრთების ფართხალით,
მართლა არ მომკლა, მართლა არ მომკლა,
მე ხომ სიცოცხლე ვერ მოვასწარი...
ისე ძნელია ამის გამხელა,
და, მითუმეტეს, ასე საქვეყნოდ,
წყალს წაუღია ყველა, სულყველა,
ვინმემ თუ იცის, რატომ ვარსებობთ?

და ხშირად, მართლაც მოულოდნელად,
რადგან ღვთის ნება უნდა ასრულდეს,
რად გვევლინება სიკვდილი მხსნელად,
ვის შეუძლია, ვინ მიპასუხებს!!!

ხან ქორი ვიყავ, ხანაც არწივი...

რად მომიწვიე, შენს ბაღნარებში,
რად მომიწვიე, რისთვის მეძებდი,
ვიყავი ჩემთვის ჩემს გრიგალებში,
ჩემი ცხოვრებით და იმედებით...
ავდევდი ქარებს, ავდევდი ნისლებს,
ნაპრალებს შორის ფრენას ვბედავდი,
და რასაც მთები ხედავდნენ სიზმრებს,
მეც სწორედ იმათ სიზმრებს ვხედავდი...
ხან ქორი ვიყავ, ხანაც არწივი,
მყინვარის თავზე მიყვარდა ფრენა,
ხანაც ვეფხვივით ველზე გაჭრილი,
შიშის ზარს ვცემდი ირემთა რემას...
შენ კი შერწყმული ვერცხლის აისებს,
სწორედ ისეთ დროს შემომეყარე,
როცა ვკარგავდი იმ სიხალისეს,
არწივები, რომ კლდეებს ჰყეფავენ...
ახლა რა, დავალ ამ შენს ბაღჩებში,
სად მსხმოიარე იდგა ხეხილი,
ნუ, ნუ მიყურებ ასე თვალებში...
ვერხვი ვარ ტოტებჩამოლეწილი...

მოდიოდი ველად მარტო

გამახსენდა, გამახსენდა,
მოდიოდი ველად მარტო,
მოდიოდი თითქოს ღმერთმა
ჩამოგგზავნა სადარბაზოდ...
გადაგეცვა ვარდის კაბა,
თავის იის მოსასხამით,,
ყვავილებში მოღელავდა,
უთეთრესი შენი ტანი,
თურმე თავი წამიგია,
რა შემხვდება შენს სანაცვლოდ?
გულის კარი დამრჩა ღია,
ხომ არ გინდა ჩაგისახლო?

კოცნა (მარის დაბადების დღისთვის)

არ უწერიათ ვარსკვლავებს
ალბათ მიწაზე ჩამოსვლა,
რადგან აქ შენა გნახავენ,
გამოიწევენ საკოცნად,
შენ გული შეგიფართხალებს,
ისე ნაზად და საოცრად,
ააფახულებ წამწამებს,
ალბათ, სახეზეც დაგფოთლავს,

არც დღეს მჩუქნი და არც ღამეს,
ნუ შიშობ, კოცნა არ მოგკლავს...

მენანება

მენანება, მენანება, ჩვენი თავი მენანება,
რატომ გავჩნდით ასეთ დროში, ის არ არის ჩვენი ღირსი,
ისე მომწონს და მანცვიფრებს, შენი მკერდის ელვარება,
თუნდაც თავსაც გავწირავდი მაგ ზღაპრული თვალებისთვის...
შენ არ ჩანხარ, შენ არ ჩანხარ, თითქმის უკვე ორი დღეა,
ვისთვის ორი, მაგრამ ჩემთვის არის მთელი საუკუნე,
სული შენი ანგელოზთა მოხატული სამოთხეა,
სად გაფრინდი, ვისთანა ხარ, ან სურვილებს ვის უსრულებ...
შენ არ ჩანხარ, მაგრამ წამით ჩემ სარკმელზე ისახები,
როგორც ხატი ზეციური, როგორც სუთქვა ველის ქართა,
თმები მხრებზე დაფენილი, როგორც შუქი ცისარტყელის,
და რად გიკვირს თუ კი შენში, სწორედ სული შემიყვარდა...
მოდი ერთად, ისევ ერთად, გადავსახლდეთ სულ სხვა დროში,
სად სულიერს და უსულოს, მართლაც, სუფთა ხელი მართავს,
წამო, თუნდა ზეცის იქით, სულ სხვა, უცხო სამყაროში,
რომ არავინ, სულ არავინ, იქ არ იყოს ჩვენ ორს გარდა...

ეს შენს სილამაზეს

შენს გახსენებას ახლა მერჩია,
ალბათ, შავი ზღვა გადამეცურა...
გული ვერაფრით გადაგეჩვია,
თორემ მე ისევ ვარ ჩემებურად...
ეს დროც ტვინს ბურღავს, უკვე დილიდან,
იწყება რაღაც გლოვის ზარები,
ასე მგონია, რომ მოსჯილი მაქვს,
სულ ნერვის ფლეთა და კოშმარები...
კი, დღე არ გავა, ვუშვებ შეცდომას,
რატომღაც ყველგან ფეხი მისხლტება,
ისე ძნელია დღეს უშენობა,
არ შემიძლია გადავიწყება...
ასე მგონია, შუა ზღვაში ვარ,
და ყველა მხრიდან მიტევს ტალღები,
ჩემი ცხოვრება სულ თამაშია,
სულ ნაღვერდლებზე დავიარები...
შენ კი ასეთი ლამაზი რომ ხარ,
და ყოველ დილას ასე მაბრუებ,
შენ, იცი, უკვე რამდენჯერ მოგკალ?
დაგწვი და ფერფლად მიმოგაბნიე?
ასეა, მითხარ, გველზე ლამაზი,
გველზე ლამაზი სხვა რამ არსება,
ან როგორ გააქვს მის კანს ხასხასი,
რა დიდებულად მიიზლაზნება...
მაგრამ, ძვირფასო, შხამით სავსეა,
მისი ორკაპა ენის ნესტარი,
შენი სიკვდილი უკვე გზაზეა,
და ჩემიც, ვიცი, სწორედ დღეს არი...
სიკვდილი დგება, როცა ხსოვნიდან,

ამოიშლება ყველა ძაფები,
მე დღეს სატანა შენს თავს მომიტანს,
და, ალბათ, ერთად დავიმარხებით...

ბეთჰოვენის მე–9 სიმფონია

გაშმაგებული სამყაროს ვიქმნი,
გაცეცხლებული, გაცოფებული...
წავლეკავ ყველას, ვინც ხელს შემიშლის,
ზევსი ვარ მტრებზე ამბოხებული...
ღმერთებო, ყველამ განახვნეთ კარნი,
დაველოდები აისს, ალიონს,
დარისხებულნი გრგვინავენ ზარნი,
მოვდივარ, უნდა შემოვამსხვრიო!!!
მოვდივარ, მომდევს მკვდართა ლაშქარი,
თქვენ რომ ცოცხლები ასე გასწირეთ,
ვეღარ გიშველით ვერა სანგარი,
ჩვენ მკვდრებიც შევცვლით თქვენს სინამდვილეს!!!
განახვნეთ კარნი, განახვნეთ ბჭენი,
ხალხთა სულები შემოგესიათ,
ბრალი გედებათ სიკვდილში რწმენის,
ბედნიერება თუ თქვენს ხელშია...
ვეძახი ზღვებს და ოკეანეებს,
მოვუხმობ ქარებს აღვირ ახსნილებს,
უნდა დამნებდეთ, უნდა დამნებდეთ,
სანამ სამყაროს მთლად მიახრწნილებთ...
ომებში გიწვევთ, ყველას ვინც გვახრჩობთ,
ვინც ჩვენს სულებზე დღეს იარება...
განახვნეთ კარნი, რომ დაგვინახოთ,
ვერ გაექცევით ჩვენს მრისხანებას!!!

ნუ განიცდი (მანანას ელიაშვილს)

ნუ განიცდი, შენ, ნურაფერს,
ნუ განიცდი, ნუ განიცდი...
ჩვენ ყველაზე ბოლოს ვამჩნევთ,
მათ ვინც ჩვენთვის ჩუმად იწვის...
ჩვენ ყველაზე ბოლოს ვამჩნევთ,
შეყვარებულს ჩვენზე თვალებს,
უკვე როცა ვეღარ ვასწრებთ,
ვეღარაფერს, ვეღარაფერს...
ხელი მომეც, შენს მხარს მინდა,
ორი წამით ჩამოვეყრდნო,
შენი სულის სანთლებიდან
შენი ცეცხლი გადმომედო...
ნუ განიცდი, ნუ განიცდი,
ჩემს პოვნას და ჩემს დაკარგვას...
მთვარე ვენებს გადაიხსნის,
ყოველ ღამეს თუ ვერ მნახავს...
ყოველ ღამეს, ყოველ ღამეს,
მთვარის შუქზე მოდი ჩემთან,
რომ ვუმზირო შენს მშვიდ თვალებს,
შენი ხელი მქონდეს მკერდთან...

მეც ვუყვარდი, ალბათ, ერთ დროს...

როგორც ნუკრმა მტაცებლისგან გაქცეულმა,
ჩემს ხმელ ფოთლებს შეაფარე ფრთხილად თავი,
მე კი მუხამ, სიბერისგან წაქცეულმა,
შეგიფარე, ვერაფერი ვერ გითხარი.
შემიყვარდი, ნუკრი იყავ და რა მექნა?
შემორჩენილ ფესვით ნაჟურს გაწოვებდი...
იმ წამს მივხვდი, რომ ცა თავზე ჩამომექცა,
რომ ცისკრისას უეჭველად დამტოვებდი...
ჩაგეძინა, ფესვით ჩუმად მოგეფერე,
შეშინებულს თვალი წამსვე გაგეხილა,
რაღა დარჩა, სიკვდილია ამის მერე,
როგორ მსურდა, ეს, შენთვისაც გამემხილა...
მეც ვუყვარდი, მეც ვუყვარდი, ალბათ, ერთ დროს,
ტყეში ხეებს ასკდებოდა მთვრალი ქარი...
და ვკვდებოდი, მე ვკვდებოდი უნუგეშოდ,
შენ ბრმა ტყვია იყავი და ვერ გითხარი...

სიზმარი

ასე მგონია, რომ ვესწრები სამყაროს შექმნას,
რომ ღმერთს ერთ ხმაში უგალობენ სირინოზები...
ვუცქერი მიწას, როგორც გული, როგორა ფეთქავს,
როგორ ლივლივებს ცის ნათელში ღმერთის ლოცვები...
ჯერ წყალი გაჩნდა, მერე მიწა, მერე ჰაერი,
ბოლოს კი ცეცხლმა მთელი მიწა ალით დაფარა...
ისიც ვიხილე, როგორ კლავდა აბელს კაენი,
და ვაშლიც, ევას გველმა ფრთხილად რომ შეაპარა...
ვიხილე ღმერთმა ხელის გულზე როგორ მოფშვნიტა
და მზის სხივები ყველა მხარეს როგორ მოფანტა...
ვიხელე მთვარე სიყვარულით მზეს რომ კოცნიდა,
და პაემანზე რომ წავიდა მუზა მოცარტთან...
ისიც ვიხილე, ღმერთმა ხელი რომ ჩაიქნია,
და ქარიშხლებმა ზეცას როგორ გადაუფრინეს...
ვნახე ლაშქრები ომის ველზე როგორ მიჰქრიან,
როგორ გაეკრა ქრისტე ჯვარზე, ვნახე, ვუცქირე...
და ვნახე ისიც, როგორ გაჩნდა დილით აისი,
მერე, კი, მგონი, გაზაფხულმა თვალიც ჩამიკრა...
ჰოდა, მადლობა მოვუხადე ცას სიზმარისთვის,
და ფეხაკრეფით გამოვედი ამ სიზმარიდან...